ტალანт — это целиком зависит от спроса, который в свою очередь зависит от разделения труда и от порожденных им условий прощесения людей⁷.

ლია წერდა: პოეტს ხალხი ახალს ცხოვრებას ძუტუს აწოვებს, ამ საფუძველით ამბობენ, პოეტსა ხალხს ცხოვრებას გამოთქმულია... თუნდაც რომ იყვნენ ეხლა ჩვენში ბაირონის თანასწორნი ნიქონი, ის ნიქონი ბაირონის ოდენს თავის-დღეში ვერ იქნებდა; ის ნიქონი ხალხის ვერ იპოვან ჩვენს ცხოვრებას; დეგს დეგის ძმურ გამოჩრდის და, თუ ჩვეულებრივი ადამიანის ძუტული გაიხარად, ის დევი აღარ იქნება, თუმცა ეს არც ჩვეულებრივი ადამიანი ეგანება. დიდ გენისა დიდი ხალხიც უნდა მისცეს ჩვენს ცხოვრებას⁸. და შემდეგ: ის იქნება აქამდინაც იყო და უთოდაც უნდა უყოლიოყო, რომ ცხოვრებას თავისთან გამოეცადა, შეეხარდა, მოემწაზინდა თავის ვითარებასვე ასახსენალდა, თავის საქართველოსვე დასაქმყოფილებლად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმის ძლიერის სულის შესავალი საქმე არასა იყო⁹.

თავისუფლად ცხოვრა, ტალანტიც ემოქის ურყოფითი ზემოქმედების კი მხარე არ არის გაიპოვებულად ემოქის მხოლოდ საერთო შერწოდულობისა. აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ კონკრეტულ მიზანმიმართულებას და იდეებს ხასიათს, რომლებსაც ხელოვანი ვინაობა აქვს თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის (ხელისაბრივი ვინაობის) შესაბამისად. კერძოდ, ცნობილია, რომ დედაცნობილი მინარობლები დიდად ამცირებს ხელოვანის ტალანტის ასპარეზს, ზემოქმედებითი პოტენციის გამოვლენას და ისტორიულ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. და ეს მაშინ, როდესაც იმავე ემოქის პროგრესული მიზანობა და მსოფლმხედველობა დამატარალურად საწინააღმდეგადად გადუნას ახდენს, ტალანტის განვითარებისა და სრული სხიით ამტკვევლების დედებითი უპირობად გვევლინება. ერთი სიტყვით, თუ ხელოვანი თავისი ემოქის პროგრესული ტენდენციებს გამოხატავს, ხოლო თვით ემოქ თავის მხრივ დიდად, ძლიერად, მაშინ მხატვრული ტალანტიც ვაგახსნილია და მაქსიმალურად ავლენს თავისთავს. ის კი, რაც რეაქტიულია და, მასხადავით, ისტორიულად განჭირული, ტალანტთან დამყოფილებულების მხრივაც ასეთივე ურყოფითი ბუნების მატარებელია მაშინაც კი, როდესაც დიდი ემოქი ვაქვს მოცემული (ე. ი. „ძლიერი სულის შესავალი საქმე“ არსებობს).

მხატვრული ტალანტიც ადინიშული ემოქისეული არის, ვეველინება როგორც სახესებით მოტივირებულ საფუძველზე ცნობილი დედულებების; თვითღი ზემოქმედი თავისი დროისა და ხალხის დედითი შვილია, უფრო ემოქის ეყოფინის და მოხატავს. ამასთან, რაც უფრო დიდად იგი როგორც მხატვარი, მით უფრო მეტად ეყოფინის თავისი ემოქის საზოგადოებრივი ვითარებას.

მართალია ეს დედულება ხშირად დაუპირისუდება ცალმხრივ ან ზემოქმედებით გამოტყვევებულ კონკრეტულ წინაარს (როგორც ცნობილია, ზოგი იდეალიტიც საჭიროდ ხელდახლოვლად იმოქრებს მას), მაგრამ მისი ეს სხვადასხვაგვარი ვაჯობა სრულიად არ იძლევა იმის საფუძველს, რომ საერთოდ უარყოფი იგი და არ გამოვიყენოთ თავისი ჰუმანობრივი მენცერული უნარობით.

ამრიგად, ხელოვანის ტალანტის სპირეული საფუძველი ბუნებაა. მაგრამ აქ იგი იბადება როგორც მხოლოდ სასეოფიკური უნარი, სპეციფიკური სუბიექტური შესაძლებლობა. სოციალური ვითარება, ემოქა (ვევლად თავისი მონაცემებით) მისი მეორე საწინააღმდეგადად ტალანტიც ან უზუყოფილად იყარება ისტორიისათვის, ან ხდება მისი განვითარება, მისი დაპაპრისი, მიდგომილებების, მიზანობალების, მთელი მისი კრედილ ფორმირება. მასხადავით, ემოქა ტალანტს მშენს როგორც ზემოქმედი სუბიექტს, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიულად მოვლენას.

და თუ აქ იმასაც ვაგინხსენებთ, რომ ხელოვანი ხელოვნების ობიექტურად კანონების, ანდა როგორც ე. მარქის იტყვად, „სილამაზის კანონების მიხედვით“ მშენს, მაშინ, ერთი სიტყვით, სუბიექტურად

⁷ К. Маркс и Ф. Энгельс. Немечская идеология, ст. 360.
⁸ ი. კ. კეკელიძე. იხ. სრული კრებული იდე ტომად 3. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. III, გვ. 45.
⁹ იგივე, გვ. 464-465.

ტური ფაქტორისათვის აღარც კი რჩება ადგილი მხატვრული კულტურის ისტორიაში. მაგრამ ეს უნდა შეიძლება მოგვეჩვენოს მხოლოდ ერთი შეხედვით. როგორც ვთქვით, საზოგადოებრივი ფაქტორთა ძლევაშისობლების მოუხედავად, ხელოვნების ისტორია მხოლოდ ემოქებისა და მათ გამოშხატვლად მომდინარეობს ისტორია კი არ არის, არამედ ხელოვანთა ისტორია. ამიტომაც რომ ხელოვნების ობიექტური კანონზომიერება დაუსრულებლად მრავალფეროვნებით ვლენდება ხელოვნების განვითარების პროცესში. საყოველთაო ხელოვანის რძლი მოვლენაა ამ უარებასა რძლი მიზანობარება, ერთი მხრივ, ხელოვნების ობიექტური კანონზომიერებისა და მისი ემოქისეული გაგების (ემოქისეული ესთეტიკური იდეალის), მეორე მხრივ, ცხოვრებისა და საერთოდ დროის მთელი სულისკვეთების, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განსაუთრებულობის განსახოვნების სიღრმისა, სოციოლოგიისა და თავისებურებაში მდგომარეობს. თავისთავად ცხლად, ერთდღამავე ემოქის ან მიზანობლების ვევლად ხელოვანი ერთდღამე იქნებოდა, რომ ეს კანონი არ არსებულოყო.

შ. რუსთაველის გენისი „შემოქმედებითი სტილის“ ემოქამ გაუხილს უფროც გზა და მისაც ვარკვევლად მიზანობლებსა. შ. რუსთაველის პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური და ეთიკური შეხედულებანი, ესთეტიკური იდეალი და შემოქმედებითი პრინციპები, ობიექტური სოციალური სინამდვილით არის გამოპოვებული. ერთი სიტყვით, იგი თავისი დროის დიდილი შვილი იყო. თავისი ემოქის თავებებით ხედვლად და სულეყოფებით ქმნიდა, მაგრამ მან, რომ ვევლადიერი ეს ასე სრულიყოფლად გამოაღიანა, ანდა რომ ხელოვანი ის ვახდა თავისი დროის იდელებს, თავისი ემოქის სულიერი ცხოვრების დიდმეყოფილი, ე. ი. რომ მის კალმს არ ხვევია წილად „ნადირთა მცირე ხოცა“. ხოლო „ვეუბისტიკოსანთა“ ახეღრმად, სრულიყოფლად და თავისებურად აისახა ემოქისეულიც და მოეხილს ზოგადი კანონზომიერება, ვევლადიერიც, არსებობილია, მისი საყოველთაო, მისი ინდივიდუალური საფუძვარში, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობის, მიდრეკილებისა და სხვა სუბიექტური თავისებურებათა ერთობლიობაში პოულობს ახსნას. ამ მხრივ რუსთაველი არ არის თავისი დროის მორჩილი შვილი და ჩვეულებრივი მახსოფი. პირიქით, იგი თავის სახიფათეს ემოქას და განსაზღვრულ უფრო მახსოვლად ემოქს დაეს. ეს კი იმასაც იწინააღმდეგადად, რომ სხვა თავისი ემოქის ან შემოქმედება უფლად იმ დროის სანაწიველს, და თუ რაიმე შემთხვევის გამო ის „ვეუბისტიკოსანი“ შექმნილად დაიუქმებოდა ვიჯობილად, თამარ მეფის ემოქის ქართული ლიტერატურის საერთო მიზანობლებსა არსებობა იგივე დარჩებოდა, მაგრამ მოყლებული იქნებოდა რელიუოვას, უბრაწიველად ინდივიდუალური ნარისხებობის, შეუდარებლად ელვარებასა და სინაოტის, მრავალ დიდმეყოფილად ვერსა და ნიუფანს. ერთი სიტყვით, მაშინ მეტად დარბი იქნებოდა თვით ემოქაც და მისი მხატვრული კულტურაც. მაშინ ამ დროის ვევლადიერი ფილოსოფიისა და ჩვენს დღესაც მოგვევლინებოდა. თუმცა ჩანარებულ იმ არ, რუსთაველის თანადრო სხვა ზღვისანი რომ დახვედრებულიყო ერთუთხოვლილი შექმნილი ხარკეუბს მაინც ვალყოფილებული იქნებოდა, იხე, როგორც რაყავლს რომ ანალიტიკური ხედი ხვედროდა წილად, ლეონარდის, მიქელანჯელოსა და ტიციანის ბრწიველად ვერ იხსნიდა რენესანსის არსებითი ვალაობისთვისავე. და ეს იმიტომ, რომ ხელოვნების ისტორიისათვის უცხლთა ე. ი. განსაზღვრული ისტორიული ადგილები — რეალმეტირება. აქ ამ მხრივაც მრავალფეროვნების კანონი მოქმედებს: თვითღი მხატვრული ემოქა და მიმდინარეობა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტი დიდი გამოშხატვლი ვახს მას, რის გამო უყოფლ ტალანტიც, აქვს თავისი ადგილი და არსებობის უფლება. ხელოვნების „ერთი ნაწილი“ სახიობი არ არსებობს.

აქვე ისიც უნდა ვაგვიავისწინოთ, რომ რუსთაველის ნადრევი დაღუპვა აოჯობილად მოახდინდა ვაგუნას მთელი ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების ხსიაოზვლად, რადგან ვევლილი დიდი შემოქმედი ან დიდი მხატვრული ემოქა, ვარკვეული აწრთი, ერთ-ერთი დიდმეყოფილებული პირიდა (ისტორიული საფუძველი) განვითარების ემოქის ხელოვნებისთვისავე, მეტწილად კლასიკა რომ არ არსებულოყო, რენესანსიც არ არსებებდა იმ სხიით, როგორიაც ჩვენ მას ვიცნობთ. უდავოდ, ეს ვარკვეობაც იფულისხმება ანტრუ-

რი სამართლის მნიშვნელობის ცნობილ ენგელსისეულ დახასიათებაში. არც შეგება თვით რენესანსს, მის შესახებ გ. პლესანოვი საესებო წყარად აღნიშნობდა: „რასდღერ, მიქაელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი რომ ბავშვობიდანვე გარდაცვლილებურნი ჩაიბე მენაქიურთი თუ ფიქროლოგური მიზნების გამო, რომელიც დაკავშირებული არ იყო იტალიის სოციალურ-პოლიტიკური და სტერილი განვითარების სახელი და მსფლდობასთან, იტალიური ხელოვნება არ იწებოდა ისეთი სრულყოფილი, მაგარად განვითარების საერთო მიმართულებას, აღორძინების ექვა მანც ისეთივე დარჩებოდა“. ხარვეჭები კი, რომლებიც მათი წადრები დალებით შეიქმნებოდა, „ძლიერ გაკუნძნს მოახდენდა მის (იტალიის)გან — იტალიური ხელოვნების) მეორებარისხოვან „განსაყოფრებლობაზე“¹⁰. ოლინდ, ჩენი აზრით, აქ უკანასკნელი ფრანს არ არის ზუსტი, რადგან რენესანსის მი უღიღეს აღმართა წადრები დალებუა გავლენას მოახდენდა არა მარტო იტალიური ხელოვნების შემდგომ განვითარებაზედაც, ამავე დროს, სიტყვა „მეორებარისხოვან“ უდაოდ ზღვდვას ამ მასალაზელი გავლენის წამდელ ხასიათს და მნიშვნელობას. ამისა მიუხედავად, ციბრეტურული სტრუქტურები მანც ბრწყინვალედ გადმოსცემს ხელოვნების ისტორიაში ხელოვნების როლის ერთ-ერთ ძირითად ნიშანდღობლივ მხარეს.

დავრჩა ხელოვნების და ეპოქის ურთიერთდამყოფილებების კიდევ ერთი არსებითი მხარე, რომელიც არა თუ იმ ასპექტზე ადრეს იყო ცნობილი, მაგარამ თანმედდერული პრინციპის სახით პირველად მარქსისტული ესთეტიკაში აისახა. აქ ჩვენ ვაულისწიბობ ხელოვნების როლს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ხელოვნება ი. პეტავანის სიტყვებით რომ გადმოცემა, „იბადება და წინ მიდის ცხოვრებისგან, მაგარამ შემდეგ გაკუნძნს ახდენს“ თავის ამ დიდ საფუძვლზე და „თავის მხრივ იმ მთავს ცხოვრებას“, ანდრატებს და ახალვებს მას. მანსადამე, ხელოვნება ეპოქის არა მარტო შედგება, არამედ დიდმნიშვნელოვანი საეციფიკური ფაქტორიც. ამასთან, რაც უფრო დიდა ხელოვნია არა მარტო მთი უფრო მეტად ცნაურად იყო თავის ეპოქას და უფრო დრბად გამოსახავს მას, არამედ, ამავე დროს მთი უფრო მეტად უტრება კიდევ ეპოქისავე უკვე დამკვირბებულ ტენდენციებს და მათზე მაღლა დგება, მისთვის და ანსაყოფრებულ უფრო მეტს, ვიდრე ამას მისი დროის საზღვრები გაულისწობს. რასაკვირველია, აქ ულარაკია იმის დაწახანა და დასახეობა, რაც იბადება, ე. ი. ჩანასახის სახით არის მოცემული და მიმავალი (ახალი) ეპოქის დასაწყისს წარმოადგენს.

თავისუფლება მხატვრულ შემოქმედებაში აუცილებლობის თავისებური გამომატლებუბა, შეიძლება ასეც ითქვას, აუცილებლობის პირველყოფი ინდივიდუალური მხატვრული წარმოსახვა. აუცილებლობაც თავის მხრივ ყოველთვის იმავადელოდ არის დავაშირბებული თავისუფლებასთან, როგორც მთი გამოკლების ერთადერთი შესაძლებელ სფეროსთან. ერთი სიტყვით, აუცილებლობა და თავისუფლება ერთი მთლიანი პრიციპის სხვადასხვა მხარეა, ურთიერთის არსებობის აუცილებელი პირობა.

3. ი. ლენინს აუცილებლობის და თავისუფლების სწორედ ეს დიალექტიკური მთლიანობა აქვს ხაზგასმული თავის სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, როგორც ცნობილია, ე. ი. ლენინი აქ, ერთი მხრივ, ამაჰარავებს ხელოვნების ბასობლდურთი თავისუფლების თეორიის ანტიმეცნიერულობას, მას „შობოლოდ ფარისებლობას“, „შურტურუბული თუ ნარქიული ფრანსას“ უწოდებს, ხოლო ზურტურუბული ხელოვნების კლასობრივი შეზღუდულობის ცხადყოფის საფუძველად დასკვნის: „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობედ და საზოგადოებისგან თავისუფალი იყო“¹¹. მეორე მხრივ კი, იგი, იქვე „წამდვილად თავისუფალი“, პრილიტობრიოთან აშურად დავაჰურბებელი ლიტერატურის“ პრინციპის (ე. ი. პარტიულობის პრინციპის) დასაბუთებისას სავანდებლად განმარტება: „უდავოა, ლიტერატურის წამქე ყველგან ნაგებობს ერთობლივად შექანაქიურ შეთანახმარებას, ნიველირებას

ბას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას, უდავოა, ამ საკმეოში უტყვევლად საჭიროა მეტი გასაკანია მიცივს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებას, გასაკანია მიცივს ეს არჩანდა ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“ (ხაზგანსაკეხნი მ. დ.). და, რაც აგრეთვე განსაკვირბულ უკრადება მოქმედებს, ლენინის ეს დებულება გარყველი მოუთხოების მი თავისებურების შესახებაც, რომლითაც აუცილებლობის და თავისუფლების მთლიანობა ხასიათდება ხელოვნებაში.

ცნობილია, რომ მარქსისტული თვალსაზრისით, თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა. ცხადია, აქ იულისსებება აუცილებლობის შეცნობა მოქმედებაში, ე. ი. შეცნობილი აუცილებლობის შესაბამისად მოღვაწეობა და ზემოქმედება სინამდვილეზე.

მაგარამ ეს შეეხება თავისუფლების საერთოდ. ხელოვნებაში იუსხვა გარემოებისთან, თავისუფლების სხვა საფუძველთან გვაქვს სტატუსე, ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინს თავის დასახებულ სტატიაში აუცილებლობის შეცნობა და მისი აშურად გამოხატვა, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის თავისუფლების სრულყოფილი გამოხატულებიც, ე. ი. ლიტერატურის წამდვილი თავისუფლების, მუშათა კლასის ლიტერატურის პარტიულობის უარსებითი ნიშანდღობლივ თვისებებზე მაინია და არა ზოგად კანონად ლიტერატურისა, ის სავსებით გასავეხიბა, რადგან ხელოვნების ისტორია იცნობს არა მარტო ზურტურუბულ ფარისებლობას, არამედ არა ერთ სხვი ხელოვნებას, რომელიც როგორც ემპირიულ-კლასობრივ პოზიციას, ისე ხელოვნების მოცემული დარგის ობიექტურად კანონზომიერების ზოგ არსებით მხარეს მანც, მთი შორის ზოგჯერ თვით „სილამაზის კანონებსაც“ კი, გამომატებს შეცნობილი გარვრების გარეშე.

განა არ არსებობენ ისეთი შერტლები, მხატვრები, კომპოზიტორები, საერთოდ ხელოვნების ყველა დარგის ოსტატები, რომლებიც გულწრფელად სჯერათ, თითქმის, წინდა ხელოვნებას ემსახურებიან და საესების დადყოფებელი არან საზოგადოებისაგან? განა, სტორიულად ხელოვნება უშავდვლობს აშურად და შეგნებულად ემსახურებოდ თავიანთი კლასის ინტერესებს? მანსადამე, განა ეს თუ ის კლასობრივი პოზიცია, რომელიც ობიექტურად არის გამოსატული მხატვრულ წარმომებში, სუბიექტურად ყოველთვის ზუსტად აქვს გაანრტებული ამ წარმომებთა ადრატორებს? ასევე, რამდენ წამდვილ შემოქმედებას არ სწორია ეს საერთოდ არავითარი თეორიული წარბოდგენა არა აქვს ხელოვნების ობიექტურ საეციფიკური კანონზომიერების შესახებ, და მიუხედავად ამისა ისინი მანც კინან ხელოვნების წამდვილ ქმნილებას.

ამავე დროს ინიც ზომ ცნობილია, რომ კანონად მიჩნევა მხოლოდ ის, რაც სისტემის სახით არის მოცემული, რასაც საყოველთაო ხასიათ აქვს და არა ის, რაც სრულყოფის, განვითარების უმაღლესი ფორმის ნიშანდღობლივი თვისებაა, ე. ი. ზოგჯერ კლიდებდა. ამრავად, თავისუფლება ხელოვნებაში იმით კი არ ვლინდება, რომ თითქმის, ხელოვნანი შეცნობილი აუცილებლობის შესაბამისად ქმნიდეს, არამედ იმით, რომ აქ აუცილებლობის მხატვრული წარმოსახვა არის შეუზღუდვანი, ინდივიდუალური, იგი ხელოვნის ტანტების, ფანტაზიის, მთლილ ინდივიდუალური სამართლის თავისუფალი შემოქმედების სფერო და საეციფიკურია. მანსადამე, თავისუფლება ხელოვნებაში გვევლინება როგორც აუცილებლობის მხატვრული გადარსახვის ინდივიდუალური აუცილებლობა აუცილებლობის თავისუფლებაში, რომელიც აუცილებლობის გასახიერების ინდივიდუალური ნარჩასებითი საფუძველი და გამომატლებუბა.

ამიტომაც, რომ შემოქმედებითი ინდივიდუალობა ბოლოს და ბოლოს შემოქმედებითი თავისუფლების საეციფიკური მხარეა.

ყველაფერი ეს იმასაც ნიშნავს, რომ შემოქმედებითი ინდივიდუალობის არს სახებთ და მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციითაა ერთობლივად (დიალექტიკური მთლიანობა) შიდადები. მარქსისტული თვალსაზრისით სხვა საფუძველი და ახსნა არ შეიძლება მოეწიბოს

¹⁰ გ. პლესანოვი, მარქსიზმის ძირითადი საიოებები, 1931, გვ. 184.
¹¹ ე. ი. ლენინი, ოსხ, ტ. 10, გვ. 39—40.

¹² ე. ი. ლენინი, ოსხ, ტ. 10, გვ. 37-37.

იმ ფაქტს, რომ მხატვრული ქმნილების სრულყოფილების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი შემოქმედებითი ინდივიდუალობის მექანიზმი გან- მოდუნდა. მაგრამ თუ ჩვენ ეს სახეებით ნაყოფი გარემოება ვაჩ- რად სრულყოფილი და ხაზგასმით აღვნიშნავთ, ეს უმთავრად იმით, რომ ზოგი მარქსისტული მკვლევარი შემოქმედებითი ინდივიდუალობას, მისი ასახვითი ბუნების გამო, არ თვლის სუბიექტურ შემოქმედებე- ში მოხილვად; მისი ძირითად ფაქტორად ასახვის საგნის „ობიექტურ წინადასას“ აღიარებს. ამ გაგების ერთ-ერთი დამაბნელებელი კოსტ- დინეტიკის დასკვნით, პოეტური წარმოსახვის ისეთ ხერხებს, როგო- რაა ამაჰინგო, მეტაფორა, შედარება და სხვა, განაპირობებს წარმოსახვის საგნის კონკრეტული ობიექტური არსი, „ობიექტური წინადასი“, ანდა როგორც შეგული ამბობდა „თვით საგნის ხასიათი“. დამახასიათებელია, რომ ეს ავტორი ხაზგასმით აღიარებს შეგულის შეხედულებას ორიგინალიზმის საგნისეული ობიექტური საფუძვლის შესახებ, თუმცა, იქვე თვითონვე ხაზგასმით წერდა მიუთხებთ ამ შეხედულების იდეალიზმის ბუნების შესახებ.

რასაკვირველია, არ არის სწორი შემოქმედებითი ინდივიდუალობის იმპლურება ასახვის ობიექტისაგან. სხვა რომ არ იყოს, შემოქ- მედებითი ინდივიდუალობის აღიარება უმთხვევითი ინსტრუმენტი, თუ არაღმუნდა უფრო მეტეორად აღვსის, ამდღარებს და გაუმეორებელ სახეს აძლევს იგი მხატვრული წარმოსახვის სიმართლეს. ე. ი. მხატ- ვრული გარდასახვის შესატყვისიან სინამდვილის ობიექტურ არს- თას. ასევე, ეგრძე მეტაფორა, მიჰერბოლა, შედარება და სხვა ანა- ლოგიური მხატვრული ხერხების სრულყოფილობა იმითაც ინს- ტრუმენტი, თუ არ სიღრმით და პოეტური სიმავლითი წარმოსახვევ იხინი თავიანთ საგანს. მაგრამ ეს საქათხის სხვა მხარეა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ იძლევა საფუძველს შემოქმედებითი ინ- დივიდუალობის ან ეგრძე აქ მოხსენებელი ხერხების სიძლიერისა და ხასიათის საწინის სინამდვილეთი ვეფითი, ასახვის საგნის ობიექ- ტურ მონაცემებთან დაეკავშირება. ასეთი გაგება ობიექტურად შემოქმედებითი ინდივიდუალობის უარყოფას ნიშნავს. უფრო მე- ტიც, ამ გაგების აღიარების შემთხვევაში ობიექტურისა და სუბიექ- ტურის იგივეობა უნდა ვადაიაროთ ხელგონებაში. ერთი სიტყვით, ამ თვალსაზრისით არავითარი საუთერისა, არავითარი ინდივიდუა- ლური ასექტე აღარ არებს ხელგონებას და ის თავისებურებაშიც იხს- ნება, რომლებიც მეტაფორას, მიჰერბოლას, შედარებას, საერთოდ მხატვრული ხაზების განსხვავებებს შეგულობის, დასკვნების, ცნებების, და შეცნობერე კანონებისაგან.

ყველაფერი ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული შეოხვის სახეობითი არის და სუბიექტურობის დაპირისპირების შედეგს წარ- მოადგენს. ასეთი დაპირისპირების უსაფუძვლოა არარსობელ აღი- მონება ზემოთ მარქსისტული ინსტრუმენტის ცნობილ პრინციპთა კომენ- ტარებისას. ამიტომ აქ კონკრეტულ მაგალითებს მოვიყვანო.

ის ფაქტი, რომ მეტაფორა გარკვეული საგნის, მოვლენის ან გან- ცილის მხატვრული წარმოსახვის თავისებური ხერხია, ხოლო ამიტომ იგი სუბიექტი და შეუსაბამოა, თუ თავისი ობიექტის პოეტურ, ემოცი- ურ-მხატვრულ სახეს არ წარმოქმნის მისთვის ნიშანდობილ ასექტე- ში, ნაწილობრივადვე კი არ გამოირცხვას იმის აღიარების შესამ- ლებლობას, რომ თვით ამ პოეტურ სახეს მწერალი იხსნავს. ყოველი მეტაფორის სიძლიერე, გამოსახებითი სიღრმე და პოეტურ-ინსტრუ- კური ღირებულება, თუ განვხილავთ, მისი კონკრეტული წარმოსახვითი წი- ნადივით [ე. ი. ისიც; თუ არა თვისებანი, მოვლენანი, განცდას, საგანს დაფუძნებებს ტარბული გარდასახვას], მთელი თავისი არსებით მწერ- ლის შემოქმედებითი ტალანტის, ფანჯარის სიძლიერესა და ხასი- აოზე, ოსტატობისა და სულიერი სიშარის თავისებურებაზეა და- მოკიდებული. რასაკვირველია, ამ საკითხს აქვს მეორე მხარე—მე- ტაფორის საერთო ხასიათი შემოქმედების შეთვლითი არის გამოი- რებებული, რის გამო რეალიზმისა და დეკადენტურის მიმდინარეობე- ბისათვის დამახასიათებელი მეტაფორული წარმოსახვა მეკვირად განსხვავდება ურობისათვის. მაგრამ, როგორც ამას კვეთთ ვნა- ხავთ, შემოქმედებითი, ინდივიდუალობის არარსე ყოველთვის ერთი და იგივე ეპოქისა და მიმდინარეობის სახეობებს გულისხმობს. ამი- ტომ ეს გარემოება არავითარ დაბრკოლებას არ ქმნის მეტაფორის

სუბიექტურ-შემოქმედებითი ბუნების აქ მოცემული გაგებისათვის.

შ. რუსთაველის ეპოქისა და მიმართულების რამდენ პოეტსაც არ უნდა განვხილოთ მათი და მწერლის წარმომავლის მეტაფორული წარ- მოსახვა, პერსონაჟის გარკვეული სულიერი რეაქციის გამოვლენისას. ვერც ერთი მათგანი ვერ მოაღწევდა იმ სიღრმეს, მხატვრულ-ემო- ციური სიძლიერესა და თვით გადაბანაობის იმ კონკრეტულ ში- ნაარსს, რომლითაც ხასიათდება ვენიკოლაური მგოსნის ცნობილ მე- ტაფორა „ტარბული შერთა, შენდარა ჩაჩხი ინდოთა ცომისა“. არ გადავანერგებთ თუ ვიტყვით, რომ აქ საგნის „ობიექტური წინადა- სი“ და ეპოქისეული შემოქმედებითი პრინციპების თავდაპირვლი დგას შ. რუსთაველის გადავითარ პოეტური ფანჯარისა და ოსტა- ტობის წინაშე. იმავე ეპოქის სხვა რუსთაველებიც რომ შევლოდა და იმათაც რომ პერსონაჟის იმავე სულიერი რეაქციისა და მსგავ- სე წარმომავლის წარმოსახვა მოეცათ, მაშინაც მეკვირად თავისებურ შედეგებთან გვექნებოდა საქმე.

ასევე, მხოლოდ ვაჟს შეეძლო ეთქვა „წინილი ფეჩია შიებისა“. იგი ვაჟს პოეტური აღმორჩნა და საკუთრება.

იგივე კანონზომიერება ახასიათებს პოეტურ წარმოსახვის საერ- თოდაც. ათას პოეტს რომ შეეცო ნიკოლოზის ცნობილ ძეგლს და ყველა ეს პოეტი გალატონის ტაბისის რანგისა და მიმართულების შემოქმედე ყოფილიყო, მაინც ვერც ერთი ვერ იტყვია ამ საოცარ სტრიატიკის:

„აქ რომ თაღებია,
სცემათა მერონება,
ისე ნაგებია,
სიშარის გეგონება“.


სხვადა, ივავს შეთხვის შესაძლებლობა კიდევ უფრო მეტად გამოიხატებოდა თუ იმავე თემის სხვა მიმართულების ან უფრო შეზღუდული (მატარა) ტალანტის პოეტებს შეეძლებოდადენ.

ანდა ავიღოთ ქართული პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი შე- დეგეტი „გაშიათიდა“. მხოლოდ აკაკის ქნარს შეეძლო ამ ხასიით მო- ცუკნეს ეს დიდი ეროვნული ფიცი:

„ცა-ფაიროვ წმელით-წურმინებო,
სივლის ჩამდებელი მხარეო,
შენი ვარ, შენდის მოკვადები
შენსედევე მელოფირო...“

თვით ილიკი კი ყველა შემთხვევაში სხვაგვარად, სხვა ემოციური ფერადონებით და პოეტური ხილვით განმობატვდა იმავე პატრიო- ტულ გულწინობის თავის დიქციონი. ერთი სიტყვით, უმეზარბიად დიდი შემოქმედე არა მარტო უფრო შორს, უფრო ღრმად და უფრო მეტს ზედავს, არამედ ინდივიდუალურ თავისებურებასაც უფრო მეკვირად ავლენს, ე. ი. ამ მხარეცაც გაიცოლებით უფრო მნიშავა- მხარეი და დიდარი საუთერებით ხასიათდება.

ეს კანონი რომ არ არსებობდა, მაშინ არავითარი მნიშვნელოვანი ქენილობა, თვით ხელგონება, მაშინ რეალურად, პარაფიზიკის, ოლიას, აკაკის, ვაჟას და გალატონის ვეღარ ვავარჩევდით მათი თანამედ- როვე მგოსნებისაგან, მათსაგან, მწერლის გვარიც ვარი აქვს იქნებო- და საქართველო ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის. ამ უჩიერესად ცალმხრივი და მდარე ლოკური შედეგს ნაწილობრივადვე ვერ ით- ვალდებოდნენ ზემოთ მოხსენებული მკვლევარები და მათი თანამე- აზრები. როგორც ზრას, მათ არ სწორად აქვთ გააზრებული ის დი- დი მნიშვნელობა, რომელიც შემოქმედებითი ინდივიდუალობის არ- სის გაგებისათვის აქვს კი. მარქსის ცნობილ დებულებას ერთი და იგივე საგნის სხვადასხვა ინდივიდუალ (სულიერი ხასიათი) სხვადა- სხვაგვარი გარდამების, ასახვის შესახებ. და ეს მაშინ, როდესაც კი, მარქსის მსჯელობის კონტექსტში არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ის სხვადასხვაგვარა, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილ გარემო- ბათა იხს განსაკუთრებულ სიპყვერიით ვიწინებო მხატვრული წარმოსახვის სერორობი, სუბიექტური სხვადასხვაგვარა და არა თვით საგნის ობიექტური წინადასის შედეგა, რადგან ეს უპასუხებელი მო- ლოდ ერთია. კი, მარქსის ეს დებულება არც ერთი დეტალის ხასიათ კი არ მოიცავს სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.



დარბაზი სოფ. ყარაღაჯში (კასპის რაიონი) ლ. სუმბაძის გრაფიურა იგიომინაზე

ქართული ლაკაზის ინტერირი

2907

ლონგინოს სუმბაძე

თავის ქვეშ შემდგარი მსრებფართე დედაბოძი ჩუქურთმით მოქარგული მკერდით და თარო-თაღრებით დამშვენებული უკანა კედელი — აი, ქართული დარბაზის სახე, რომლის ხუროთმოძღვრულ ფორმათა ზემოქმედების ძალაც ერთნაირად ძლიერია, მიუხედავად იმისა, იგი მზის ირიბი სხივითაა გაბრწყინებული თუ კერის სინათლით, მთვარის ნაწი შუქით თუ ღრუბლიანი ცის სათუთი ანარეკლით.

საკუენების სიღრმეში იკარგება ქართული საცხოვრებელი სახლის ამ უნიკალური ფორმის საწყისები. იმპერატორ ავგუსტეს თანამედროვე რომელი არქიტექტორი და თეორეტიკოსი ვიტრუვი (1 ს. წ. წ-მდე) აგვიწერს კოლხურ სახლს, რომელიც თავისი სტრუქტურით დარბაზის ძირითადი უჯრედის პირველად სახეს წარმოადგენს.

დარბაზი ფართოდ იყო გავრცელებული ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში. ცალკეული გადანაშთები ამ ტიპისა ვხვდებთ აგრეთვე საქართველოს მთიანეთისა და კოლხეთის დაბლობის ზოგიერთ ადგილებში. ჯერ კიდევ წარსული საუკუნის ბოლოს დარბაზული კომპლექსები ავსებდნენ ისეთი ქალაქების ქუჩებსა და შუკებს, როგორც არის თბილისი და გორი, ახალციხე და მცხეთა, დუშეთი და ახალქალაქი.

დარბაზის გადახურვა წარმოადგენს ხის კონსტრუქციის ერთ-ერთ უძველეს სახეს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ძველი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, კორეიდან ეგვიპტის ზღვის ნაპირებამდე, ლადოგის ტბის მიდამოებიდან აზიის იამდე.

დარბაზული ტიპის სახლების გავრცელების მხრივ ამიერკავკასია ყველაზე მდიდარი რაიონია. საქართველოს მიწა-წყალზე კი შემონახულია ყველაზე მეტი რაოდენობა დარბაზებისა, ყველაზე მრავალფეროვანი და მდიდრული გვირგვინებით. ჩვენი ქვეყნის ტერიტორია წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს და მნიშვნელოვან კერას ამ ტიპის საცხოვრებელი სახლების წარმოშობა-განვითარებისა. მისი ყველაზე პრიმიტიული სახე, როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთშია ფოქირებული ძველი წელთაღრიცხვის ბოლოში; ყველაზე მდიდრული ფორმებიც სწორედ აქაა დღევანდლამდე შემონახული, ყარაღა-

სახლო, სალხინით ნაშენო, დარბაზო გვირგვინოსანო“... ასე მიმართავდნენ სამცხის მკვიდრი საქორწილო მრავალქამიერში გვირგვინით დამშვენებულ დარბაზს, რომლის ხუროთმოძღვრულ ფორმებშიც დღევანდლამდე შემონახულია ქართული სამშენებლო ხელოვნების სანუკვარი ტრადიციები, ჩვენი სახლის თვითმყოფადი გემოვნება და არქიტექტურულ-მხატვრული აზროვნების უკვდავი ძალა.

შესასვლელის მიმართულებით წაგრძელებული შინაგანი სივრცე, ზემოდან განათებული საფეხუროვანი გვირგვინით,





ბერელაშვილის დარბაზი ტინისხილში. ლ. სუმბაძის გრაფიკა
ავიომონაჟი

ჯის თორმეტკუთხა გვირგვინიანი დარბაზისა თუ ახალციხური — სააკაძის დარბაზის სახით, ქსნის ხეობის სამშობიანი ერთობის სახლისა თუ მცხეთის უნიკალური გვირგვინით დამშვენებული დარბაზის სახით.

ამ სახლის პრიმიტიული უკრედი, საუკუნეთა მანძილზე თანდათან ვითარდებოდა და მდიდრდებოდა. ეგუებოდა ახალ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს, ახალ მოთხოვნილებებსა და გემოვნებას, იპყრობდა ახალ და ახალ რაიონებს და იცვლებოდა კლიმატისა და რელიეფის ახალი პირობების შეზამამისად ჩვენამდე მოღწეულ დარბაზებს თავისი გვეგარეზითი არსით ყველაზე მეტად ფეოდალური ფორმაციის დაღი ატყვია. დარბაზული კომპლექსების სტრუქტურა და მასშტაბი დიდ ოჯახს შეეფერება, ამიტომ მას ქსნის ხეობის მითიანეში ერთობის სახლსაც ემაიან. სახლის ამ ტიპში მატრიარქატის მრავალი გადანაშთიყაა დაცული.

დარბაზულმა სახლმა დასავლეთ საქართველოში ვერ ჰპოვა გავრცელება. როგორც ჩანს, დაგეგმარება და კონსტრუქციები ამ სახლისა უფრო მეტად საქართველოს შუა და სამხრეთ რაიონების ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს შეეფერება, სადაც შეიძლება ადვილად შეგუება რელიეფთან (ფერდობში ჩაჭრა), ზაფხულის სიხეხობას და ზამთრის ყინვებთან. შორალი კლიმატი იძლიოდა მიწური გადახურვის (ბანის) მოწყობის ადვილ საშუალებას.

დასავლეთ საქართველოს რბილი და ტენიანი ჰავა, სწორი რელიეფი და ტყის სიუხვე არ ქმნიდა ნიადაგს დარბაზული ტიპის სახლის განვითარებისათვის. მდიდარმა ხალხურმა ტრადიციებმა აქ თავი იჩინა ცხოველხატულ პეიზაჟში ოსტატურად ამოქარგული საცხოვრებელი სახლების სულ სხვა ტიპის ჩამოყალიბებაში, რომელიც აჯადოვებს ადამიანს გარე ფორმების პოეტურობითა და სიფაქიშით.

ისტორიულმა პირობებმა, რომლებშიც დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლის ჩამოყალიბება ხდებოდა, ამ უკანასკნელის კონსტრუქციულმა სისტემამ და შიდაკომპოზიციურმა აღგზაობამ, რელიეფის პირობებმა და ბუნებრივ-კლიმატურმა არც დარბაზულ სახლთა სურათთმოდველების განვითარება წარმართა მისი შინაგანი სივრცის დახვეწის მიზართულებით.

ამიტომ არის რომ ქართული დარბაზის სურათთმოდველება ძირითადად ინტერიერულია. რთული გეგმის დარბაზულ კომპლექსებში სხვადასხვა სახისა და დანიშნულების სათავსოთა შორის წამყვანი ადგილი საკუთრივ დარბაზს უჭირავს. იგი ყველაზე მაღალ, მდიდრულად შემკულ და ფაქიზად დამუშავებულ სათავსოს წარმოადგენს.

დარბაზის შინაგანი სივრცის კომპოზიციის საფუძველი — შუანი მოთავსებული კერა და საფეხურებად აზიდული გვირგვინია, რომელსაც ზემოდან ერთდ-სარკმელი აქვს დატანებული.

განათებისა და გათბობის ამ უძველესმა ხერხებმა განაპირობებს დარბაზული სახლის წარმოებაც, განვითარებაც და დაკნინებაც.

გვირგვინის მდებარეობა დარბაზის გეგმაში და მისი შედარებითი ზომები განსაზღვრავს სათავსოს შინაგანი იერიკის დანაწევრების პირობებს. თუ ქართულ დარბაზში გვირგვინი უპირატესად მხოლოდ გეგმის შუაში გამოყოფილი კვადრტი იხურება, მესხური ტიპის წამყვან სათავსოებში გვირგვინი ფარავს შინაგანი სივრცის მთელ ფართს. ეს უკანასკნელი გარემოება პირველ შემთხვევაში დაკავშირებულია ბოძების აუცილებლობასთან: გვირგვინის ნთელი სიძიმე ირგანივ კოჭს გადაეცემა, რომლებიც, როგორც კანონი, შუაში ბოძს და აქეთ-იქით კი კედლებს ეყრდნობა.



მესხურ დარბაზებში გვირგვინის დატვირთვა კედლების გასწვრივ დაწყობილ კოჭებზე გადადის, რომელიც თავის მხრივ ან სიძიმის კედლებზე მიდგმულ რვა-თორმეტ ბოძს გადასცემს.

ამგვარად, ქართულ დარბაზებში ჩვენ ვარჩევთ ინტერიერის ორ ძირითად ტიპს. რომელიც, უპირატესი გავრცელების ადგილის მიხედვით, ჩვენ პირობით ქართულ რსა და მესხურს ვუწოდებთ.







როგორც ერთ, ისე მეორე სახის ინტერიერში ვხვდებით გვირგვინთა ყველა მხატვრულ-კონსტრუქციულ ტიპს: ოთხკუთხთვანსაც და რვაკუთხთვანსაც, პარალელური წყობისადაც და კუთხური წყობისადაც. რვა ან თორმეტკუთხთვან სახეს კუთხური გვირგვინისას ქართლში „მერცხლიბუდურს“ უწოდებენ.

როგორც ქართული, ისე მესხური ტიპი ინტერიერისა გვაძლევს შინაგანი სივრცის სრულიად თავისებურ გადაწყვეტას, მკაფიოდ გამოხატული კონცეპციის საფუძველზე, რომელსაც ექვემდებარება ყველაფერი, შინაგანი სივრცის საერთო გადაწყვეტიდან მოყოლებული საერთოდ დამუშავებულ დეტალებამდე. ინტერიერის თვითეულ ამ ტიპს შეუწევია მრავალი საუკუნის მანძილზე დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე უცნობი ოსტატებისა, რომლებიც თავის შემოქმედებას უქვემდებარებდნენ ადგილობრივი პირობების ღრმა გაგებას, სამშენებლო მასალების თვისებათა ზუსტ ცოდნასა და თავისი დროის მხატვრულ მოთხოვნილებებს.

ქართული დარბაზის ინტერიერის საფუძველი, მისი გეგმა თითქმის იდენტურია არქაულ საბერძნეთი გავრცელებული სახლის გეგმას, რომელიც მეგარიონის სახელისადაც ცნობილი. ორი მძლავრი განვივი კოჭი დარბაზის წარბეჭდებულ ფართობს სამ არათანაბარ ნაწილად



დარბაზთა ფიგურები
კარავაზის წარმოშობისა
და დარბაზის კარავაზების
მისდევით



ქ. ც. ს. გ. შ.

ყოფს. მეორე წყვილი გრძივი კოჭებისა, რომლებიც გვირგვინ-ქვეშა კვადრატს ზღუდავენ. უფრო ფართო შუა ნაწილში გა-ნიერ კოჭებზე ყვრდნობა. დანარჩენი ფართი დარბაზისა ცალ-კე იხურება მცირე დაქანებით კედლებისაკენ. შენობის გრძივი სიმეტრიის ღერს ერდისა და კერის შემაერთებელი ვერტიკა-ლური ღერძი კვეთს დარბაზის შინაგანი სივრცის ფოკუსში. გვირგვინის ცენტრში დაყოლებული ერდო-სარკელი ძლიერ-და ანათებს დარბაზის მხოლოდ შუა ნაწილს, კედლებამდე კი მეტად მცირე სინათლე აღწევს.

სწორედ ამიტომ ქართული დარბაზების მშენებლებს მთავარი ყურადღება გადაეკეთ ინტერიერის განათებული ნა-წილის მხატვრულ გადაწყვეტას, გვირგვინისა და ბოძების დამუშავებაზე, რომლებითაც სივრცის ცენტრალური ბირთვი გამოიყოფა, იმ კოჭებზე, რომლებიც გვირგვინის ფუძეს მო-ხაზავენ. საგულისხმოა, რომ მუშავდება ამ ელემენტების მხო-ლოდ შიგა, ერდოსკენ მიმართული ზედაპირი, მაშინ, როდეს-საც მათი ჩრდილისკენ მიქცეული მხარე სრულიად დაუმუშა-ვებელი რჩება. როგორც ჩანს, მშენებლებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ინტერიერის ყოველი დეტალის აღქმის რეალური პირობები.

ბოძების განლაგების მხრივ ქართლის დარბაზებში ვარ-ჩევთ სამ ძირითად ვარიანტს: ორბოძიანს, სამბოძიანს და ოთხბოძიანს, მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს ორი პირ-ველი ტიპი წარმოადგენს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დარ-ბაზებში ბოძების განათავსულობის წესია, მალის შუაში სა-თავსოს გრძივ ღერძზე, ე. წ. ერთბოძიანობის პრინცი-პიპი.

მსგავსი ხერხი ძველი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია ცნო-


ბილი (გრეტა-მიკენის კულტურაში, არქაულ საბერძნეთში და სხვ.), მაგრამ იგი არსად არ ყოფილა მიყვანილი ისეთ მხატვრულ სრულყოფამდე, როგორც ქართულ დარბაზებში.

ბოძი ქართულ დარბაზში, რომელსაც ძველთაგანვე დე-დაბოძი აქვს შერქმეული, სვეტების რიგის ერთ-ერთი ელემენტი კი არ არის, როგორც ჩვეულებრივ, არამედ ცალკე მდგარი დამოუკიდებელი საყრდენია. ამით განისაზღვრება მისი წამყვანი როლი ინტერიერში. ხალხს სწამს, რომ დე-დაბოძი დარბაზის კონსტრუქციის მთავარი ელემენტია. რო-დესაც ამირანი ვერაფერს დააკლებს დევს ხელჩართულ ბრძო-ლაში, მას შესძახებენ

„მალა კი ნუ სცემ საბილოსა, დაბლა შემოკარ რბილოსა, ბოძინ რო დაეტრებიან, დარბაზნი დაეცემიანო“.

ხალხისავე გადმოცემით, უსოვარი დროიდან დედაბოძად ცოცხალ ტოტემგადაჭრილ მეს იყენებდნენ. სოფელ ხიზაბა-რაში ახლაცაა შემორჩენილი ერთი ძველისძველი შენო-ბა (თენთ-დარბაზი), რომელიც აგებული ყოფილა ცოცხალ ხეზე. მის სამ, კაბად შერჩენილ ტოტზე ყვრდნობდა დღემდე გადარჩენილი 0,7 მეტრი სისქის უზარმაზარი ბოძი (8 მეტ-რის სიგრძისა), რომლის ერთი ბოლოც, თქმულების მიხედ-ვით, ქალის სათხოვნელად მოსულმა ვაჟკაცმა ადგილიდანაც ვერ დაძრა. ოჯახის უფროსს ეს ბოძი დედა-ბოძზე თავისი „დედა-კაცის“ დახმარებით დაუდგია. დედაბოძის პოეტური-რებული სახე ღაღადებს იმ ღრმა ტრადიციების შესახებ, რო-მელთა ფესვებიც ხუროთმოძღვრული ხელოვნების ჩახაზვის პერიოკულ პერიოდს სწვდებიან.

დარბაზის შინაგანი სივრცის მხატვრული განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია დედაბოძის აღქმისათვის ყველა-



ლი ფასადით კარისკენ მიმართული დედაბოძის მსატრულ-კომპოზიციური როლი: მას ინტერიერში მაინც ყავს ტოლსწორი: მეორე დედაბოძი, რომელიც თავის ფორმებით იმეორებს მთავარს.

ქართლის ზოგიერთ დარბაზში ჩვენამდე მოაღწია შესანიშნავმა კომპოზიციურმა ხერხმა, რომლის საშუალებითაც აცილებულა ეს ნაკლი: პირველი კოჭის ქვეშეერთი შუაბოძის მაგიერ ორი ბოძი იდგმება. შემსვლელი ასეთ სათავსოში თვალწინ ეშლება დარბაზის გრძივ ღერძზე აღმართული, ზედა სინათლით განათებული დედაბოძი, რომელიც სიმეტრიულად დამუშავებული პორტალური ჩარჩოს ფონზე იკითხება. ეს უკანასკნელი (ჩარჩო) მოხაზულია ორი ბოძის სილუეტით, რომლებიც გრძივი ბალიშის საშუალებით ერთ მთლიან სისტემაშია გაერთიანებული.

ეს ხერხი განსაკუთრებულ პირობებს უქმნის დედაბოძისალხური გეგმის ამ უნიკალურ ფორმას.

დედაბოძის ძალასა და სიმძლავრეს ხაზი აქვს გასული კიდევ ერთი განსაკუთრებული ხერხით, — მასზე დაყრდნობილი ბულაურისა და კოჭის ზემოთკენ შეზღვევით. ბოძ-ბულაურის სისტემის ასეთი გადაწყვეტა, რომელიც, რამდენადაც ჩვენ ვიგითი, მხოლოდ საქართველოს დარბაზებში გვხვდება, წარმოადგენს საყრდენისა და სიმძიმის ტექტონიკური ურთიერთობის თვითმყოფად მსატრული გააზრების ერთ-ერთ ორიგინალურ ვარიანტს. ამ ხერხის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ამ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტად, ისიც მაღის შუაში განთავისუფლებული ერთი ბოძის შემთხვევაში. კოჭის მსუბუქი შევსება ზემოთკენ დაკავშირებულია დედაბოძის განსაკუთრებულ ფორმასთან: ამ პირობებში არ შეიძლება ბოძის ზემოთკენ შევიწროვება, როგორც ეს ჯერ კიდევ ანტიკური მსოფლიოს არქიტექტურაში იყავა დაკანონებული. დედაბოძის ზემოთკენ გაგანიერება არიბლები ბოძიდან ბულაურზე გადასვლას, მსატრულად აკავშირებს ბოძს კოჭ-ბულაურთან.

დარბაზის თავისებური განათება ოთხკუთხედიანი ბოძის წახნაგებს სხვადასხვა პირობებში აყენებს, სინათლის სხივები დღისითაც და ღამითაც ბოძის მსოლოდ წინა მხარეს ხედება. ამ მიზეზების გამო ბოძის წახნაგები სხვადასხვაგანადაც მუშავდება. რაკი ბოძის წინა მხარე წამყვანია დგვერდები ნაკლებად გამოვლინებული — მართლაც, არასაკვალდებულო (და მსატრული თვალსაზრისით მიზანშეწონილი) ბოძის კვეთის კვადრატულობა. ამიტომ დედაბოძის უპირატესად ბრტყელია. მისი სისქე მულა კოჭის და ბულაურის სიგანეს უდრის; გვერდები არასოდეს აიფარება ჩუქურთმით. ზოგიერთ შემთხვევაში ბოძი მუშავდება პროფილით, რომლის რიტმულად დაკბილული სილუეტით მშვენიერად გამოინაკეთება განათების კონტრასტულობით გამო.

რაო ბოძის უკან სიბრტყე მუდამ ნაკლებადაა განათებული და ისიც მწირი ანარკლი შუქით, იგი მუდამ გულვარება. რადან ბულაურისა და დედაბოძის წინა მხარე ერთ სიბრტყეს წარმოადგენს, მშვენიერად ორი ელემენტიც ამ ერთიანობის განსაკუთრებით უსვამს ხაზს ჩუქურთმი-

ზე ხელსაყრელი პირობების შექმნასთან. მისი შიგნითა სიბრტყე მდიდარი ჩუქურთმებითაა ამტკველებული; მის პროორციებს. სილუეტს, ბულაურთან (ბალიშთან) დაკავშირებას (რომელიც დედაბოძთან ერთად მთლიან არქიტექტურულ ელემენტს წარმოადგენს), ინტერიერში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ბოძითან ინტერიერში შესვლისას, იქ, სადაც კარი დარბაზის გრძივ ღერძზეა მოთავსებული, წინა პლანზე მაყურებელს ხედება პირველი დედაბოძის ზურგი, მისი ბნელი სილუეტი. იგი გარკვეულად ხელს უშლის მეორე დედაბოძის დანახვას, რომელიც კარისაკენ განათებული ზედაპირითაა მიმართული და დღისითაც და ღამითაც შემსვლელისათვის კარგად ჩანს. ამ მიზეზით ბევრ დარბაზში შესასვლელი კარი გვერდზეა გაწეული.

ბენიისის დარბაზში, სადაც შესასვლელი სათავსოს გრძივ ღერძზეა მოთავსებული, პირველი ბოძი, რომელიც კარისაკენ დაბნელებული ზურგითაა მიქცეული, გადაადგილებულია მარჯვნივ იმ მიზნით, რომ კარგად გამოჩნდეს განათებული დედაბოძი.

მაგრამ ამ გადაწყვეტამაც საბოლოოდ ვერ დაკმაყოფილა დარბაზის მშენებლები. კონსტრუქციული უხერხულობის გარდა, მასში არაა საკმაოდ ხაზგასხული მთავარი — განათებუ-

დამუშავების სპეციალური ხერხებით. ბუღალრის ქვედა წახნაგი უმეტეს ნაწილად მდიდარი პროფილით მუშავდება, რომელიც ხშირად წრიული ვარდნუგებისა და ჩამოკუთხული კბილების რიტმულ თანრის წარმოადგენს.

ქსნის ხეობის ზოგიერთ დარბაზში შემწნეულია კიდევ ერთი დიდი მხატვრული მნიშვნელობის ტენდენცია — დედაბოძის არა ვერტიკალურად, არამედ ოდნავ დახრილად დაყენება ისე, რომ მისი მოჩუქურთმებული ბოძის კბილი ერთსარკმლისაგან იყოს შექცეული. ასეთი გონებამსვილური ნიუანსი სახელს მოუხვეჭდა ხუროთმოძღვრული ხელოვნების დიდოსტატსაც კი. ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებები, რომ ზედაბოძი დედაბოძისა, რომლის გვერდებიც პროფილირებულია, არასოდეს არ იფარება ჩუქურთმით, და პირიქით, გვერდები დედაბოძისა, რომლის სიბრტყეც მიდრეკილიაა მორთული, ყოველთვის დაუნიკავი რჩება.

ქართლის დარბაზებში დედაბოძის ზედა ნაწილს აქვთ იქით ე. წ. სააყრე ბეჭეტი აქვს ჩადებული. მათზე ეყრდნობა ორი წრილი ძელი, ე. წ. აყრებები, რომლებზეც გადადებული ჯოხის საშუალებით კერის ზემოთ, ვაკუბის საკედელი ჩამოიშობება. სამშობთან სისტემაში სააყრის მეორე ბოლოები წვილ ბოძში ჩამაგრებულ წრილ ლატანზეა გადაბეჭული.

ქსნის ხეობის ზოგიერთ დარბაზებში დედაბოძის ზედატანი წინდან ირმის რქებით იშობა. ცხოველბატული განტეტებთან ამ თავისებურად სამკაულისა, რომელიც დედაბოძის გულში ხისდაა ჩადებული, აცოცხლებს ბოძის სადა ფორმას და არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ატანს მხატველზე.

ქართული ხუროთმოძღვრების მდიდარ მემკვიდრეობაში დედაბოძი ხალხის გენიის ერთ-ერთ იშვიათ გამოვლინებას წარმოადგენს; ბოძ-ბალავარის სისტემის ტექტონიკური გადაწყვეტის იმ ვარიანტებს შორის, რომლებიც მსოფლიო არქიტექტურაში ცნობილი, იგი წარმოგვიდგება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და თვითმყოფად სახედ.

დარბაზის გვეგმის ფორმა თავისთავად განაპირობებს ინტერიერის მასშტაბურობას. გვირგვინის ზომები უშუალოდაა დამოკიდებული გვირგვინქვეშა კვადრატის სიდიდეზე. ხის მასალის რეალისტური გამოყენება, მისი კონივრული დამუშავება შინაგანი სივრცის მასშტაბური დანაწევრების ბუნებრივი საწინდარია. დედაბოძი (მისი საშუალო სიმაღლე 2,5 მეტრია) ინტერიერის მასშტაბის საზომი ხდება. მასზე ამოკვეთილი სამკუთხოვანი ჩუქურთმის ჭრის თავისებურებანიც შესანიშნავად არკვევენ ადამიანს მასშტაბში: რადგან ჩუქურთმის პირველადი სამკუთხედის ზომებიც არ შეიძლება დიდად იცვლებოდეს.

დედაბოძი კაცის თანაზომიერია და ეს თანაზომიერება კარგად შეიგრძნობა დიდი ზომის დარბაზებშიც კი. ფორმა ბოძისა — ინტერიერულია. ეს „ინტერიერულობა“ ხაზგასმულია გასაიყარი ტაქტით. რომ ყველაფერი ეს წინასწარგამიზნულია და შეგნებულადაა გაკეთებული, მტკიცდება თუნდაც იმ უზარალო ფაქტით, რომ დედაბოძის ფორმა არასადარ არარის გარეთ გამოყენებული.

უაღრესად დახვეწილი პროპორციებითა და მხატვრული სიფაქიით დამუშავებული გარეთა ბოძებით ცნობილია და-

საგლეო საქართველოს ლამაზი ოდა სახლები, რომელთა მხატვრული სინაზე და მხატვრული სიკვლეოცეც ღირსეულად ეხატყვისება დარბაზების ეპიკურ მდიდრეობებსა და ძალას.


ქართული დარბაზების მესხური ტიპი, რომლის საუკეთესო ნიმუშობაც ფიქსირებულია ახალციხის ძველ რაიონში — არაბისა და სოფელ ვალში, გადხურულია უპირატესად რეკუთხოვანი გვირგვინით, როგორც პარალელური (რანაბრი), ისე კუთხოვრი წყობისა (ვალში).


მესხური დარბაზის ინტერიერის ხუროთმოძღვრებას ჩვენ ვიხილავთ, როგორც შემდგომ საფეხტრს ქართული დარბაზების განვითარებისას, ქართლური დარბაზების შემდეგ. ამას გვიკარანაზებს დაბაზთა შინაგანი სივრცის ორგანიზაციის პრინციპებისა და ინტერიერის საერთო სტრუქტურის ურთიერთშეფარება.

მესხურ ინტერიერში კერა უკვე აღარ გვევლინება შინაგანი სივრცის ფოკუსად. კომპოზიციის წამყვან ელემენტად აქ უკვე ბუნარი ხდება, რომელსაც მესხეთში ოჯახს უწოდებენ. მდიდარი ჩუქურთმებით დაფარული „ოჯახის ქვა“, რომელშიაც ბუხრის თაღა ამოკვეთილი, მუდამ მშენებლის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. როლი ინტერიერის კომპოზიციის ცენტრალური დერძისა, რომელიც კერა-სარკმელზე გადაის, საგრძნობლად სუსტდება, წამყვანი მნიშვნელობა აქ უკვე კედელს ენიჭება. საჭირო ხდება მისი ხაზგასმა, მხატვრული გამოვლინება.

მესხურ ობიექტებში გვირგვინი დარბაზის ნაწილს კი არ ფარავს, როგორც ქართლში, არამედ იგი მთელი სათავსოს კვადრატულ გვეგმას ესატყვისება. გვირგვინის ზომები თუმცა იზრდება, მაგრამ ეს ზრდა სამკაოდ შეზღუდულია კონსტრუქციული სინდენტების გამო. ამიტომაც მესხური დარბაზი ქართლურთან შედარებით ბევრად ნაკლები ფართობისაა. მისი სიმცირე აქ კომპენსირებულია სათავსოთა რაოდენობითა და მომტებით. ერთსათავსოიანი დარბაზი (რომელიც ქართლისათვის ტიპური) მესხეთში თითქმის არსად გვხვდება. გვირგვინი მესხურ დარბაზში კედლებზე მიდგმულ ბოძებს ეყრდნობა, რომლებიც თვითთვე კედელს სამ ნაწილად ყოფს.

პავლიაშვილის დარბაზი პავლიანთ-კარში (ქსნის ხეობა).
ლ. სუბანიძის გრაფიკა ავთოგონისზე





თეთლდარბაზი ხიზაბაგრაში

საყრდენების ასეთი განლაგება უშუალოდ უპასუხებს რვა-კუთხედიანი გვირგვინის ფუძეს: თვითველი ბოძი რვაწახანგოვანი გვირგვინის კუთხის ქვეშაა შემდგარი. გვირგვინის რვა-კუთხედიანობა ამგვარად განსაზღვრავს დარბაზის კედლების სამად დანაწევრებას. ბუნარი, როგორც წესი, ერთ-ერთი კედლის გვირგვინი მოთავსებული ბოძებს შორის.

გვირგვინის დაკავალირებას მშენებლები არ იცავდნენ მაინც-დამაინც დიდი სიზუსტეს და არ მოსდევდნენ ბრმად ამა თუ იმ გარკვეულ კანონებს. უფრო მეტიც, ისინი არც ცდილობდნენ გამოემუშავებინათ რაიმე „ურყვივი“ კანონები ძირითადი ტექნიკური და კომპოზიციური ამოცანების გადასაწყვეტად. შეიძლება შინაგანი ალღოთი გრძნობდნენ კიდევ, რომ მტკიცე კანონებიდან ზომიერი გადახვევა ზოგჯერ არამც თუ არ ვნებს ინტერიერის მხატვრულ სახეს, არამედ მას ცხოველყოფილობას ანიჭებს. ალბათ ამაში უნდა ვეძიოთ ხალხური შემოქმედების განუმეორებელი მიმოიღველობის საიდუმლოება, სადაც წამოჭრილი წინანდლმეგობანი კი არ ისპობა, არამედ რჩება გარკვეული ჩარჩოებით შეზღუდული. ხალხური მშენებლების საუკეთესო ნაწარმოები მართლაც არასოდეს არაა გამოფიტული, მისი ყოველი დეტალის გადაწყვეტა სალი, რეალისტური მიდგომის საუბრეულზეა გააზრებული.

ქართლის დარბაზის შინაგანი სივრცე მ რ ა ვ ა ლ ე ი ა - დ ი ა. გვირგვინქვეშა კვადრატი ამ სივრცის მხოლოდ ნაწილი, ძირითად ბირთვს შეადგენს. ამისგან განსხვავებით მესხური დარბაზი ერთ მთლიან სივრცეს წარმოადგენს, საფუხურგანი გვირგვინით დამთავრებულს. გვირგვინის დიდი ზომების წყალობით (მისი სიმაღლე იატაკიდან ზოგჯერ რვა მეტრს აღემატება) ინტერიერი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს: ზედა სინათლე აქ თანაბრად ანათებს დარბა-

ზის მივლ სივრცეს, რბილად იჩრდილება მხოლოდ გვირგვინის ფუძის შიგნით დარჩენილი კუთხეები. კარგად განათებული კედლები თვითონაც უკუკართებენ სინათლეს, რის წყალობითაც თანაბრდება და რბილდება საერთო განათება. ჩრდილ-სინათლის კონტრასტი მესხურ დარბაზში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ქართლის ობიექტებში.

რბათის უნიკალური დარბაზების გვირგვინთა კონსტრუქცია სრულიად განსხვავებულია სათანადო სახის ქართული გვირგვინისაგან. გვირგვინის წყობის თვითველი რიგი აქ განხორციელებულია ოთხი კოჭისა და ოთხი მათს ბოლოებში ჩაჭრილი ფიცრისაგან. შემდეგ რიგში ფიცრების და კოჭების თანმიმდევრობა იცვლება. ამის გამო თვითველი რიგის სიმაღლე რბათის დარბაზთა პარალელური წყობის გვირგვინებში თითქმის ორჯერ დიდია, ამავე სახის ქართული გვირგვინის რიგთან შედარებით. გაორკვევული სიმაღლის რიგები აღნიშნულ შინაგანი სივრცის მასშტაბს. ასეთი გვირგვინი ვერდიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს. ინტერიერისათვის უფრო ინტიმური სახის მოსაგებად მშენებლები მიმართავენ კედლის დამუშავების სხვადასხვა ხერხს. კედლის სამწილადი დანაწევრება, ბოძების შეზღუდული სიმაღლე (მაღალი გვირგვინის პირობებში კედლის სიმაღლე არ შეიძლება იყოს დიდი); ბუნების გაპირტები, გარკვეულად განაპირობებენ ინტერიერის მასშტაბურობას, ეტალონს უქმნიან მას სტაბილური ელემენტებით, რომელთა ზომებიც თითქმის ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, დარბაზი დიდია თუ პატარა.

იმ ხერხების ანალოზი, რომლითაც დარბაზის კედლებია დამუშავებული, გვიჩვენებს, თუ რამდენად ღრმად ესმოდით ისტატებს ახალი სიტუაცია, რომელიც შეიქმნა კერის კე-



დღემი განაწილებების შედეგად. რაბათის დარბაზები იძლევიან კედლების მსატრულ-დეკორაციული დამუშავების იშვიათ ნიმუშებს. დეკორით აქ იფარება კედლის ბოძები და ბუღარები, დოლაბის კარები და „ოჯახის ქვა“ (ბუხარი). რვა კედლის ბოძიდან განსაკუთრებით მუშავდება ის წყვილი, რომელთა შორისაც ბუხარია მოთავსებული, ე. ი. დარბაზის მთავარი კედლის ელემენტები. დეკორის ზომები, მისი განაწილების სისტემა შესანიშნავად ეგებება ბოძების მასშტაბსა და აღქმის პირობებს. წყვილ ბოძში იშვიათია ორივე ბოძის ერთნაირი ჩუქურთმით დამუშავება. სააკადის დარბაზის ერთ-ერთ ბოძზე ძნელად ამოსაკითხი სამშენებლო წარწერაა დედებრული ამოკვეთილი. აღსანიშნავია დოლაბის კარების მოპირკეთება, რომელთა კონსტრუქციის გადაწყვეტის სისტემა დღესაც კი გამოიყენება მასობრივ მშენებლობაში.

კარის ან კედლის სიბრტყის დეკორით დასაფარად გამოიყენებოდა თავისებური „ინდუსტრიული“ ხერხები. რთული სხვადასხვა სახის ნახატი აწყობილია პატარა სამკუთხედიანი, სწორკუთხედიანი ან რომბული ფორმის პროფილირებული ან ამოღებული ფორფიტებისაგან, ინკრუსტაციის წესით. ეს ელემენტები ფერულ ფილაზე სპონუნდია ნაჭერად იფიქსირებული ლურსმნებითაა მიკრული, რომლებიც თავისთავად ორნამენტული მოტივის აქტიურ ელემენტს წარმოადგენს.

ბუხრის საერთო ფორმა, მისი ორნამენტული დამუშავების წესები დაკავშირებულია მთელი კედლის კომპოზიციასთან. ჩუქურთმის ტრის ძირითად წესად აქვს, როგორც ხისათვის, სამკუთხედიანი ჩაჩრა რჩება, თუმცა გამოიყენება ქვის ჩუქურთმისათვის ჩვენში მიღებული ხერხიც — ორნამენტის რელიეფური კვეთა ჩაღრმავებულ ბრტყელ ფონზე. განსაკუთრებულ ინტერესს ამ მხრივ სააკადის მცირე დარბაზის ბუხარი წარმოადგენს. ამ ობიექტის ხუროთმოძღვრება თავისი კომპოზიციური გააზრებითა და მონუმენტურობით, საერთო გრანდიოზულობითა და მსატრული დეკორის შესრულების სიფაქიზით ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს.

ასალციხის ზოგიერთ დარბაზში შემორჩენილია შინაგანი სივრცის გადაწყვეტის ერთი საინტერესო ხერხი, რომელიც მდგომარეობს დარბაზის ერთი მხრიდან მდებარე სათავსების ორ იარუსად გადაწყვეტაში, ყირქუსლიანთ ცნობილ დარბაზში ასეთ ზედა სართულში ე. წ. აჯილაკი ა მოთავსებული, რომელიც დარბაზთან რიკულებით შემკული „აინითაა“ შეერთებული. ასახლეული აჯილაკში დარბაზიდანაა მოწყობილი. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით აჯილა — „საქორწილო ტახტია“. მეტად საგულისმთა, რომ მიდრეკილი კედლებითა და ბუხრით შემკულ დარბაზებში გვირგვინის კოჭები თითქმის არასოდეს არ იფარება ჩუქურთმით. ასეთი თავდაბერილობა რეკუთხოვანი გვირგვინის ფორმათა ტექნიკური დამთავრებულობითა და სიმდიდრით უნდა აიხსნას... ჩრდილსინათლის არარეკულებრივი სიმძაფრე არ საჭიროებს ფორმების დამატებითს დაქუცმაცებას, დეტალების გართულებას. ასეთი იყო, ყოველშემთხვევაში, იმ ხალხური მშენებლების კონცეპცია, რომელთაც შექმნეს ასალციხის დარბაზების განუმეორებელი ინტერიერი, გამსჭვალული მშვიდი დიდებულებითა და კეთილშობილური უბრალოებით.


ქართული დარბაზის ინტერიერში ჩვენ ყურადღებას უნდა გვაქციოთ ღრმად გააზრებულ, კლასიკურიდან განსხვავებულ გადაწყვეტას ბომ-ბალავარის ტექნიკური ურთიერთობისა, რომლის წყალბოთიაც სათავსის ხუროთმოძღვრებაში თითქოს ცხოველი სუთქვა იგრძნობა. მალის შუაში ბოძის აღმართვა, ამ უკანასკნელის მკვერდივით გამოღობა, ზემოთკენ გაგანიერებული სიბრტყე, ბუღარისა და კოჭ-ბალავარის მსუბუქი შეზნელობა, ბევრად ამ ელემენტის უაღრესად თავდაბერილი და ღრმად მოფიქრებული შემკობა, — აი ის ძირითადი ხერხები, რომლის წყალბოთიაც ქართლის დარბაზს განუმეორებელი შთაბეჭდილები ძალა ენიჭებოდა.

ისმება კითხვა: რატომ იყო იგნორირებული საკუთრების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეს ღრმა ტრადიციები მესხეთის დარბაზებში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ საჭიროა გაიკრძვას: რა პირობებში წარმოიშვა და განვითარდა ქართული ინტერიერის აღნაგობა, მისი ნაწილების მსატრული დამუშავების წესები.

დღემდე შემორჩენილი მდიდარი მასალის შესწავლამ უნიკალური ობიექტებიდან დაწყებული და გათავებული პრიმიტიული, თითქმის პირველყოფილი ობიექტებით, რომლებმაც რელიგიურულად შემოინახეს მშენებელთა პირველი გაუბედავი ნაბიჯები — დაგვარწმუნა იმაში, რომ ყველა ეს ხერხი თ ა გ და პ ი რ ვ ე ლ ა დ მ ო წ ო დ ე ბ უ ლ ი ი ყ ო უ მ თ ა გ

დარბაზი სოფ. კაკარიში (ვარძიის ახლოს) ლ. სუმბაძის გრაფიკა ავიომონაჟი





ნასკიდაშვილის დარბაზი სოფ. ვალეში

რესად ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩვენმა კვლევამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ერთობიანობა დარბაზისა თავდაპირველად მასალის გონივრული, ეკონომიური გამოყენებით იყო გაპირობებული. შესულადი სიგრძის (5-7 მტ.) განივ კოჭს არ სჭირდებოდა შუაში ერთ ბოძზე მტეი საყრდენი.

დედაბოძის წაგრძელებული (არაკადრატული) კვეთი, მისი „სიბრტყილობა“ დაკავშირებულია კოჭ-ბალავარის სიგანეზე: არ არის მიზანშეწონილი, რომ ბოძის სისქე აღემატებოდეს მასზე დაყრდნობილი კოჭის სიგანეს.

დედაბოძის შემოთქენ გავანერგება გამოწვეულია კოჭისათვის ფართო და მოხერხებული საყრდენის მოწყობის სურვილით. ამავე ამოცანის გადაწყვეტასთანა დაკავშირებული ბულარის დატანება კოჭსა და ბოძს შუა. იგი ამსუბუქებს კოჭს, აადვილებს ბოძის ვერტიკალის პირიონტულ კოჭთან დაკავშირებას. ტენდენცია დაყრდნობის ფართის გადიდება იგრძნობა ყველა ქვეყნის არქიტექტურაში, მისი განვითარების პირველ ტაპზე. ხიზანერას ფესვგადგმული დედაბოძის სამტრტა ზედა ნაწილიც ამ პრობლემის გადაჭარზე იყო გაანერგებული. ქართული დედაბოძის პირველი სახე სწორედ ტოტემის განშტობაზე გადაჭრილ ხეში უნდა ვეძიოთ.

კოჭ-ბალავარის შეზნეილობა ყველაზე ორიგინალურად მწვლად განსამარტი ხერხისა ხის ხუროთმოძღვრულ ფორმებში. იგი ქართულ დარბაზში საუკუნეების სიღრმეშია დაბადებული და განვითარებული.

ჩვენმა კვლევამ აქაც დაგვარწმუნა, რომ ეს ხერხი თავდაპირველად გამოყენებული იყო გვირგვინის აქეთ-იქით მდებარე ბრტყელი ბანისათვის ქანების მისაცემად. გახრილი კოჭის გამოყენება ამ საკითხის ტექნიკური გადაჭრის ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) გონივრული საშუალებაა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა ეთამაშა აგრეთვე სამშენებლო მასალის ხასიათსაც. მუხის, წაბლის და სხვა ფოთლოვანი ხეების ხეებში, რომლებიც ქართლურ დარბაზებშია გამოყენებული, ძნელი არ იყო ბუნებრივად გახრილი კოჭის ამორჩევა.

მესხური დარბაზების მშენებელთა არ დასჭირვებიათ ამ ტექნიკური ამოცანის გადაჭრა. დარბაზის კვადრატული სათავსო მთლიანად იხურება გვირგვინით. ამიტომ ცალკე მდგარი დედაბოძი აქ არ არის საჭირო. კედელზე მიდგმული მომცრო ზომის ბოძები მიზანშეწონილი იყო გვირგვინის ფუძის რვაკუთხედის კუთხეებში შეყენებისათ: კედლის შუა ადგილი ხომ ინტერიერის წამყვანი ელემენტით, ბუნებრივად დაკავებული! მალევის სიმცირის გამო ბოძებს არ სჭირდებათ ზედა განივგზავ. ამას გარდა, ფიჭვი და სოჭი, რომლებიც ამ დარბაზებშია გამოყენებული, ადვილად დასამუშავებელი მასალაა. ეს გარემოება აპირობებს ფორმების გეომეტრიულ სიზუსტეს. არავის სჭირდება აქ კოჭის გახრაც ბანისათვის დაქანების მისაცემად, რადგან დარბაზის ფარგლებში ბანი არ არსებობს ეს ფართი მთლიანად გვირგვინითაა გადახურული. სამშენებლო მასალა და განვითარებული ტექნიკური ხერხები (მესხური დარბაზის ტიპური სახე ბევრად გვიან უნდა იყოს ჩამოყალიბებული ქართლურ დარბაზებთან შედარებით), საშუალებას იძლევიან უფრო ზუსტად და სუფთად გამოიკვეთოს ხის კონსტრუქციები.

ვროსსკის აღზრდილია მოცკვავეთა მთელი პლეადა: უკრანინის სახალხო არტიტები ე. ერსოვა, ო. პოტაპოვა, ნ. აბუტჩინი, ა. ბელოვი, უკრანინის დამსახურებული არტიტები: ა. გაფრილენკო, ვ. კალინოვსკაია, ვ. ფერო, ა. მიჩინი, ვ. პოტაპოვა, რ. კლავინი, ფ. ბაკლანი, მ. ნოვიკოვი და მრავალი სხვა. მისი პედაგოგიური მუშაობის დამაგვირგვინებელია კიევის სახელმწიფო ჭორფორაფიული სასწავლებლის გამოსაშვები კომისიის თავმჯდომარეობა.

წინ კვლავ ახალი შემოქმედებითი გეგმებია, თანამედროვე ადამიანების სახეების ჩვენება ბალეტში, ოცნება ქართული ბალეტის დადგმაზე, ახალი პროგრამების განხორციელება ბალეტისთვის ყინულზე, ახალი მხატვრული „ფილმი-ბალეტების“ შექმნა.

კვლავ დიდი და დაუღალავი მუშაობა ელის ღვაწლმოსილ ბალეტმაისტერს ვახტანგ ნადირაძე-ვროსსკის ხელოვნების სარიბელზე.

ამასწინათ მოსკოვში გამოვიდა ცნობილი საბჭოთა კინო-მცოდნის როსტილაფ იურენკის საინტერესო მონოგრაფია „საბჭოთა კინოკოლეჯი“. ავტორს უდიდესი შრომა გაუწევია, რათა თანამედროვეობა და დამატებული ინტენსივობა ის როდული, დაუცხრომლო შემოქმედებითი მიხედვით აღსაყვანად, საბჭოთა კინოკოლეჯიდან განვლო მწვერი კინემატოგრაფის პირველი კომედირი ლენტეხიანი დაღმეფ. რ. იურენკის წინა მებად სასა-მოცო შოაქედლებს ტრავმა. პირველი გვერდებიდანვე გვიტყვის ამ ქელტანიანი ნაშრომის დახვეწილი ფორმა, შინაარსი გაპრობებული ნების ხალხიანი და თავისებური მანერა, თეორიული თუ ფაქტობრივი მასალის მწვერუბის ავტორიული უნარი. მას კიდევ უფრო მეტ შემეცნებით ღირებულებას ანიჭებს.

ავტორი დიდი პასუხისმგებლობის ტანჯობით მოკიდებია ამ მძიმე და რთულ საქმეს. ამიტომაც, სჭირდებოდა მიჩნევეს, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, დასაწესის რამდენიმე თეორიულ საკითხსაც შეეხოს, ექრძოდ. შუთაწამდის მკითხველს იმ სპეციალური ტერმინებისა და ცნებების შინაარსის შესახებ, რომლებსაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, წინის თითქმის ყოველ გვერდზე ვხვდებით. ესენია — სიცილი, კომეკური, სატირა, იუმორი, ვანრი, ტრიკიტი, და ა. შ. წერილად ამ საკითხების გარკვევას ცდილება წინის საქმალ ვრცელი შესავალი.

ეს სწორი შეცენიერული ალღო და მეთოდი, თანამედროვე მკითხველის მიმართ ასეთი უპრადღებისა და პასუხისმგებლობის გამოჩენა, წითელი ზოლოთი გასდგეს რ. იურენკის მთელ წინეს, რაც მას კიდევ უფრო მეტ შემეცნებით ღირებულებას ანიჭებს.

საბჭოთა კინოკოლეჯი

ძმალ ოსტატთან დამსახურება
პროფესორ კინოსტუდიითა კომედიანტ
„პაპო“ და სხვანი
მეზობლობითან — დამსახურებალ

რიტისლავ იურენკეი



აბჭოთა კინოკოლეჯის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ცდებს, რომელსაც ატარებდნენ რეჟისორის ძველი ოსტატები ი. პორტაჩანოვი და ი. პურესტიანი კომედიური სახეებისა და სიტუაციების შემწინთ არაკომედიურ ფილმებში, მაგრამ, თავისთავად, ეს ფილმები კომედიის ცალკეულ ელემენტებს შეიცავდნენ.

1923 წ. ი. პურესტიანმა მწერალს — კომუნისტის პ. ბლი-ახინის სცენარის მიხედვით დადგა ორსერიანი სურათი „წითელი ემშაკუნები“. მახინოელთა მიერ მოკლული რეინიგულის ქალ-ვაჟისა და ნოვოროსისკში ამერიკულ გემს ჩამორჩე-

თემის საერთო კომპოზიციური მთლიანობისა და სისრულის მიზნით, წიგნს წამყვანად რეზუმე აქვს განყოფილება „რევოლუციამდელი რუსული კინოკომედია“. არ თქმა უნდა, ზემოთაა ლაპარაკი რევოლუციამდელი რუსული კინემატოგრაფიის ტრადიციებისა და შემკვლერებობაზე იმ გაგებით, როგორც ეს თქმის, მავალითა, ავტორის, მუსიკისა და თეატრის შემკვლერებობაზე, მაგრამ ზუსტად მანც მინიშნა საქმეოდ (და სამართლიანადაც) ვაგუშუქებინა საკითხი, თუ როგორი ნიადაგი და ტექნიკური ბაზა დახდა საბჭოთა კინოკომედიას.

რ. იურენევის წიგნი ოთხი თავისგან შედგება: „ოციანი წლები მსწერი კინოკომედია“, „ოცდაათიანი წლების მსოფიანი კინოკომედია“, „კინოკომედია დიდი სამამულო ომის წლებში“, „ომის შემდგომი და თანამედროვე კინოკომედია“. ავტორი თავიდანვე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუ რევოლუციამდელი კინოკომედია უბრალოდ გაერთიანდა საშუალება იყო, რევოლუციის შემდეგ იგი უკვე ავტოკონია და პროპაგანდის მშლავი იარაღი იქცა. ამიტომაც, საბჭოთა კინოკომედიის პირველი ნაბიჯებიც სწორად იდურებოდა და რეალობის გზით წარიმართა. ახალდაწყება და ენთუსიატებთან ერთად თავი გამოიჩინეს ძველმა ახალდაწყება: პ. ჩარმაში, ი. პრუტკანოვმა, ი. პერეტკანოვმა, ი. პანტელევმა. ავტორი სპეციალურ შემოქმედებით პირველობს უძველეს ისეთ ოსტატებს, როგორც არაბი ი. პრუტკანოვი, ივანე ილიჩი, პ. ზარნდი, ივ. პირაივი, ალ. შვედენდრაი, გრ. ალექსანდრევი და სხვ. ასევე ცალკეულ თავებს უთმობს ფილმებს (სიკრაქ, „ვლადკავ-ვლადკა“, „ტრაპეზო-

რისტიბი“, „ერთგული მეგობრები“), რომელთაც განსაკუთრებული როლი თამაშეს საბჭოთა კინოკომედიის განვითარების საქმეში.

რ. იურენევის წიგნი „საბჭოთა კინოკომედია“ ჩვენი კინოლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. მას არ აქვს მარტო ვიწრო, სპეციალური მოზანდასახულება. ამ წიგნს ერობრივი ინტერესით გაეცნობა ყველა დანიტერესებელი მკითხველი. ავტორი წიგნს მოწონარათაის უწოდებს, მაგრამ თავის ზეჯ მასალით (მს. საავტორო თაბის), მსჯელობის ფართო მასშტაბებითა და დარბა პროფესიული ანალიზით მას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ საბჭოთა კინოკომედიის ნამდვილი ისტორია.

ჩვენივე განსაკუთრებით სასამოცნაო იმის აღნიშვნა, რომ ერთგული კინემატოგრაფიების ნიშნებიდან ავტორი ყველაზე მნიშვნელოვან როლს საბჭოთა კინოკომედიის განვითარებაში ქართულ კინოკომედიებს ანიჭებს, თუმცა ვხედებით აშკარა შედღერებებსა თუ უმნიშვნელო ლაფსუსებსაც. რ. იურენევი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ისეთ ქართულ ფილმებს, როგორცაა ს. ფალაქანიშვილის — „იუდეუსა მშობივი“, ზ. მაკაროვის — „ნანაშობი“, ლ. დომიანი — „კერქიანი“ და სხვ. ზოლო მსაბობიბიდან ზაზაგანიშვილამდე ყველაზე მაღალ შეფასებას სწამოთ უთრეოვლიანა.

ამ მხრივ, მისაწმენდილად ჩავთვალეთ ქართველი მკითხველისათვის მთავრულიდან ამ წიგნიდან ერთი მცირე მოწაკეთის თარგმანი.

ნილი ზანევი ბიჭის თავდადასავალში ფილმის ავტორებმა გაანაზიერეს რომანტიკული სული რევოლუციური ახალგაზრდაობისა, რომელთაც სინამდვილეს, სინამდვილეს, თავგანწირვისა და ნებისყოფის სასწაულები გვიჩვენებს... მაყურებლის ხიბვლად გონებამთავრული ოთხეტი „წითელი ეშმაკუნებისა“, რომლებსაც ასრულებდნენ ცენტრის მსახიობები პ. უსკოვსკი, სიგივი ორუხვი და კადორ ბერ-სელიმი... განსაკუთრებით ნათელი სატირული სახე შექმნა ახალგაზრდა თბილისელმა მსახიობმა, შემდგომ შესანიშნავი კომედიის — „ნახვამლის“ ავტორმა ზ. მაკაროვმა. მისი ფერითგორი, რომელიც გერმანულ ოკუპანტებს ჩამორჩა და ასლა მასნოსთან მსახურობდა ჯალათად, ნამდვილი რისხვით იყო გათამაშებული, მას როლის ნეტად ბოროტი გარეგნული ნახატი ჰქონდა.

„წითელი ეშმაკუნების“ ფინალურ ეპიზოდებს მეგობრული სარხართ ხედვებოდნენ არა ერთი თაობის მაყურებლები. ხის ტრიბუნაზე, რომლიდანაც ლევენდარული არმიის საარდადეგო ბუდების მეზნებარე სიტყვას წარმოთქვამს, ყმაწვილი მსვერბელი ვიეპერული ტომარას ამოათრევენ, იქედან კი „მამიკო“ მასნოს — გაკოჭილს, დამკუჭვილს, მტკრიანს, ბერავს. მაყურებელმა იცოდა, რომ სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა, მაგრამ ეს კომედიური ეპიზოდი, რომელიც დასცინოდა ბანდიტ-ანარქისტების ისტორიულად განწირულ ბედს, მხატვრულად მართალი და პოლიტიკურად ზსწორი იყო. სიცილი ეს სულაც არ უშლიდა ხელს ფილმის ფინალის გმირულ ინტონაციებს, პირველი — ფალაქანიშვილი გამომყოფდა მათ. „წითელი ეშმაკუნების“ კომედიური ეპიზოდების იდეურობა და შინაარსიანობა იყო ამ ფილმის უდიდესი ისტორიული მიღწევა...

მიკოქემეტრატვიანმა კომედიებმა აგრეთვე ცალკეულმა ეპიზოდებმა ი. პერეტკანის — „წითელი ეშმაკუნების“, ი. პრუ-

ტანოვის — „აელიტას“ და ა. პანტელევის „სასწაულ-წოქედნი“, გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მაყურებელი ხალხის იღებს მხიარულ, მხნე და ბრისხანე სატირულ ფილმებს, რომ რევოლუციური შინაარსი შეიძლება გამოიხატოს კომედიური ფორმითაც, რომ ჩვენი გაგავარსა შემოქმედებითი ძალეული და შესაძლებლობანი სასაცილო და შინაარსიანი, მხიარული და გონივრული სურათების შესაქმნელად...

ერთგული თავისებურებით, განუმეორებელი ხალხური იუმორით გამოირჩეოდნენ რესპუბლიკური სტუდიების კომედიები, განსაკუთრებით ქართული და სომხური ფილმები, რომლებიც შექმნეს მიხელო ჭიკაურელმა, ამო ბეკ-ნაზაროვმა, ზ. მაკაროვმა, ს. ფალაქანიშვილმა¹ და სხვ.

ოციანი წლების მეორე ნახევარში მოკავშირე რესპუბლიკათა ერთგულმა კინემატოგრაფიამ სწრაფად და მტკიცედ დაიწყო განვითარება... მაგრამ ეს პროცესი იოლად და თანაბრად როდი მიმდინარეობდა ყველა რესპუბლიკაში... საბერძნობი, წარუმატებლობებს უკარანსა და ბელორუსიაში შეიძლება დაუპირისპიროთ წარმატებანი საქართველოსა და სომხეთში. კინო კავკასიის რესპუბლიკებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლიტერატურასთან, თეატრთან და ფერწერასთან, იქ სწრაფად გამოვლინდნენ ნიჭიერი ოსტატები, რომელთაც რადენიმე მაღალმხატვრული ღირსების კომედია შექმნეს...

თუმცავე მზავაფეროვნებს, თანამედროვე და ისტორიულ კომედიებში წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა.

თავდაპირველად მათ კომედიების მასალად ძველი, თ-

¹ უნდა იყოს ს. ფალაქანიშვილი. (მთარგმნელის შენიშვნები).

ატრას და ლიტერატურაში ნაცადი სიუჟეტები გამოიყენეს. მაგრამ ასლავარდა კინორეჟისორები პირველწარმოების აძლევდნენ არა მარტო მწვავე კინემატოგრაფიულ ფორმას, არამედ თანამედროვე საკინობოროტო ელენარობასაც. ასე, მაგალითად, ქართველების საყვარელი მუსიკალური კომედია² „ქეთო და კოტე“, რომელიც ალ. წიქრიანი დადგა, ძველი ყოფითი გადმოწამების წინააღმდეგ მიმართული სატირული იარაღი იყო. კინოფილმს წოდდა „ხანუმა“. ხანუმას როლს ასრულებდა ცნობილი თეატრალური მსახიობი ელ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც უხვად გამოიყენა მკვეთრი, გროტესკული ფერები. სხვა როლებში გამოვიდნენ ასლავარდა, მაგრამ უკვე ცნობილი მსახიობები: ს. ჟოხვიციანი, მ. ჭიაურელი, თ. ბლაგაძე³, კ. მიქაბერიძე. მათ სიტყვობით სასვე თამაშში თანამედროვეობის ქოლა იგრძნობდა.

„სამანიშვილის დედინაცვალის“ (დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით) დადგმაში სცენარისტის სახით მონაწილეობა მიიღო მომავალში საქართველოს ერთ-ერთმა საუკეთესო კინორეჟისორმა ნიკოლოზ შერვაშიაძემ. ფილმის დამდგმელი რეჟისორი, თეატრის უდიდესი მოღვაწე კოტე მარჯანიშვილი განსაკუთრებით კარგად და უნაჩინად მუშაობდა მსახიობებთან. ა. ვასკაძე, შ. ლაბაშიძე, ნ. ჯავახიშვილი თანამდებდნენ ნათლად, ძალიანადა. მაგრამ თვით ამ შესანიშნავ ანსამბლშიც კი გამოირჩეოდა სანდრო ჟორჟოლიანი. მისი ფიგურა და მონარქიკო იმერელი თავადი, გარკვეულწილი რომ დღვარდინი გაორეული შესცქერის, ნამდვილი შედევრი იყო კომედიური ოსტატობისა. სანდრო ჟორჟოლიანის სახელი „სამანიშვილის დედინაცვალში“ დაწყებული ქართული კინოკომედიის საუკეთესო ნაწარმოებთან არის დაკავშირებული. თუ იგორ ილინსკის კომედიურ სახეებში ექსცენტრიკადა გვაცნობრება თავისი ბუნებრიობით, ხოლო ჭკვიის არარეველებრიობა შესანიშნავად ვერწყმობდა ყოფით ფონსა და თავის უაზრობით ხაზს უსვამდა ხშირად ჩვეულებრივის უაზრობას, თუ ხანაინანი⁴ ექსცენტრიკის ქვეშ ეშმაკს მალავდა და ამით გამოხატავდა სომეხი გლეხის ხასიათს, სანდრო ჟორჟოლიანმა თავის მრავალრიცხოვან კომედიურ სახეებში გამოსახა ქართველი ხელოვნის კინტოს⁵ ერთგული თვისებები. მის გარეგნულ მოუსვენარ გულბრწყინობასა და გულკეთილ შფოთიანობაში ქართული ხალხური იუმორი ცოცხლობს, „სამანიშვილის დედინაცვალში“ წარსული საუკუნის მფლობელი თავადის როლის შესრულებისას, ჟორჟოლიანმა არისტოკრატიულ ჭიშკვაბაქობას კინტოს ჩვეული შეუხამა და შესანიშნავ კომედიურ წარმართვასაც მიღწია.

ლიტერატურულ და მუსიკალურ-თეატრალურ მემკვიდრეობაზე დამყარებულ კომედიებთან ერთად საქართველოში თანამედროვე რეჟისურასაც მიჰყვება ხელი. საყურადღებოა რეჟისორ ე. კახიძის კომედია „კოფი — მამაცი მფრინავი“, რომელშიც გულთბილად არის ნაჩვენები ქართველი ბიჭუნების

საყოველთაო გატაცება ავიაციით და რეჟისორ კ. მიქაბერიძის „მეზიანეში“, რომელიც ბიუროკრატიზმსა და პროტექციონიზმს დასცინის. ორივე ფილმი ძველისა და ახლის ურთიერთგადასლართივით აღმკვდრელი საკართველოს თანამედროვე ყოფის ცოცხალი ნიშან-თვისებები.

ქართველი კინემატოგრაფისტების ყურადღება ახლასდომი, მათი უნარი — გვიჩვენონ ახლის შეჯახება ძველთან, ნათლად გამოვიინდა ს. კიწეშვიტინის მიწაფის სიკო ფლავანდშივილის ნიჭიერ კომედიაში „უქუენას მზითივი“... რომელშიც საკომუნერნო ქართული სოფელი, მისი ასალი შრომითი ურთიერთდამოკიდებულება ნაჩვენები იყო უჩვეული. მაგრამ შთამბეჭდავი თვალსაზრისით. ფილმის გმირი იყო ცხენის ქურდი, ამ პროფესიის ნამდვილი რომანტიკოსი.

ასლავარდა მისიბიბილულმა მსახიობმა ვ. კავთაშვილმა კარგად გამოხატა, თუ როგორ უბიძგა ასლავარდა ვარდენს ასალი ცხოვრების შიშმა, რომელიც კიდევ უფრო გაღვივდა კულაკისა და ქურდის წაქეშებითა და შთაგონებით, დაქუყო ცხენის ქურდობა. მაგრამ კოლმურენია ნდობა, ცხენის სიყვარული და, რა თქმა უნდა, კოლმურენობის თამგჯდომარის ქალიშვილის ეუენუსა (ა. თოიძე) შავი თვალები საბოლოოდ შეუცვლის მას ძველ რწმენას. მრავალი მხიარული თვადასავლის შემდეგ იგი ვარდაქეშნება და კოლმურენობის ცხენების ერთგული მცველი, საკომუნერნო საკუთრების შვენებული დამცველი გახდება. მთლიანი უპერსპექტივობა ყარაღური საქმიანობისა საკომუნერნო სოფელში, სადაც ცხენები კოლმურენობის საკურთება, სადაც მოპარულს არავინ იყიდის, სადაც ინდივიდუალური კეთილდღეობა დამოკიდებულია საკურთოზე და სადაც შრომა თავისუფალია, ქმნის გონწამახსიკურ, ნამდვილად კომედიურ სიტუაციებს. უფრო უხუტად არის მიცემული ხაზი მანგებელი კულაკისა, მისი ძირგამომთხროლი მოქმედებისა კოლმურენობის წინააღმდეგ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნათელი, მზიარული, ორიგინალური კინემატოგრაფიული ენით მოთხრობილი ფილმი „უქუენას მზითივი“ უღაოდ წარმატება იყო...

მუნჯი ქართული კინოფილმების გვირგვინად იქცა რეჟისორ გ. მაკარაულის ფილმი „ნახავამის“, რომელმაც „საბარდაზე“ ნაკლები როლი როდი ითამაშა სამჭოთა კინოს განვითარების ისტორიაში: ეს არის არარეველებრივი, შეტად თავისებური სურათი რგორც თემატიკის, ისე მხატვრული საუფალებების მხრივ.

„ნახავამის“ ისტორიულ-რეგულიციურ თემაზე აგებული კინოკომედიის უფორმული მრავალფეროვნება გ. მაკარაულისა და ე. კუპარაშვილის⁶ სცენას საფუძვლად დაედო ლეგენდარული კამის რეველაციური მოღვაწეობის რამდენიმე ეპიზოდი. კომედიაში ორგანულად ექსპოზიან ერთმანეთს მამაცი რეველაციონერის კეთილშობილური სახე და სატირული სცენები, რომელთაც საშუაროზე გამოაქვთ მეფის სულეური პოლიციისა და ყოყნა, შარანი ქართველი თავადების ცხოვრება.

რეველაციონერ სპირიტულ ლომიძეს სასამართლო 20 წლის კატორღას მიუსჯის... მეგობრები ვერ ახერხებენ მის გა-

² „ქეთო და კოტე“ არის არა მუსიკალური კომედია, არამედ კომპოზიტორ ვ. ბოლქვაძის კომედიური ოპერა.

³ იქნა იოს თ. ბოლქვაძე.

⁴ ხანაინანი — ცნობილი სომეხი მსახიობი.

⁵ აქ ავტორი გულისხმობს ს. კორკოლიანის შემოქმედებაში ქალური იუმორის ნაკადს, მის კინტოს როლი არსოდეს არ უღამაზნია არც კინოსა და არც თეატრში.

⁶ უნდა იყოს ნ. კუპარაშვილი.

პარებსა და სპირიდონი მეტეხის ციხეში აღმოჩნდება... ეს დასაწყისი სხვა რომელიმე ფილიმიდან შემთხვევით მიტანასწორ სცენაზე გვჩვენებთ, როცა მოქმედება გადადის თავად ირმელის მამულში. მდიდარი, გაბნეული, ჩასქელებული და ვითაც და მისი განატყავებული, გაფლავებული და უშმაკი ძმა ჯიმშირი ხანჯლებით შეიარაღებული მთელ ბატონობებს მართავენ ხის საპირფარეშოს გამო, რომელიც მათი მამულების საზღვარზე დგას. როცა ჯიმშირი სასამართლოში გამოიძახებს დავის, ეს უკანასკნელი თავის გაეიშვილს, ლოთ-შფოთ თენჯინის გააგზავნის...

თენჯიზი კი, რა თქმა უნდა სასამართლოს მაგიერ დუქანში შევა. აქ დრამატულად შთაგრძობა მისი ლოთობა... რომლის დროსაც მისდაუნებურად მოაწერს ხელს ბიძამისის ადვოკატის მიერ ფარულად შემოპარებულ ქაღალდს საკამათო მიწაზე უარის თქმის შესახებ. განმორებისას თენჯიზი ხსრლას ბატონს და მსუბუქად დატყრის ერთ-ერთ ამხანაგს. მარგარა მას აგონია კაცი მოვკალიო და პირდაპირ დუქნის ფანჯრიდან სდება მტკვარში.

და სწორედ აქ იწყება კომედიის კვანძი წამიერად და ორიგინალურად. მტკვარში ერთმანეთის მიყოლებით სტეპა ორი მივსვარავე. აჭაფებულ მორცხვი ისინი შეგდებათ და ასე ვთქვათ, ბედს უცვლიან ერთმანეთს. გამოფხიზლებულ თავად-დივიდოს სპირიდონ ლომიძის მეგობრები ამოიყვანენ, დაარწმუნებენ მკვლელი ხარ და აუცილებლად უნდა მიიშლიო. სპირიდონი კი თავად ირმელის საბუთებით საზღვარგარეთ აპირებს წასვლას. მაგრამ ვითარება ხელახლა შემობრუნდება: სპირიდონს იცნობენ¹ სადგურზე, აპატიმრებენ და დასაკითხას მიჰყავთ.

მსახიობი მიხეილ გელოვანი სპირიდონს ხან ირონიითა და ხან სათითოთი თამაშობს. თავმოწმონე თავადი აღფრთოვდება, როგორ თუ გაბედულ, ვიდრე გაქვეყნადი კატორღელი გგონივრით და პირდაპირ გააშტერებს პოლიციელებსა და ჟანდარმებს. მაგრამ მსახიობის თავადობა ვეხდავით მხარულ და გაფორმებულ ცეცხლს, რომელიც გვაღელვებს, გვათითოლებს და... გვაყინებს გვირთან ერთად...

რეჟოლუციონერის არისტოკრატიად გადაქცევის სიტუაციას ხშირად იყენებდნენ მუნჯ კინოში... „ნახვამობა“ შემქმნელები ადვილად შეიძლება გაკვირდნენ გასართობი „კვი-პრო-კოს“ გზას, ასე ბუნებრივად რომ აღმოჩნდება ხოლმე გადაცემულ გმირებს. მაგრამ მათ აირჩიეს სხვა, უფრო ორიგინალური და ახლებური გზა, რომელმაც მეტი კომედიური ეფექტი გაზიარა.

ჟანდარმები მაინც გადაწყვეტენ გაარკვიონ „თავად ირმელის“ ვინაობა. ამას კი მოყვება რამდენიმე შესანიშნავად დადგენილ ამბავებზე და სასაცილო, გმირული და სატირული სცენა.

სპირიდონ ლომიძის თანასოფლელები წინასწარ გააფრთხილეს რეჟოლუციონერებმა და ისინიც, როგორც ერთი კაცი, უარს ამბობენ სპირიდონის ნაცნობობაზე, პირველად ეხდავით. შესანიშნავად მიტყავს მამასხლისის როლი სანდრო ჟორჟოლიანს. მისი ტრამპაზა მამასხლისი, რომელიც ახ-

ლასან დიდის ამბით უამობობა ცოლს, ვითომდა ასე და ასე გაუსწორებდნენ უარ გლახებსო, უცებ მათ, ამ გლახებს, ხედავს საკუთარ ოთახში შეიარაღებულნი რომ შემოუჭვდებიან მაგიდას. მსახიობმა არაჩვეულებრივი გამოხასპელობით გაითამაშა მკვეხარობიდან მოიქველურ პოზიციაზე გადასვლა.

ამ კომიკური პანტომიმის გვერდით განსაკუთრებულ დრამატუზმსა და სიბოის იქნენ სცენა, როცა სპირიდონის მოხუცი დედა (ნ. ჩხეიძე) თვალს ვერ მოსწყვეტს შვილს, თითქოს ეალურსებაო, მაგრამ მაინც უარს ამბობს მის ცნობაზე.

გასაკადურად არის გადაწყვეტილი „თავად ირმელის“ გამოცნობის სცენა საკუთარი ნათესავების მიერ. რა თქმა უნდა, იმა ჯიმშირი მზაკერული სისხარული ამტიკეებს სპირიდონი ჩემი ძმისშვილი თენჯიზიაო... თვით მამა კი, აპარტკვანი თავადი დავითი, რომელსაც არ დავიწყებია, რა სამარცხვინოდ წავაო მისმა ვაჟმა პროფესი, რისთვის ავხადებს სასამართლოში — შვილი, რომელიც მამას გაპყიდის, შვილი კი არა, ძაღლის შვილიაო. სასამართლო ამას, რა თქმა უნდა, მიიღებს როგორც მამის ადიარებას...

მეტად მაკარი და მოკრძალებული აღმოჩნდა რეჟისორ გ. მაკაროვის ბედი კინოხელოვნებაში. თავდაპირველად მან იმით დაიწყო, რომ ი. პერესტიანის ასისტენტი იყო „წითელი ეშმაკუების“ შექმნისას. ამავე ფილმში შთამბეჭდავად ითამაშა მახინელი ჯალათის როლი... შემდეგ ათ წელზე მეტი იგი ასისტენტობდა სხვადასხვა რეჟისორებთან, თამაშობდა პატარა პატარა როლებს, მუშაობდა სცენარისტზედაც... და ბოლოს, პირველი დამოუკიდებელი ფილმი!

„ნახვამობა“ — გ. მაკაროვის დიდი ნიჭიერების, გონება-მახვილეური, მხატვრული გემოვნების, მაღალი კინემატოგრაფიული კულტურის უტყუარი ნიშნებია. მულოდნელმა სიკვდილმა შეწყვიტა შემოქმედებითი გზა კომედიოგრაფისა, რომელიც ასე ბევრს გვაპირებოდა.

ს. ფალავანდიშვილის სიკვდილი... სიკვდილი გ. მაკაროვისა... მიხეილ ჭიკაურელი განუდგა კომედიურ შემოქმედებას. ასე ჩაიშალა ქართული კინოკომედიის შესანიშნავი აღმადრენა 30-იანი წლების დასაწყისში. რამდენიმე წლის შესვენების შემდეგ მოვიდნენ ახალი რეჟისორები, რომლებმაც სატირის კეთილშობილური ბასრი მახვილი ლირიკული ვოდვილების ყვაველებითა და სიმღერებით შეცვალეს. ამ ვოდვილებს აკლდათ აზრის სიბრძნე და სიმწვავე. მაგრამ ცოცხალი ხალხური იუმორით დაბადებული, ეროვნულ ლიტერატურულ და თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილი მაღალი ქართული კომედია, რომელიც კარგად უხამებს ერთმანეთს ღვარძლიან სატირისა და სიცოცხლის სასუე იუმორის, მე მჯერა, ისევე აღსდგება...

30-იან წლებში ჭიკაურელისა და მაკაროვის, პროტაზანოვისა და პირივის, მედვედკინისა და სხვა რეჟისორების მიერ შექმნილი კომედიები მაღალიდურგობითა და მხატვრული ღირსებებით გამოირჩეოდნენ... მაგრამ ამ კომედიების „სიმწვაჟე“, მაშინ როცა ხმოვანი კინოს პოპულარობა თანდა-

¹ სპირიდონს კი არ შეიცნობენ პოლიციელები, არამედ თავდაპირველად იგი შემთხვევით აღმოჩნდება პოლიციისა.

თან იზრდებოდა, არა მარტო ზღუდავდა მათი, ამ მუნჯი ფილმების გაგრძელებას, არამედ ავიწროებდა მსატრულე გაკანებას, ამცირებდა მათ შემოქმედებით მნიშვნელობას...

მუნჯი ქართული სატირული ფილმები, „ხაზამდის“ და „ნახვამდის“ თავიანთი შინაარსით, შემართებით, მსატრულეობით ბევრად სჯობნიდნენ მისსეთეს და ლენინგრადში გამომდებულ მრავალ მუსიკალურ „ვარდისფერ“ ოპუსს.

დიდი წარმატება ხვდა წილად პირველ სხოვან კომედიას, რომელიც ერევნის კინოსტუდიასში შექმნა ამო ბექ-ნახარაშვილი 1935 წელს. ეს იყო „პეპო“... სამწუხაროდ, სხვა ასეთი წარმატება სომხეთის კინემატოგრაფიას კომედიის სფეროში არ მოუპოვებია.

უფრო მეტი წარმატებანი ჰქონდა მეზობელ ქართულ კინემატოგრაფიას. მუნჯი სატირული კომედიის „ნახვამდის“ ტრადიციები გაგრძელდა რეჟისორ დ. როინდელის ხმოვან ფილმში „დავარცხელი სამოთხე“ (ანუ „შემოდგომის აზნაურები“ 1937 წ.). სცენარისტმა გ. მდივანმა ცოცხლად, შთამბეჭდავად აღწერა ყოფაცხოვრება გაღატაკებული ქართველი მემამულეებისა, რომლებიც ნახევრად მშვივები ცხოვრობდნენ, მაგრამ ძველ, ფოლკლორულ ჩვევებს მაინც მამლაცინოვურად იცავდნენ. მსახიობები ა. ხინთიბიძე, შ. ჯაფარიძე, მ. ბეჟუაშვილი და, რა თქმა უნდა, სახელგანთქმული ქართველი კომიკოსი სანდრო ჟორჯიანი მუსუბუნად და მხიარულად დასცინობდნენ ამ ყოყლოჩინა დარბილ-ღატაკებს. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კომედიასში კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის სიმფონიურმა მუსიკამ.

მ. ჭიაურელიმ თავის პირველ სხოვან ფილმში „უკანასკნელი მსაკარაილი“ მოგვცა რამდენიმე შესანიშნავი სატირული სცენა, რომელიც ამხელს ბურჟუაზიული საქართველოს მენ-შევიც-მმართველებსა და ანტანტის მიერ გამოგზავნილ ვერაკ მფარველებს. ამ ისტორიულ-რეველუციურ ფილმში შესანიშნავად ერწყმობდნენ ერთმანეთს ეპიკური, რომანტიკული და სატირული მოტივები, რაც ფილმს მომხიბვლელ თავისებურებას ანიჭებდა.

სატირულ კომედიებთან ერთად საქართველოში ლირიკული კომედიებიც იქმნებოდა. ნ. შენგელაიას „ნარინჯის ველის“ შემდეგ გამოვიდა „მფრინავი მღებავი“ (სცენარი გ. მდივანისა, რეჟისორი ლ. ესაკია). რომელიც უბრალოდ და სადად გვიამბობდა ახალგაზრდობის გატაცებაზე საავიაციო სპორტითა და ქართველი ყმაწვილის სიყვარულზე რუსი გოგონასადმი, აგრეთვე, „დაგვიანებული სასიძო“ (სცენარი კ. გოგოძის და ვ. კარსანიძისა, რეჟისორი კ. მიქაბერიძე) და „ქალიშვილი ხიდონიდან“ (რეჟისორი დ. ანთაძე). ეს ფილმები კომმუნურეთა შრომასა და სიყვარულზე მოვითხოვდნენ.

ამ ფილმების დრამატურგიასა და რეჟისურაში ბევრი და თვალსაჩინო ლაესუსი შეიმჩნევა. მათი სიუჟეტი იმდენად სუსტი და მოდუნებულია, რომ მაცურებელს ხშირად არც აინ-

ტერესებს, რა ხდება, ხოლო ტრიუკები, რომელთა საშუალებითაც რეჟისორები ცდილობენ გაამხარალონ მაცურებელი, მეტად პრიმიტიულია... მაგრამ მაინც გუსრის აპატიო ამ ფილმებს ეს გულბრუნვილი ატრიბუტები, რადგან მათში არის ნამდვილად გასასრობი და ამაღლებული სცენები, რომლებიც ქართველი გლეხების გულისსმეირებას, ექსპანსიონობასა და სიკეთეს გვიხატავენ...

მოკლედ შევიჩრდეთ იმ პერიოდზე, როცა კინო დახმარებას ეძებდა თავის თანამოქმედობას. რაღაც კარგი ხომ მაინც აბოვნა.

ლიტერატურასთან განსხვავებით კინემატოგრაფი უფრო დაკნინებით მიმართავდა თეატრს... ფილმ „რევესორს“ ბერი არსებით ნაყოფანება გაიანდა... მასში შესუსტებული იყო გოგოლისებური სატირა ე. ი. ის მთავარი, საჭირო და აქტუალური, რისთვისაც დაიგდა ფილმი.

შეუღრებით მეტი წარმატებით შეძლეს რეჟისორმა ნ. დოლიძემ და სცენარისტმა ლ. ხოტივარმა მ. ბარათაშვილის თანამედროვე ქართული კომედიის „ჭრიჭინას“ ეკრანზე. ისინი, რა თქმა უნდა, გაცილებით თავისუფლად მიუდგნენ კომედიის ტექსტს, შეიტანეს მასში ახალი ეპიზოდები, გააღიღეს მოქმედების ადგილი და ა. შ. მაგრამ ამავე დროს, შეინარჩუნეს პიესის ძირითადი თავისებურება—სიმუსუბუნე, ლირიზმი. დიდაქტიკას მოკლებულ ჭკუისდამრიგებლობა. ავტორებმა უხვად გამოიყენეს თეატრალურ პრაქტიკაში არსებული „ჭრიჭინას“ სახის გააზრება და მის ეკრანზე გადასატანად თავისუფლად ისარგებლეს კინემატოგრაფიის გამომსახველობითი საშუალებებით. ამ კომედიის საუკეთესო მიღწევა ახალგაზრდა მსახიობის ლილია აბაშიძის მიერ შესრულებული „ჭრიჭინას“ როლი. მისმა ცოცხალმა, მხიარულებითა და ირონიით საყვე თვალემა, მისმა მძაფრმა და მოხდენილმა მოძრაობამ, მისმა გულთანა დიმილმა მყისვე აქცია მსახიობი საქათა კინოს ერთ-ერთ საუკეთესო კომედიურ მჭირად. ამ საყვარელ, ჭკვიან და ცელქ გოგონას სახესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპოზიტორ კ. ცინცაძის სიმღერის საამო მელოდია. ოპერატორ ტ. ლობოვას პეიზაჟები კარგი და ახლობელი აღმოჩნდა ნათელი, ლირიკული და სიციხვითი საყვე პიესისათვის. მხატვარ ლ. შენგელაის კი უნდა ვუსაყვედუროთ დეკორაციის ზედმეტი ფუფუნება. ქალაქისა და სოფლის კვარტალების გადაჭარბებული გაშლილობა. მივიდრეულო მორთულობა ფილმში მეტად დათავილდა და არადაჭარბებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, კინოკომედია „ჭრიჭინა“ — უდაო წარმატება.

* უნდა იყოს ს. (სულხან) ცინცაძე.

თბილისი. რუსთაველის თეატრი. 1935 წ. სცენა: შ. აღმაძეძე, ა. კორნეიუკი, ა. შანშიაშვილი. დგანან: ირ. გამრეკელი, უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სენჩენკო და ა. ევასიძე.



ჩვენი თეატრის დიდი გეგმობარი

(აღ. კორნეიუკის დაბადების 60 წლის ბაში)

ნინო შვანგირაძე

ქ

ართველ და უკრაინულ ხალხთა დიდი ტრადიციების მქონე მეგობრობაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის უკრაინელი საბჭოთა მწერლის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ალექსანდრე კორნეიუკის მოღვაწეობას.

სიჭაბუკის წლებში პირველი პიესებით — „მიჯნაზე“ და „ჭეის კუნძულით“ უკმაყოფილო დამწყებმა დრამატურგმა სამწერლო ძალის გამოცდა კინემატოგრაფიაში სცადა და ამ მიზნით კინოექსპედიციასთან ერთად შავი ზღვის სომხლების

ესკადრას გაჰყვა. მეზღვაურებისაგან მან შავი ზღვის ფლოტის ისტორიის ერთ-ერთი გმირულ-ტრაგიკული ეპიზოდი შეიტყო, სახელდობრ, თუ როგორ ჩასძირეს მეზღვაურებმა სომხლები, რათა ფლოტი მტერს არ ჩავარდნოდა. ალექსანდრე კორნეიუკი დიდი ინტერესით ეცნობოდა ამ სამაყოს ისტორიის უწვრილმანეს დეტალსაც კი. ეცნობოდა მასალებს, ესაუბრებოდა ეპოპის მონაწილეებს. და ერთხელ, შავი ზღვის ზნელ დამეს, როდესაც სომხალის ქიმზე წყლის გამუდმებული ტყლაშუნი ისმოდა, მოხუცმა მეზღვაურმა თავისი თხრობა სომხალეების ჩაძირვაზე ასე დაამთავრა: სომხალეების ჩაძირვის წინ გამოვაცხადეთ ავრაღი. თითქმის ყველაფერს ავაცილეთ სპილენძის ნაწილები და ჩვენი საცხოვრებელი ბინა ზღვის ფსკერს გაგუყენეთ. მეზღვაურებს გვიყვარს ზღვა, ჩვენი სამშობლო, ახალგაზრდა მშრომელთა რესპუბლიკა.

ეს სიტყვები, რომელშიც მეზღვაურის გულწრფელი სიყვარული გამოსჭვივოდა ზღვისადმი, სამშობლოსადმი, გაქედნილი იყო რევოლუციის გამარჯვების რწმენით. მეზღვაურის სწორედ ეს განწყობილება დაედო საფუძვლად კორნეიუკის პიესას — „ესკადრის დაღუპვა“, რომელმაც საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა თეატრი მოიარა და ავტორს დამსახურებული სახელი და წარმატება მოუპოვა.

ეს პიესა პირველად საქართველოში მარჯანიშვილის თეატრმა დადგა 1934 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ მასში უარყოფილია ფსიქოლოგიური განცდების გზა, ნაწარმოები საესუა მძაფრი ინტრიგებითა და სიტუაციებით. უკრაინის სამოქალაქო ომი, შავი ზღვის ფლოტის ჩაძირვის აუცილებლობა, წითელი მეზღვაურების ბრძოლა პეტლიურასთან უკრაინული შოვინიზმის დამტყუბთან და სხვა, — ყველაფერი ეს თეატრისათვის საინტერესო მასალას იძლეოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი უაღრესად რეალისტური და მხატვრულად სრულფასოვანი სპექტაკლის შექმნას.

დამდგმელმა რეჟისორმა დიომიდე ნაკაშიძემ პიესის გაცნინურებისას ამოცანად დაისახა რევოლუციის სინამდვილიდან აღებული ეპიზოდებისათვის სცენაზე შენარჩუნებისა მხატვრული სიმართლე და დაზაჯერებლობა. რეჟისორმა ეს შეძლო: განამატკაცა პიესის ძირითადი ტონი, მთელი რიგი

სცენები მხატვრული სისადავითა და ლაკონურობით გამოორჩეოდა. თითოეული სახე, მიზანსცენები, მასობრივი სცენები და მთლიანად სპექტაკლი აღვივებდა მასყურებელს, აღელვებდა თავის რევოლუციური პათოსით.

სპექტაკლის მხატვარი იყო დავით კაკაბაძე, რომელმაც შესანიშნავი გარემო შექმნა მსახიობთა მოქმედების გასაძლევად. დეკორაციების გაფორმებაც აგებული იყო ფერებისა და სივრცის განაწილების ოსტატურ გამოხვედრებით.

კომპოზიტორმა ანდრია ბალანჩივაძემ სპექტაკლში მუსიკალური გაფორმების ლიტმობრივად რევოლუციური და კონტრასტისათვის ბურჟუაზიულ-მემანური განწყობილების როტაციები აიღო. მუსიკალური რიტმი სასიამოვნოდ იყო შეზრდილი სპექტაკლის დინამიკასთან.

თამარ ჭაჭავაძის მიერ აქტიური გამოხსაველითი შესრულებულმა ოქსანას სკედილის სცენამ, ხოლო ვასო გოძიშვილის მიერ დიდი ოსტატობით განსახიერებულმა ბოცმან კობზას სახემ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ამ ორი მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. გამოირჩეოდა აგრეთვე ჩიხიელ სარაულის მიერ მეტად თბილი საღებავებით შესრულებული, მოხუც ბოცმან ბუხტას სახე. დიდი ნაქტი და სანაძერტესო გააზრება ჩანდა პიერ კობახიძის ნაქმუვარში. იგი გაიდაის როლს ასრულებდა. ამავე როლში გამოიხიდა გარდასახვის ტუმბარტი ოსტატი გიორგი შავგულიძე.

სპექტაკლი იმითაც იყო შესანიშნავი, რომ მასში აქცენტით იყო გადატანილი მეზღვართა ჭარბონულ ტყვევებამზე.

1957 წ. მარჯანიშვილის თეატრმა ხელახლა დადგა „ესკადრის დაღება“. ამჯერად მისი დადგმიდან 23 წლის შემდეგ. სპექტაკლი თეატრმა ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავს მიუძღვნა. (რეჟისორი — ლ. ლორთქიფანიძე, მხატვარი — ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი — ა. ჩორგოლაშვილი.) ამ ახალ სცენიურ ნაწარმოებში გ. გოძიშვილმა კვლავ მოხიბლა მაყურებელი თავისი ბოცმან კობზათი. ხოლო მასში ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობს ო. მედიენიუხუცესს გაიდაის როლის განსახიერებისათვის საინტერესო შემოქმედებითი მომავალი უწინასწარმტყველეს. პიესამ წარმატება მოუტანა ოქსანას როლის შემსრულებელს ნათელა ავაქიძეს და ელენე ყიფშიძეს, რომელმაც იუნგას სახე შექმნა.

ეს სპექტაკლი თეატრს 1958 წელს მოსკოვში გამართულ ლიტერატურულ და ხელოვნების ფესტივალზე ჰქონდა წოდებული.

ამის შემდეგ კორნეიჩუკის დრამატურგიამ ქართულ საბჭოთა სცენაზე მტკიცედ მოიკიდა ფეხი. მეორე პიესა, რომელიც ჩვენში განხორციელდა, იყო „პლატონ კრემიტე“. იგი პირველად კიევიში ფრანკოს სახელობის თეატრში დაიდგა 1934 წელს. ერთი წლის განმავლობაში ეს პიესა 15 ენაზე ითარგმნა. ნიჭიერად მოტანილმა სიუჟეტმა და დროულად მიგნებულმა თემაში, თანამედროვეობიდან მოსულმა ახალმა ადამიანებმა, ზრუნვამ ადამიანზე, მის მომავალზე, საბჭოთა კადრების აღზრდაზე, მათ ყოველმხრივ შესწავლაზე პიესას დიდი აღიარება მოუტანა და საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოვლენად იქცა. ამიტომ დაიდგა იგი მოსკოვის სახმატრო თეატრში, ლენინგრადში, სარკოვიში, გორკოში, ბაშკარში.

საქართველოში „პლატონ კრემიტე“ რეპერტუარში შეი-

ტანა ე. წ. საქართველოს მოძრავ „სანაგიტ თეატრმა“. (დადგმა ვიქტორ ნინიძისა). „პლატონ კრემიტე“ უკეთეს სპექტაკლთა შორის რომ იყო, ისიც დასტურებს, რომ 1936 წლის 16 დეკემბრის თეატრმა მუშაობა თბილისში სტაჟიონარულ შენობაში ამ სპექტაკლით დაიწყო. პირველი სახეიმი განწყობილებაც თეატრის მიმდებარებულმა უკრაინელი დრამატურგის ამ მადლიანი პიესით მიიღო.

1935 წლის 9 დეკემბერს „პლატონ კრემიტე“ რუსთაველის თეატრმა წარმოადგინა.

პრემიერის წინ შეეჩვენაოს სახელობის სახარკოვის სახელმწიფო თეატრის მსახიობები განსაკუთრებული სიხარულით ესალმებოდნენ რუსთაველებებს და გამოთქვამდნენ დიდ სურვილს, რომ ამ სპექტაკლს მნიშვნელოვანი როლი შეეძრულებია მათ შემოქმედებით წარსულში.

და მართლაც, ამ ტუმბარტიად სანაქემო, უკრაინელი დრამატურგიის ერთ-ერთმა საუკეთესო ნაწარმოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსთაველის თეატრის ისტორიაში.

ცნობილია, რომ ქართული საბჭოთა თეატრის ჩამოყალიბების პირველ წლებშივე რუსთაველის თეატრმა სახეობით ბუნებრივი და ჯანსაღი ტენდენცია გამოამჟღავნა. იგი მჭიდროდ მივიდა თანამედროვეობის პრობლემატიკასთან, საბჭოთა სინამდვილის ასახვასთან. თეატრიც სწორედ წყვეტდა იმ ამოცანებს, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა ერთიანი თეატრის წინაშე იდგა. მან ხელი მიჰყო მისთვის დამახასიათებელი სტილის ძიებას.

1935 წლიდან რუსთაველის თეატრი ცდილობს ახლებურად გასახიეროს როგორც ქართული, ისე მომხმ ხალხების ორიგინალური დრამატურგია. თეატრმა „პლატონ კრემიტეს“ დადგმით ტუმბარტი თანამედროვე ადამიანის სახე შექმნა. წინ წამოიწია ახალ ადამიანთა შორის შემქმნილი ურთიერთობანი. და, მართლაც, რეჟისორ შოთა აღსაბაძის, მხატვარ სერგო კობულაძის, კომპოზიტორ იონა ტუცუასა და მსახიობთა მიერ ჩატარებული სტრიოზული მუშაობის შედეგად მასური ელემმა თავისი მადლობა და აღტაცება გულწრფელი აპლოდისმენტებით გამოხატა.

შესანიშნავი ახალგაზრდა ქორუგი, ყოფილი მუშა პლატონ კრემიტე ადამიანების სიცოცხლეზე მზრუნველთა გამსჭვალული. იგი ოცნებობს, რომ ნაადრევ მოხუცებულობას შეეღობოს, სიკვდილს დრო წაართვას, მომავალ თაობას მითონი მოზიანი დღე დაუბრუნოს. საავადმყოფოს გამე არაკადი და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების გამე ბოჭკაროვა კრემიტის მიერ დაწყებულ გაბედულ მეცნიერული ცდების უნდობლობით გვიცდობას და ხელს უშლიან. მაგრამ კრემიტის მზარში ამოუდგება აღმასკომის თავმჯდომარე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს არაკადის საცოლო, არქიტექტორ ლიდას ახალი საავადმყოფოს პროექტი. აღმასკომის თავმჯდომარე კი პროექტის ბედს არ წყვეტს ნიჭიერი ქორურგის პლატონ კრემიტის მონაწილეობის გარეშე. კრემიტე ამწვენს პროექტის ნაგუს და მის დაკავთებას მოითხოვს.

შენიშნები ლიდაში გალიზიანებას იწვევს, მაგრამ ამავე დროს გრძნობს, რომ მასსა და პლატონს შორის ძლიერი სიყვარული ისაღებურებს. დრამატურგული სიტუაცია კიდევ უფრო მძაფრდება კრემიტის მიერ ჩატარებული ურთულესი ოპე-

პლატონ კრეჩეტი —
ე. ხორავა



რაციის შემდეგ, ლიდას მამა კვდება, რასაც ბოროტად იყენებს არკადი და უმწურო მდგომარეობაში დარჩენილ ლიდას კრეჩეტის დანაშაულში აჯურებს. ლიდამ დატოვა მორალურად განადგურებული პლატონი. ფსიქოლოგიურად ამ უაღრესად დაძაბულ მომენტში კრეჩეტს ოპარაციაზე ეძახის ბერესტი (ალმასკომის თავმჯდომარე). ქირურგმა უნდა იხსნას მისიმედ დაშავებული სახალხო კომისარი. აღვლევებულ პლატონს არ შეუძლია დამიორჩილოს ზელები, მაგრამ მან უნდა იხსნას ადამიანის სიცოცხლე და მოვალეობის მოწოდებით გამხსნეველი გააკვეთა ბერესტი. ოპერაცია დამთავრდა, ქირურგმა უზრუნველყო სახალხო კომისარის სიცოცხლე, მაგრამ ნერვული მდგომარეობით მოთენთილი პლატონ კრეჩეტი გრძნობადაკარგული ეყვება.

ქირურგის ამ ზომამდე მიყვანილ გაოცებული ბერესტი აქტიურად ერევა საქმის ვითარებაში და პირადი კარიერისტული ინტერესებით გატაცებულ არკადის აშკარავევს. უკვე კრეჩეტის სიმართლეში ლიდას დარწმუნებაც აღარ გავდა ანელი. პიესის დასასრულს ბერესტი აღწევს პლატონ კრეჩეტისა და ლიდას პირად ბედნიერებას.

რეჟისორმა სპექტაკლის ლეიტმოტივად „პლატონ კრეჩეტის“ ავტორისეული აზრი გაიხადა. ალ. კორნეიჩუკი წერდა — „ყველაზე მეტად სახის შინაგანად გახსნის პრობლემა მაღელვებდა. მე მიხნდა, როცა ფარდა აიხდებდა, მაყურებელმა იგრძნოს, რომ ჩემს გმირებს აქვთ მდიდარი, ამაღლებული წარსული, მსურს მაყურებელი მიხედვს, რომ პიესის დამთავრების შემდეგ ისევ გრძელდება ამ გმირების სიცოცხლე, განვითარება და ბრძოლა. მე მიხნდა მაყურებელმა წარმოიდგინოს ჩემი გმირების შემდგომი გზა, რომ მათ განუჩრეველად და გულბრალად არ მოეკიდოს“.

რუსთაველის თეატრმა სწორად გაიყო ავტორის ეს სურვილი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგაც გრძელდებოდა პიესის გმირების სიცოცხლე, განვითარება და ბრძოლა. მაყურებელმა წარმოიდგინა ბერესტისა და კრეჩეტის შემდგომი გზა.

რეჟისორი შოთა აღსაბამე პიესის გახსნისას პირადულიდნ, გმირთა სუბიექტური განცდებიდან არ გამოსულა, არამედ იგი საერთოდ ზოგადიდან გამოვიდა და ამით მან სპექტაკლს მაღალი მოქალაქეობრივი ქვეყნადობა მისცა, ფართო პერსპექტივა მოხაზა და რეალისტური ნაწარმოები შექმნა, რომელიც რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი გადამიზალა, აკაკი ხორავას კრეჩეტი ერთ-ერთი ბრწყინვალე სცენიური სახეა, გახსნილი დიდი შთაგონებითა და ადამიანური მომხიბვლებლობით. მისი ყოველი გამოჩენა სცენაზე მაყურებელზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა. კრეჩეტი ახალი სიტყვა იყო ხორავას შემოქმედებაში. თუ ამ როლამდე მაყურებელი მას იცნობდა უმთავრესად როგორც გმირული პათოსით აღსავსე მსახიობს, ახლა კრეჩეტით ა. ხორავამ დაამტკიცა, რომ ის ფართო დაიპაზონის მსახიობია, და მისი ბუნებისათვის ისევე ახლთა ლირიკა, როგორც მაღალი ტრაგედიულობა. აკაკი ხორავამ ამ როლით, უპარტიო საბჭოთა ინტელიგენტის, შემოქმედი ადამიანის ხასიათის დიდბუნებუნებას შეასხა ხოტბა.

პლატონ კრეჩეტის როლი რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გიორგი დავითაშვილმაც შეასრულა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

ახალი ცხოვრების შემოქმედის ბერესტის საინტერესო სახე შექმნა აკაკი ვასაძემ. მის მიერ ეს როლი დიდი ოსტატობით იყო განსახიერებული. ყოველი ფრწა და ქუსტი მხურვალე გულისხმირებას გამოხატავდა. ბერესტის მომხიბლავი სიწრფე და სითბო გაპრობებული იყო მსახიობის მიერ ოსტატურად დამუშავებული ყოველი დეტალით.

ალექსანდრე კორნეიჩუკი წერდა:

„პლატონ კრეჩეტისა და ბერესტის სახეები, შექმნილი საბჭოთა სცენის ბრწყინვალე ოსტატების აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის მიერ, მე, როგორც ავტორს, არა მარტო მაკმაყოფილებს, არამედ ღრმად მაღლვებს ვიღაც“. — და არა მარტო ეს მსახიობები, არამედ მთელი ანსამბლი ქვეყნადულრესი სისადავითა და გულწრფელობით.

თ. ბაქრაძისა და ნ. ლაფანის სიცოცხლითა და ნებისყოფით სახე ლიდას, ემ. აფხაძისა და გ. სარჩიშვილის საინტერესოდ გახსნილ ბუბლიკს, დიმიტრი შვაჯას და გ. საღარაძის სწორედ გაგებულ არკადის, ნ. დავითაშვილის კეთილი და მოსიყვარულე დედის — მარია ტარასოვნის, ნ. მესხიშვილის გულბრწყინო გოგონას — მაიას, რ. ბერიძის — ვალიასა და სხვებს მხაზველი დიდხანს ვერ ივიწყებდა.

ეს სპექტაკლი წლების მანძილზე შერჩა რუსთაველის თეატრის რეპერტუარს და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

„პლატონ კრეჩეტისადმი“ ინტერესი დღემდე არ შეწყვეტილია. იგი იდგმება ჩვენი რესპუბლიკის კლასიკებისა და რაი-



„პლატონ კრეჩეტი“
ბერესტი —
ა.ვ. ვასაძე

ონების როგორც პროფესიულ, ისე თვითმოქმედსა და საკოლ-
მურნო თეატრებშიც. 1935-1936 წლის სეზონში რეჟისორ
ნიკოლოზ გომიაშვილის რეჟისრობით იგი ბათუმის თეა-
ტრის ახალგაზრდობის თეატრში დაიდგა. კრეჩეტს მსახიობი თეი-
მურაზ ლორთქიფანიძე ასრულებდა, ბერესტი — ა. მაგრაქვე-
ლიძე, ლიდა — რ. ლორთქიფანიძე, ბუბლიკს — ს. ბერძე-
ნიშვილი.

წ. გომიაშვილმა „პლატონ კრეჩეტი“ ფოთის სახელმწიფო
დრამატულ თეატრშიც დადგა დასახელებული შემადგენლო-
ბით (1937 წ. 18 მარტი). ამ სპექტაკლების მაღალპროფე-
სიულობა დადასტურებულია იმ რეცენზიებით, რომლებიც
ჩვენმა პრესამ მოუძღვნა.

1940-41 წლის სეზონში „პლატონ კრეჩეტი“ ჩხარის სა-
კოლმურნო თეატრში დაიდგა. 1941 წელს გორის სახელ-
მწიფო თეატრში (რეჟ. პავლე ფრანგიშვილი). სპექტაკლმა
მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ, 1946-47
წლებში იგი დაიდგა თბილისის საეკულტურის თეატრში, აგ-
რეთე ლანჩხუთში, ცხინვალში, ხელოში, სოხუმსა და ქუ-
თაისში.

ქუთაისში „პლატონ კრეჩეტი“ 1946-47 წ. წ. სეზონში წარ-
მოადგინეს. დადგმა დიდი ანაბეჭა და ს. თყეშელაშვილმა ეკუთ-
ვნოდა. შემოქმედებითა კოლექტივმა დიდი სიფაქიზითა და
კოლორატის დაცვით წარმოადგინა უკრაინული ხასიათები.
მსახიობ ვახტანგ მეგრელიშვილის პლატონ კრეჩეტი გამოირ-
ჩეოდა უშუალოდ. მაყურებელმა ნახა დანჯი, თანა ძალა-
ში დარწმუნებულად სპეციალისტი, რომელიც საქმით ახადგუ-
რებს პირადი ანგარებით ამოქმედებულ მოწინააღმდეგეს.

სოხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა 1953

წელს „პლატონ კრეჩეტი“ თბილისის მაყურებელს უჩვენა.
რეჟისორმა გიორგი ვასაძემ სპექტაკლი საინტერესო და კარ-
გად გააზრებული მიზანსწეებით განაწყო.

არქიტექტორი ლიდა — სალომე ყანჩელის ერთ-ერთი
საინტერესო სცენური სახეა.

განსაკუთრებული ყურადღება ამ სპექტაკლში ახალგაზრდა
მხატვარმა ალექსანდრე ვერულიშვილმა მიიქცია, რომელ-
მაც სპექტაკლს დრამატული გამოხატულებით ალასაყე ფო-
ნი შეუქმნა. პირველ მოქმედებაშივე დეკორაციების განათება
მეტად მოხერხებულად შეუთანხმა მასალის ფერად ორგანი-
ზაციას. ამან საინტერესო კოლორიტული გადაწყვეტა მოგვცა.

„პლატონ კრეჩეტისადმი“ შეუნელებელ ინტერესს ადას-
ტურებს ის გარემოებაც, რომ იგი, ოცი წლის განმავლობაში
განუწყვეტილი ცოცხლობდა საქართველოს თეატრებში.

ალ. კორნიჩუკის „ბოგდან ხმელნიცი“ პირველად სა-
ქართველოში რუსთაველის თეატრმა დადგა. პრემიერა 1941
წლის 5 მარტს შედგა. თბილისელები ბოგდან ხმელნიცის
ჯერ კიდევ ტარას შევერენოს სახელობის ხარკოვის უკრაინე-
ლი თეატრის გასტროლებიდან (1939 წ.) იცნობდნენ.

რუსთაველის თეატრის ეს სპექტაკლი შედგეი იყო იმ შე-
მოქმედებითი შეჯიბრებისა, რომელიც ქართულ თეატრსა და
კიევის ფრანკოს სახელობის უკრაინულ თეატრს შორის მიმ-
დინარობდა.

რუსთაველის თეატრი 1939 წლის ზაფხულში გასტრო-
ლებზე იყო ყავებში. 4 აგვისტოს, უკრაინის დედაქალაქის ხე-
ლოვნების შემსავლთან მეგობრულ შეხვედრაზე, რუსთაველის
თეატრმა სოციალისტურ შეჯიბრში გამოიწვია კიევის ივანე
ფრანკოს სახელობის თეატრი. უკრაინელებმა საპასუხოდ „გი-
ორგი სახაშვილი“ დადგამაზე დაიწყეს მუშაობა.


„ბოგდან ხმელნიცის“ წარმოდგენამ დიდი ინტერესი გა-
მოიწვია თბილისელ მაყურებელში. დარბაზი სასყე იყო მეც-
ნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღ-
ვაწეები.

სპექტაკლზე ჩამოვიდა ავტორი — ალექსანდრე კორნი-
ჩუკი, რომელმაც თეატრის კოლექტივს შესანიშნავი სპექტაკ-
ლისათვის გულწრფელი მადლობა გადაუხადა.

„ბოგდან ხმელნიცი“ ასახულია უკრაინელი ხალხის გმი-
რული ბრძოლა პოლონელი პანების ბატონობის წინააღმდეგ.
ამაზე ვერცხემა 17 საუკუნის პირველ ნახევარს. უკრაინელი
გმირი ხალხი აჯანყდა. მას სათავეში ჩაუდგა სახალხო გმირი
ქეტმანი ზინოვი — ბოგდან ხმელნიცი, რომელმაც თავის ერთ-
გულ თანამებრძოლებთან ერთად გაანადგურა პოლონელი პა-
ნების რიცხობრივად გაცილებით უფრო ძლიერი ჯარი, ტყვედ
იგდო პოლონელი მეფის მიერ ჰეტმანად დასმული პანი პო-
ტოცკი და უკრაინელი ხალხი ხანგრძლივი, დამამცირებელი
ზონების მიძიმე უღლისაგან იხსნა.

უკრაინა ბოგდან ხმელნიცის მეთაურობით რუსეთს შე-
ურთდა, რაც უდიდესი პროგრესული მოვლენა იყო უკრაი-
ნელი ხალხის ცხოვრებაში.

რუსთაველის სახელობის თეატრმა ამ პიესის საფუძველზე
შექმნა იდურ-მხატვრულად საინტერესო სპექტაკლი, რომელშიც,
მკვეთრად გამოვლინდა ავტორის ძირითადი მიზან-
დასახელობა, რომ ხალხის საუკუნოებრივი ბრძოლა ერთნე-



ლი და სოციალური თავისუფლებისათვის მუდამ აღწევს მიზანს, როდესაც იგი აღმოცენებულია შესაფერ ისტორიულ პირობებში და პოულბოს გარკვეულ ორგანიზაციულ და იდეურ ხელმძღვანელობას.

პიესა დადგა აკ. ვასაძემ, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე ირაკლი გამრეკელი, კომპოზიტორი — რევაზ გაბრიჭაძე.

სექტაკლის რომანტიკული პათოსით აღტაცებაში მოიყვანა მწახველი. იგი საინტერესო ანსამბლით, უაღრესად მკაფიო კოლორანტიზა და ცხოველი რიტმით გამოირჩეოდა. მასურებელმა სცენაზე უკრაინის ისტორიული წარსულის ამსახველი სურათები იხილა.

ბოგდან ხმელნიცის როლს გიორგი დავითაშვილი ასრულებდა, რაც სახელოვანი მსახიობის შემოქმედებაში უაროდ აღე მიღწევად ჩაითვლება. დაუღალავი მუშაობის შედეგად გ. დავითაშვილმა სახალხო გმირის ნათელი სახე შექმნა, რომელიც დიდი უშუალობითა და სიწრფელით გამოირჩეოდა.

ბოგდან ხმელნიცი — გიორგი დავითაშვილის შესრულებით სცენიური გარდასახვის საუკეთესო მაგალითი იყო.

საინტერესო სახეები შექმნეს მსახიობებმა: ნინო დავითაშვილმა (მარგალი), ემ. აფხაძემ (დაკვანი ვაგრილი), დიმიტრი მგავიამ (ლოზოვუბი), გიორგი საღარაძემ (ბოგუბი), ნინო ლაფანა (სალომია), მ. ჩიხლაძემ (მაქსიმ კრივონისი), ა. აფხაძემ (კუნძა), გ. სარჩიშვილემ (შათანი) და ხუციშვილმა (ტურქ) და სხ.

ალექსანდრე კორნეიუკი ამ სექტაკლის შესახებ წერდა: „მე, როგორც პიესის ავტორს, მასხარის სასექტაკლის ყველა შემსრულებლის მიერ ჩატარებული დიდი შემოქმედებითი მუშაობა. მთელი სექტაკლი აღსავსეა უკრაინული ხალხური კოლორით. „ბოგდან ხმელნიცი“ ქართველი და უკრაინელი ხალხების მძური თანამეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. იგი გამომსატველია მთავრ ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის უკრაინელი ხალხის გმირული ისტორიისადმი“.

სექტაკლში დიდი შთაბეჭდილება მასობრივმა სცენებმა მოახდინეს. იგრძნობოდა უკრაინელი ხალხის გმირული სული და ძლიერი ნებისყოფა. ამ სცენებში თვითოული ადამიანი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა და ამავე დროს მას წარმოადგენდა ერთ მთლიანს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო სექტაკლის ფინალის კომპოზიცია და მონუმენტულობა.

სექტაკლი განსაკუთრებით აღსანიშნავია ირაკლი გამრეკლის დიდი გამარჯვება. ნიჭიერმა მხატვარმა მასზე გაუსვა ენ ვირონულ კოლორიტს, რომლითაც გამსჭვალულია ეს ნაწარმოები. ისტორიული სიმაართის დაკვირა და დიდი შემოქმედებითი ფანტაზიით ასახა ბოგდან ხმელნიცის ეპოქა. სექტაკლის შემქმნელებს დიდი ზეამარება გაუწვია აკადემიკოსმა ზვარნიცემ, რომელმაც თეატრს ბოგდან ხმელნიცის ეპოქის ამსახველი მდიდარი მასალა მიაწოდა.

მუსიკა აგებული იყო უკრაინულ კლასიკურ მუსიკასა და მრავალფეროვან ფოლკლორზე.

სექტაკლის გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი პიესის შესანიშნავმა თარგმანმა, რომელიც შალვა დადიანის მაღლიან კალამს ეკუთვნოდა.

წარმატებით ჩატარებული პირველი სექტაკლის შემდეგ მ. მარტს, გასულ „კომუნისტის“ რედაქციამ, ა. კორნეიუსს შესვედრა მოუწყო თბილისის სტახანოველებთან, ლიტერატურის შეცნობების და ხელოვნების მუშაკებთან, უკრაინელებთან. ამ შესვედრაზე კორნეიუკმა განაცხადა: „მოუხედავად იმისა, რომ უკრაინისა და ქართველი ხალხის ისტორიული წარსული ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაინც ველავადი პრემიების ჩვენებისას. დავა თუ არა ქართველ მასურებელმდე უკრაინელი სახალხო გმირების სახეები? მაგრამ რუსთაველის თეატრმა ისეთი მაღალი ხელოვნებით დადგა „ბოგდან ხმელნიცი“, ისე სწორად გახსნა პიესა, რომ თბილისის მასურებელმა უსაზღვრო აღფრთოვანებით მიიღო იგი“.

ქართულ თეატრს კარგად დაწყებული ტრადიცია ალექსანდრე კორნეიუკის დრამატურგიის სცენაზე გაკოტვებისა დღემდე არ შეუწყვეტია. 1950-51 წლის სეზონში სოხუმის, ქუთაისისა და ცხინვალის მასურებელმა ნახა კორნეიუკის ცნობილი ლირიკული კომედია „ძახვლის ჭალა“.

ეს პიესა ქართულ ენაზე პირველად სოხუმის თეატრმა განახორციელა. ხელოვნების დამსახურებელ მოღვაწეს, რეჟისორ სერგო ჭელიძეს არ უცდია შეექმნა მხოლოდ მხიარული სექტაკალი სასაბოძონო დასასრულთ. მან სექტაკლში წინა პლანზე წაბოსოა პიესის ძირითადი კონფლიქტი — მოწინავე კოლმეურნეთა შვავება კოლმეურნეობის უადრდელ, ჩამორჩენილ ხელმძღვანელობასთან. მსახიობებმა ძლიერი სატირული ფერები იპოვეს დასამახსოვრებელი სახეების შესაქმნელად. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ივანე რომანიუკის როლის შემსრულებელი, რესპუბლიკის დამს. არტიტი მ. რუბინიძე. უბრალო საბჭოთა ადამიანის — უკრაინელი გლეხი ჭალის დამაჯერებელი სახე შექმნა ა. სანაძემ.

სოხუმის შემდეგ „ძახვლის ჭალა“ დაიდგა ქუთაისში, რეჟისორ გიორგი იოსელიანის მიერ, ხოლო იმავე პერიოდში იგი კოსტა ხუთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ქართულმა თეატრმა წარმოადგინა.

შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ საქართველოში თეატრალურმა ინსტიტუტმა ალექსანდრე კორნეიუკის დრამატურგია მიიჩნია ისეთ მასალად, რომელზეც საბჭოთა ახალგაზრდა აქტორული კადრების აღზრდა შეიძლებოდა. ამიტომ 1952 წ. პროფესორ აკაკი ხორავას კლასმა წარმოადგინა „პლატონ კრეჭი“, ხოლო 1954 წელს კორნეიუკისავე — „მაკარ დურგატი“. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ამ სექტაკლებმა ნათლავკვებს, რომ პედაგოგის სწორი ხელმძღვანელობის შედეგად მისწავლე სტუდენტებმა სიმართლით გააცოცხლა უკრაინული საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები.

ალექსანდრე კორნეიუკი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით დაუკვირდა ქართულ საბჭოთა თეატრს და დიდად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის ისტორიაში. ცხოვრების დრმა შეცნობა, კონფლიქტებისა და ხასიათების გადმოცემაში შემოქმედებითი გაბედულება, ჰუმანიზმი და ხალხთა მეგობრობა — აი თვისებები, რომლებითაცაა აღსავსე კორნეიუკის დრამატურგია, რისთვისაც მას დიდად აფასებს და პატივს სცემს ქართველი ხალხი.

„აქვარიუმი“



პროფ. პ. გურგენიძე — ს. ზაქარიაძე,
მისი მეგობარი — გ. აფხაიძე



ირინე —
ზ. გზირიშვილი
ლევანი—გ. მონიავა

ასე ეწოდება პოეტ თამაზ ჭილაძის პიესას, რომელიც რეჟისორმა გიზო ყორანაძემ (აჭარის ასრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) დადგა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

პიესის ასეთი სათაური, რა თქმა უნდა, სიმბოლურია და თავიდანვე ნათლად ვეხიბატვს მთავარი მოქმედი გმირის პროფესორ პეტრე გურგენიძის კარჩაკეტილ ოჯახს. მისი მოზონადრებისათვის მთავარია მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა და სიმშვიდე, სიმშვიდე, რომლის გარდღეულ დარღვევას „აქვარიუმი“ ჩვენი თანამედროვეობის მჩქეფარე მაქისცემა შეუპაქეს. „აქვარიუმი“ იმსხვრევა, ოჯახი ხელახლა იწყებს ნამდვილ, ადამიანურ ცხოვრებას.

ახალგაზრდა რეჟისორმა წინ წამოსწია, მაყურებელამდე სწორად დაიყვანა პიესის ეს იდეური ხაზი და შექმნა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე დამაფიქრებელი სპექტაკლი.

სპექტაკლის მხატვარია ოთარ ლითანიშვილი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქორეოგრაფი იური ზარეციკი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ლევან ქიშიშვილს. როლებს ასრულებენ: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე (პროფ. პ. გურგენიძე), რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ემანუელ აფხაიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი (სალომე ყაჩაღი (ასმათი), თ. ჩარკვიანი და ნ. მკალობლიშვილი (ნიხი), ს. ისნელი (მილიციელი), მ. იტრიაშვილი (პირველი ექთან), მსახიობები: თ. გაბუნია, ნ. ფაჩუაშვილი, მ. კახანაძე, ლ. გულაძე, ჯ. მონიავა, ლ. თავაძე, გ. ხარაბაძე, ტ. ყველაიძე, გ. ჭიჭინაძე, აგრეთვე გ. ზაქარაძე, ე. პატარაია, ნ. გოღერიძეშვილი, ლ. გაბუნია, ბ. მდივანი, ი. ასათიანი, უ. კახანაძე. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ზეინაბ გზირიშვილი, რომელიც სასიამოვნო შთაბეჭდილება სტოვებს.

საქირთა, რომ თეატრი შემდეგშიც მზრუნველობით მოეკიდოს ახალი, ორიგინალური პიესების გამოშვებებს, ასევე და სცენაზე დამკვიდრებას და ამით ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ჩვენი ეროვნული დრამატურგიის ზრდა-განვითარებას.

სცენები სპექტაკლიდან

კვირის
სპექტაკლი



ისმით—ს. ცანკელი
ლევანი — გ. მონიაუ



ირინე —
ზ. გზირიშვილი
ვაჟა — გ. ხარაბაძე

ირინე — ზ. გზირიშვილი





კაკლის ხეივანი ბელაქან-კახის გზატკეცილზე

ინჟინერობათან

ნიკოლოზ ამბიანიძე

საინგილო კარგა და საინტერესო წიგნა ჰკავს, რომელსაც რამდენჯერაც არ წაიკითხავ, ყოველთვის რაღაც ახალსა და მიმზიდველს აღმოაჩენ. აი, კვლავ ვხედავ ერთხელ თვალმოგლებულ მთასა და ბარს, გზასა და მდინარეს, რამდენი რამ ვერ აღმიქვამს მაშინ, როცა პირველად ვიყავი ამ მხარეში...

ლაკოდეხის აღმოსავლეთით, იქ სადაც მდებარეობს საქართველოს საზღვრისპირა სოფელი ცოდნა, ჩვენმა „ვოლგამ“ დინჯად აიარა მაწიშის ხეობა და მოსაფალტებულ სწორ გზაზე გაიჭრა. გზის მარცხნივ მთავარი კავ-

კასიონის თეთრნაბაღწამოსხმული გრებილები მოსჩანს, მის თემებზე საავტომობილო გზა გასდევს, გზის მარჯვნივ საინჯილოს ვაკეა გაშლილი კაკლებით, თხილის ბაღებითა და ტყით დაბურული.

— აი, ეს კედელი თამარის დროინდელია, — მეუბნება ჩემი თანამგზავრი, თბილისის ბუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ინგილო მამედ გულმამედოვი, — და ტყითკირის ძველ ყორზე მიუთითებს. მანქანის მანძილშიცხველმა 2,5, 10 კილომეტრი უჩვენა. მამედი კვლავ ამ კედელზე შესაუბრება, კედლის დასასრული ჯერ არ ჩანს. მართალია, დროდადრო იგი მხედველობის არიდან ქრება, მაგრამ კვლავ წარმოვვიდგება ხოლმე თავისი მორღვეული ადგილებით. 120 ვერსზე გასდევდა ეს კედელი კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთ კალთებს, რომ მოთარეშე ურდობიდან დევცვა ძველი ჰერეთის, ხოლო შემდეგში ინგილოს სახელით ცნობილი ხალხი...

შაჰაბასის შემოსევისას, მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში, დაიწყო ჰერეთის მოსახლეობის განსაკუთრებული მწელებდობა.

გააქტიურებული მტერი, რომელმაც გარეკახეთის მოსახლეობა ფერეიდანს გაგზავნა სამუდამო გადასახლებაში, აქ საკუთარ მიწაზე ახდენდა ჰერეთის მოსახლეობის ასიმილაციას. მტრის ფიქრით, ქართული ენისა და გვარის ამოძირკვისათვის, აუცილებელი იყო პირველ რიგში ხალხის მამამადის სარწმუნოებაზე გადასვლა, რასაც მახვილით ახორციელებდა დაუპატივებელი სტუმარი. მტრის განზრახვა უსაფუძვლო როდი გამოდგა, სარწმუნოების შეცვლამ ადგილობრივ მკვიდრთა სახელისა და გვარის შეცვლა გამოიწვია.

საბედისწირო ბრძოლა გადაიტანა ჰერეთმა XVIII საუკუნის პირველ მესამედში. მომხდურმა მტერმა, ამავე რად ყიზილბაშებმა მონობის ახალი უღელი დაადგეს მას. ამ დროს გაჩნდა სიტყვა „საინჯილოც“, იგი თურქულად ახლადმორჯულებულს ნიშნავს, ე. ი. გამაჰმადიანებულს.

როცა ამიერკავკასიაში ქართველთა ერთმორწმუნე რუსეთი დამკვიდრდა, იყო ცდა ძალით გამაჰმადიანებულ მხარეს მიშველებონ. გასული საუკუნის ორმოციან წლებში პატრიოტმა ინგილომ ივანე ბულუღაშვილმა აღმოსავლეთ საინჯილოდან დაიწყო ძველი ჰერეთის მოსახლეობის კვლავ ქრისტიანულ რჯულზე მოქცევა. მესამედმა საინჯილომ დაიღვინა ქართული გვარი, მაგრამ არ ეძინა მამადის მსახურთაც — მტრის ტყვიამ განგმირა ბულუღაშვილი, შუფერხა და დაწყებული საქმე. ამ დროს გაიყო საინჯილო ორ ნაწილად, კახეთიდან უფრო შორს მდებარე ქრისტიანული სარწმუნოების განხა, ხოლო ახლომდებარე მაჰმადიანური დარჩა.

ასე იცვლებოდა ამ ხალხის ბედი საუკუნიდან საუკუნემდე, ხან მამაწილ მოიმწყვდევა მხრებზე და ხან ქრისტიე გადმოხედვდა „მოწყალეობის თვლით“. გამუდმებულმა ომებმა და სისხლისღვრამ გააჩანავა და დასცა ძველი ჰერეთი. იგი ხალხთა რბევისა და კინკლაობის ასპარეზად იქცა.

დიდმა ოქტომბერმა დააფრთხო მაჰმადიცა და ქრისტე; ამოისუნთქა ჩაგრულმა ხალხმა. ოქტომბერი აზერბაიჯანს 1920 წლის 28 აპრილს ეწვია. ამიერიდან ახალი დრო დაუდგათ მრავალტანჯულ ინგილოებს...

საბჭოთა აზერბაიჯანის ბლდაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებში, ე. ი. საინგილოს ტერიტორიაზე, ახლა მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები და აზერბაიჯანელები, ავარელები და წახურელები, სომხები და სხვები.

როგორც იტყვიან, სიუხვის კალთა დაუბერტყია ბუნებას საინგილოს მიწაზე. შესანიშნავი ფლორაა ამ მხარეში. მართო ის რად ღირს, ბელაქან-ზაქათალა-კახის მოსავალტებულ საეკტომობილო გზას ჩაჯარული კაკლები რომ მისდევენ ხეივნად. აქაურ კოლმეურნეობებს დიდ შემოსავალს აძლევს თხილი და კაკალი. ამიტომ არის, რომ საკარმიდამო ნაკვეთებშიც უმეტესად თხილის ბაღებია გაშენებული და ცადაწვილილი კაკლის ხეები დგას. საინგილოში საკმაოდ ფეხმოდგმულია მესაქონლეობა. ამ დარგის განვითარებას ხელს უწყობს შესანიშნავი ადგილობრივი საზაზრო და საზაფხულო საძოვრები. აქ მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ბრინჯი, თამბაქო, სურნელოვანი და გემრიელი ხილი; მისდევენ მებაზრეშეშეშებს. საინგილოში ჩაის მთელ პლანტაციებს შეხვდებით, დიახ, ზაქათალის რაიონში კარვად ხარობს ჩაი. ეს კულტურა, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაინერგა ამ მხარეში. პლანტაციებიდან რამდენიმე კილომეტრზე მდგარი კავკასიონი ჯერ კიდევ ოქტომბერში წამოისხამს თოვლის თეთრ ზეწარს, მაგრამ აქ ვასაკვირი არაფერია, ასევეა გურიაშიც, ზახმარის მთა სექტემბერში დაითოვლება, ხოლო მის ძირში, ნასაკირალში ამ დროს ჩაის ქორვა დაუკვებია იზრდება და იკრძევა...

ჩვენი მანქანა სოფელ ითითალას ცენტრში გაჩერდა. გზის მარჯვნივ კოხტად შემოღობილ ეზოში კოლმეურნეობის კანტორა, საწყობებია, ხოლო მარცხნივ სკოლის შენობაა, კარგი, კეთილმოწყობილი ეზოთი.

ვეინდა პირველები მივსალამთო გზაზე ჩვენსკენ მომავალ ორ კოლმეურნეს, მაგრამ ისინი როდი გვაცლიან—ათიოფდ მეტრზე მოგვიახლოვდნენ თუ არა. ქართული გამარჯობა მოგვამახსენ და მერე ხელებიც პირველებმა განოგვიწოდეს. ჩვენც ხელგაწვილინი ვხვდებით გალიმებულ მასპინძლებს. მასპინძლები პატივისცემის ნიშნად, როცა მარჯვენა ხელს გვართმევენ, მორე ხელსაც იშველიებენ და ჩვენი მარჯვენა ჩაბაღუჯული უჭერიათ დაკოჭრებულ ხელებში.


— რა გვარისა ხარ, — ვკოთხები ერთ მაღალ ინგილოს.

— ალიევი, — მეუბნება იგი და სულმოუთქმელად დასძინს — წინ, წინ აბრამიშვილი ეიყავიო.

— შე კი, — ერევა საუბარში მეორე, მურადოვი, — წინ, წინ ბაღურაშვილი.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა...

სკოლის ერთ-ერთი საკლასო ოთახის ღია ფანჯრიდან გარკვევით მოისმის ჭაბუკი ინგილოს ხმა:



„მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა, სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუსს, დასათრეუნად მონობისა ...“

დიდებულო ილიავ, ასრულდა, რასაც ნატრობდი, კიდით-კიდებდე გაისმის სიმართლის მკვექრე ხმა, აღსდგა, აყვავდა მამული. იაკობ გოგებაშვილის — „დედა ენა“ ჰველა ქართველი ზაგვისი კუთვნილებად იქცა, მათ შორის ინგილო ქალ-ვაჟებისაც.

ისევ მასპინძლები აქტიურობენ, თითქოს ძველ ნაცნობებს, გვევითხებიან, როგორა ვართ ოჯახში, რა არის ახალი საქართველოში, როგორი ამინდებია თბილისში.

მასწავლებელი ქალი ჩაირი ნაბიჯით მოიჭრა სკოლის ეზოს კიშკართან და ხმა არ ამოგვადებინა. ისე შეგვიყვანა სკოლის შენობაში. შაჰფერ აბდურახმანოვას (ბაბალაშვილს) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუმთავრებია და ახლა სოფელ ითითალას ქართულ საშუალო

„თამარის კედელი“





ს. ალიაბადის ქართული საშუალო სკოლა

სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. თბილისში აქვთ უმაღლესი განათლება მიღებული ამავე სკოლის მასწავლებლებს: შალვა და უზეირა რამაზანოვებს, ვახაბ ისკანდაროვს და სხვებს. შაჰვერ აბდურახმანოვსთან-სტუმრად ყოფილა სიმე, ალიაბადელი ილია დათუნაშვილი. მალე ილიაც გავიყვანით. გადაწყვედა, მასთან ერთად უშორეს მხარეს კახსა და ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადს წვეწოდი. ილია დათუნაშვილი ინიკილა. მას 1962 წელს დაუშთავრებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და ახლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობს თბილისში უმცროს მეცნიერ-მუშაკად. გარდა ქართული, რუსული და აზერბაიჯანული ენებისა ილიამ საფუძვლიანად იცის თურქული და სპარსული, ხოლო ნაწილობრივ არაბული ენა.

კახი საინჟინოს აღმოსავლეთი რაიონია. იგი 70-ოდე კილომეტრზეა დაკლებული ლავადებს. სოფლის ერთი ნაწილი აზერბაიჯანელი მოსახლეობითაა დასახლებული, მეორე ქართველებით. აქ ცხოვრობენ ოქროუანაშვილები, ყურაშვილები, პაბიაშვილები, ლომაშვილები, როსტიაშვილები და სხვ.

კახის რაიონის ქართულ სოფლებში მევენახეობასაც მისდევენ, რაც საინჟინოს სხვა რაიონებში რატომღაც მივიწყებულია.

სოფლის კოლმეურნეობა, რომელსაც სათავეში უდვას კიბო ტარტარაშვილი, ერთ-ერთი ძლიერი კოლმეურნეობაა კახის რაიონში. შიი აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

სოფელ კახში ქართული საშუალო სკოლაა. აქ არა მარტო ამ სოფლის ბავშვები სწავლობენ, არამედ მშობლიურ ენას ეუფლებიან კახის ახლომდებარე პატარა სოფლების — ქოთოქლოს, ალათემურის, პატარა-ალათემურის, მეშაბაძის, ყიზობურის, ქეშუთანის პატარები.

ზემოთ დასახლებულ სოფლებში მხოლოდ რვაწლიანი და დაწყებითი ქართული სკოლებია, რომელთა დამთავრების შემდეგ მოსწავლეები სწავლას კახის საშუალო სკოლაში განაგრძობენ. კახის ქართული საშუალო სკოლის ფართო ენოში სასწავლო კორპუსების გარდა აღმართულია რამდენიმე შენობა, რომლებშიც მეზობელი სოფლებთან ჩამოსული მოსწავლეები ცხოვრობენ.

იკანდარ უკან გამომრეზებელმა, ზაქათალამდე 6 კილომეტრი რომ დარჩა, ხელმარცხნივ შევვსვიეთ და ას-

ფალტირებული გზით კურსი სოფელ ალიაბადისკენ ავიღეთ.

ალიაბადი ერთ-ერთი დიდი სოფელია საინჟინოსში. სოფელში 1.100 კომლია, თითქმის 7.000 მცხოვრებით. ადრე ამ სოფელს ელისენი ერქვა. სხვათაშორის ახლანდელ საინჟინოს მიწა-წყალს კაკ-ელისენსაც ეძახდნენ მე-16 საუკუნის შუაღელიდან, ვიდრე მათ დამპყრობნი ახალ სახელს—საინჟინოს დაარქმევდნენ. მტერმა 1725-35 წლებში სოფელ ელისენსაც სახელი შეუცვალა და ალიაბადი დაარქვა. ალი-დამპყრობთა მედროშის სახელი იყო, — ამბობს ილია დათუნაშვილი, —ხოლო ახალი მამხილურთა ენაზე ქალაქს, დასახლებულ პუნქტს ნიშნავს. იმ დროის მწარე მოკონების ნაშთი ახლაც დვას სოფლის ცენტრში: მეჩეთი და მინარეთი—მოლას საქადავო კოშკი, რომელსაც ილია მეტრი დიამეტრი აქვს და 30 მეტრზე აზიდულაა მოლია.

ახალ ალიაბადში სამი ქართული სკოლაა. საშუალო რვაწლიანი და ოთხწლიანი.

წიომის წითელი დროშის ორდენისანი მასწავლებელი ნინო რამიშვილი 20 წელზე მეტია რაც თბილისიდან ჩამოვიდა და რამდენიმე თაობა აღზარდა.

იჩაკლი აბაშიძის ლექსში „მასწავლებელი“ სტრიქონები:

„მე არაფერი არ მეხარებება...
მაგრამ ნამდვილად გამეხარდება —
საინჟინოსი მის გვერდით დავგრე
და „დედაუნა“ ვასწავლო ბავშვებს“,

ნინო რამიშვილზე არის ნათქვამი — ირწმუნებიან ინჯილოები. თუ რამდენად სწორია ეს, არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ნინო დიდი პატივისცემით სარგებლობს ინჯილოებში. ბევრი მისი ყოფილი მოწვევ მასთან ერთად ალიაბადის სკოლაში, ხოლო უფრო მეტი ახლომახლო სოფლების სკოლებში მუშაობს მასწავლებლად და ბავშვთა აღზარდის საბაბო საქმეს დიდი სიყვარულით ემსახურება.

მტერმა ავედობისას სოფელს სახელი შეუცვალა და მოსახლეობას სარწმუნეობა, სამაგიეროდ ხალხმა შეინახა სოფლის უბნების, მდინარეების, ტყეების ძველი ქართული სახელები — ზემითუბანი, წიქვილიუბანი, ნაცვლიანთუბანი, (ე. ი. ნაცვლიშვილების), ჩიტისუბანი, ქურა (მოხუცები ამბობენ, რომ ამ უბანზე რამდენიმე სამეკდლო იყო). მდინარეებს ქვია ლაშისაო, შავწყალი, ბებრის-სევი, იფნიანი, მინდვრებს — მუხრანი, კუნძიანი, ქედეციანი, ტყეებს კი ჭიბლიანი, ყარალა ბიზია ტყე (ე. ი. ყარალა ბიძია ტყე). კახეთში ახლაც ცხოვრობენ ყარალაშვილები. ვინმე ყარალაშვილის ტყე ყოფილი — ამბობენ სოფლის მკვიდრნი. ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ნათესაობის გამოშატველი სახელი ბიძა იქნებულ კილოშია გავრცელებული. მოხიერნი გვხვდება ბიძი, ინჯილოურში ბიზია, ქართსა და კახეთში კი ძია. როგორც ვხედავთ, იმერულის მსგავსი გამოთქმა შემონახულია მოხიერსა და ინჯილოურ კილოებში. უფრო მეტი, ჩვეულებრივი საუბრის დროს სოფელ ალიაბადის მცხოვრებნი ხმა-

რობენ წმინდა იმერიზმებს — საცხა, მოი (მოდის ნაცვლად), წაი (წადის ნაცვლად)...

კათხრების დროს სოფელ ალიაბადში ქვევრები აღმოუჩნენით. ილია დათუნაშვილი ამბობს: რა თქმა უნდა ღვინისათვის ხმარობდნენ ამ ქვევრებს ძველი ელისენის მცხოვრებლებიო. სოფელში კი ვაზი დიდხინია გადაშენებულია. მოხუცები ფიქრობენ, რომ იგი ამ მიწაზე ვერ იხარებს. ილიამ მამა დაითანხმა გააშენონ ვაზი. ნერგები მართლაც ჩაუტანია, დაურგავს, მოვლას არ დააკლებენ. იგი დარწმუნებულია სხვებიც მიზაძვენ მას და ალიაბადი კვლავ ვენახებით დაიფარება.

ილიას მამას ისლამს ექვსი შვილი ყავს — ოთხი ვაჟი და ორი ქალი. იგი უკვე 11 შვილიშვილის პაპაა. ყველაზე უმცროსი ბაირამი, თბილისში სწავლობს 57-ე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასში. ილიამ წაიყვანა დედაქალაქს პატარა ძმა. ილია ისლამის მრავალწევრიანი ოჯახის პირველი უმადლესი მათაყრებელი წევრია. მან პირველმა დაიბრუნა ძველი გვარი — დათუნაშვილი. მიხუცი მამა აღტაცებით ლაპარაკობს თბილისზე, სახელმწიფო უნივერსიტეტზე. მალე პატარა ბაირამიც ილიას მიზაძვისო, — ამბობს იგი, ისიც დათუნაშვილი გახდება, მას სხვებიც მიჰყვებიან ჩემი უფროსი შვილები და შვილიშვილები, და ბოლოს მეც. ჯერ ახალგაზრდებმა იარონ წინ, მათთვის შენდება მომავალი, მათმა წიგნებმა მოიტანა ჩემს ოჯახში საუკუნეთა ოცნება — სინათლე, ჩაუქრობელი მზე და სითბო თვალთდაუნახავი და ხელშეუხებელი, როგორც სიყვარული.

ისლამის დისწული, ილიას მამიდაშვილი, ფათულა ბაღაევი ფინგანის მუშაკია. უყვარს ნადირობა, სტუმარი და მასთან მასლაით. ღამე ჩემთან უნდა გაათითო — შემოგეთავაზა ფათულამ და ეს ისე იყო ნათქვამი, რომ სტუმრებმა და ვერც მასპინძლებმა უარი ვერ შევკადრეთ. ფათულამ ირაკლე აბაშიძის ლექსების წიგნი გამოიღო კარადიდან. მას ეამაყება, რომ პოეტმა ინგილოებს რამდენიმე ლექსი უძღვნა:

„ავდგეთ, ვახსენით ჩვენი ძველები,
ივგ ბრძენნი და ივგ ლომები;
ჩვენი იბერნი, ეგრისელები,
ჩვენი მესხნი და ინგილოები;

ვინც გზებს იცავდა დედულ-მამულში
ერთი უღრუბლო ღღის მონატრული,

დამსახურებელი
მასწავლებელი ნინო
რამიშვილი



ვინც შეგვინახა ქართლში ნამუსი
და საინგილოს — ენა ქართული“;

ჩვენს ტყეში ამ წიგნის ავტორსაც უნადირნია, აი, ნახეთ ლექსი „მონადირის ღამე“, ჰე, განა არის ჩვეთთან ისეთი მონადირე, რომ საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად არ ეთიოს ღამე ტახისათვის, მაგრამ ვერ გავიგე ვინ იყო ის ბედნიერი, პოეტს რომ შეხვდა ალიაბადის ტყეში.

რა კარგად ამბობს:

„ჩამოვდგით დინჯად გავსილი გზისთვის
ხელადა, როგორც ძვირფასი განძი

200-მდე ინგილო სწავლობს თბილისის უმაღლეს სასწავლებლსა და ტექნიკუმებში. აი, მათი ერთი ჯგუფი. შუაში ზის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკი ი. დათუნაშვილი





და საქართველოს მიწის და მზისთვის
ინვილიომ შესვა პირველი ყანწი“.

ფათულა წინა დღეებში თბილისში ყოფილა. ხელზე ხორცმეტი გამოსვლია და ოპერაცია გაუკეთებია. თბილისიდან წონის გამოვლია ძველ ნათესავეებთან — ყაჯრი-შვილებთან. წუხს, ისეთ დროს ვეწვიეთ, რომ გარეული ტახის ხორცი ვერ გავგვიმასინძლდა. რა დროს ატყეული ხელი, ერთი კვირის შემდეგ მოურჩება, ყველაფერი რიგზე იქნება, და განა შორს უნდა წავიდეს სანადიროდ? აქვე, ალაზნის პირას.

— ზემო ქედი იციტ ალბათ, — გვეუბნება ფათულა, — აი კობა ჩოხელმა კომუნა რომ დააარსა. ახლა ხომ მაგ სოფლის კოლმურენობას არსენ კობაიძე უდგას სათავეში. დაიხ, არსენი ჩვენი მეზობელია. ზემო ქედი ალაზნის მარჯვენა მხარესაა, ჩვენ კი მარცხენა ნაპირზე ვცხოვრობთ.

— შორს არის ზემო ქედი აქედან? — ვეკითხებით ფათულას.

— ჰო, თქვენ შეიძლება არც კი გაგიათ, ახლა ჩვენს სოფელსა და ზემო ქედს შორის ახალი ხიდი გაკეთდა ალა-

ზანზე. ამ ხილმა დაგვიახლოვა მეზობლები ზემო ქედისკენი, არხილოსკალოვლები და შირაქის ველის სხვა სოფლები. ჩვენ სოფლებს შორის ოციორდე კილომეტრია, ხილს გაღმა მათ, ხოლო გამოზრმა ჩვენ შესანიშნავი ტყეები, სანადირო ადგილები გვაქვს. ჩვენი სოფლიდან ვიდრე ხილიდან მივიდეთ ისეთი ადგილები ვიცი, რომ ღამის გათევა და სამფუთიანი ტახი თითქოს საძებლქვე იწვეს — ამბობს ფათულა.

მართალია, მონადირეებს, ცოტა არ იყოს, გადაპარებუბა უყვართ, მაგრამ ჩვენი მასპინძელი არ უნდა ტყუოდეს. ამას ადასტურებს ოთახებში მოფენილი ნადირთა ტყავები.

მეორე დღეს ილია დათუნაშვილი ჩვენთან ერთად, ჩვენივე მანქანით, გამოემგზავრა ი ბილისში. როგორც წინადღით, ამ დღესაც გაკვირვებული ვიყავი, ამ უგუნახო სოფელში საიდან მოიტანეს ამდენი ლაიონფერი ღერო. გზა დაგვილოცეს თბილისში მომავალთ. ილიას მამა, მოხუცი ისლამი თავს გვეგულბოდა, მესამედ დაღლია და სტუმარ-მასპინძლებს ყველას დაგვაღვივინა დედსაქართველოს სადღერძელო.

სცენისმოყვარე — დამსახურებელი არტისტი



ხოლოდ ჩამოსული კაცი თუ იკითხავს მის ვინაობას, ისე უყვლი იცნობს მას რაიონში, უყვლა პატრიისცემითა და სიყვარულით ესალმება.

უცხო თითქმის ნაგვარი საუფლოა, რაც სამტრედიამ ცხოვრობს და მოღვაწეობს სახლიო თეატრის დიდი ენთუზიასტი არტისტი იაკობა. ბავშვობისა და ყრბობის წლებში მან რეჟოლუციურ ბაქოში გაატარა, სადაც უფროს მამასთან ერთად მუშაობდა ფეხსაცმელების სახელოსნოში.

1919 წ. იგი სამტრედიამში ჩამოვიდა და მეწაღეობას შეუდგა, შემოიკრიბა ირავლიო რეჟოლუციურად გაწყობილი ახალგაზრდები და უყვებოდა მათ ბაქოს ამბებს... საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას სიხარულით შეხვდა ა. სიგუა. 1924 წ. იგი კომპოზიტორი შედის, კერძო მუშაობას თავს ანებებს და არტელში გართიანების ერთ-ერთი ინიციატორი ხდება.

ერთხელ, თხოვეს, მუშაობა კლუბში პიესას ვდგამთ და მოწაწილობა უნდა მიიღო. არ იცოდა რაგორ მოქცეულიყო, მაგრამ ერთი კია — სცენისაკენ გაუწია გულმა... ასე მიიღო თეატრალური ათალობა ა. სიგუამ 1927 წელს სპექტაკლში, რომელიც კომკავშირელთა ინიციატივით დადა ახალგაზრდა და სცენისმოყვარე დავით სტურუამ.

— როცა წარმოდგენა დამთავრდა — იგონებს ა. სიგუა — უგუნებოდ გავხტი. მინდოდა ისეე თავიდან დამეწყო, რაღაც ბევრი რამ გამომჩა, ბევრი რამ არ გამოვიდა, მინდოდა ისეე ავსულიყავი სცენაზე...

ამ დღიდან მოყოლებული არტიფოს არასდროს შეუწყვეტია ფიქრი თეატრზე. სცენა გახდა მისი მეორე სიყვარული საშუაო ადგილი. საგრძნობლად გაამდიდრა და გააღრმავა თავისი რეპერტუარი. მუშაობა დრამარეც მოლონიერდა. თუ უწინ ვეცტ-

ჩებითა და ერთმომედებიანი პიესებით კმაყოფილებიოდა, ახლა სერიოზულ პიესებს მოჰკიდეს ხელი („შოქოშოვლება“, „როგორ“, „თელულელი“), რომლებშიც ა. სიგუა მთავარ როლებს ასრულებდა.

1927 წ. სამტრედიამში შეიქმნა სახელმწიფო თეატრი, სადაც, რა თქმა უნდა, ა. სიგუაც მიიწვიეს. აქ სრულიყოფილად გამოვლინდა მისი ნიჭი, როცა შექმნა საინტერესო სცენური სახები — ნაცარქქია, ქუჩარა და სხვ. პერიოდულად პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა მის ოსტატობას. ერთი წლის შემდეგ იგი პარტიის წევრად მიიღეს, რამაც კიდევ უფრო მეტი შემოქმედებითი ცუცხვლით ააღიწო ენთუზიასტი სცენისმოყვარე. არტიფოზე უკვე უმაპარაკობენ, როგორც ნიჭიერ მსახიობზე, მაგრამ დაიწყო დიდი სამაშალო ომი და ა. სიგუაც საშობობის დამცველთა რიგებში დგება.

ზუთი წლის შემდეგ ვაშლიზობილი ჯარისკაცი ისეე უბრუნდება მშობლიურ ძაიონს, დაზსება და სცენას. ისეე გაახარა მაყურებელი თავისი უბრალო და გულწრფელი ოპაშით.

სახალხო სცენის ენთუზიასტს დაუფასდა ამაგი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის სახატიო წოდება მიენიჭა.

საქართველოს ქრონიკა

ქართული ფილმების დეკადი

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში სახორავდელი მოვლენა იყო ქართული ფილმების დეკადი, რომელიც ჩატარდა ივნისის თვეში. ნაჩვენები იყო სამი ახალი ნაწარმოები. ამთგან ერთია ნ. დუმბაძის მოთხრობის „მე ვხედავ შუეს“ ეკრანიზება. სცენარი ფილმისთვის ნ. დუმბაძისთან ერთად დაწერა ლ. ლოლოვიჩიძემ, დადგმა მასვე ეკუთვნის, ოპერატორია გ. კალატოზაშვილი.

რომანი „მე ვხედავ შუეს“ ჩვენსა საზოგადოებრიობამ ფილმობი და მიიღო. შეუვარა მისი გმირები, შედგნა ნახა თე-

ატრის სცენაზე განხორციელებული. და აი, ახლა ფილმის რეჟისორი იგი. ფილმი ერთდროულად აჩვენებს თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, და რესპუბლიკის სხვა კალაქებში, უველგან, მკურთხელი მოწონებით შეხვდა მას.

მეორე ფილმა „ბოდბე“, თქვენ გელით სიყვლილი“. სცენარის ავტორები არიან ა. თაყაიშვილი და ზ. ჯავახიანი, რეჟისორია გ. მგელაძე, ოპერატორია გ. რაჭველიშვილი. ფილმი სატირულ პლანშია გადაწყვეტილი.

დეკადაზე ნაჩვენები მესამე ფილმა „რაკ გინახავს, ვიდრე ნახავს“.

ა. ცაგარის ეს ცნობი-

ლი პიესა მუდამ დიდი წარმატებით მიდიოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

ფილმში მონაწილეობენ სახელგანთქი ქართველი მსახიობები: ა. ხორავა, ვ. ანჯაფარიძე, ვ. კოძიაშვილი, ა. კვანტალიანი და სხვ. აგრეთვე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე აღიარებული მსახიობები: ს. კაპურელი, გ. შენგელაია.

სცენარი ფილმისთვის დაწერეს რ. წიგლიშვილმა და მ. ტაყაიშვილმა, ფილმის დამდგემელი რეჟისორია მ. კაპურელი.

ახალი ქართული ფილმების დეკადამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

ხუთი წლის შემდეგ ისევ გვესტუმრა ლალი მესხიშვილის სახელმძღვანელო სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, აკაკი ვახაძის მხატვრული ხელმძღვანელობით.

ქუთაისელთა გასტროლები 5 ივლისამდე გაგრძელდა. საგასტროლო რეპერტუარი უმთავრესად ორიგინალური პიესებით იყო შევსებული. ესენია: პოლიკარე კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა“, ოტია იოსელიანის „როცა ასეთი სიყვარული მოვა“, ოთარ მამფორიას „ტაგუ“, ორდე დგებუაძისა და ამირან აბშიშვილის „განთიადის დედოფალი“, ლევან სანიკიძის „მედვა“, ოთარ ჩიჯავაძის „თეთრი ჩრდილები“. თეატრმა წარმოადგინა აგრეთვე უკვე შექსპირის „რიჩარდ მესამე“, ცნობილი ესპანელი პოეტისა და დრამატურგის ფედრიკო გარსა ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ და თანამედროვე გერმანელი მწერლის ვ. ციტლინერის „გასრკველავი და ჩამოსული კაცი“.

ჩვენი ქურნალის უახლოეს ნომერში, გამოკვეყნებთ მასალებს ქუთაისის თეატრის გასტროლების შედეგებზე.

„ბერიოჯას“ თბილისში

თბილისში კონცერტები გამართა სახელგანთქმულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბერიოჯას“.

ანსამბლის ხელმძღვანელია, ხალხური შემოქმედების ფაქიზ მცოდნის ნადეჟდა ნადეჟდინას შესანიშნავი ხელოვნებით სულფორი სრულყოფილი ხდება და იხვეწება თვითული ქორეოგრაფიული ნომერი. ხალხის შემოქმედებაში ქორეოგრაფი ნახულოვს ულევრ შესაძლებლობებს მხატვრული ქმნილებიანათვის. საცეკვაო ფოლკლორისა და კლასიკური ცეკვის სინთეზის საფუძველზე იგი პროფესიულ ქორეოგრაფიაში ახალ, განუმეორებელ ხელოვნებას ქმნის. „ბერიოჯას“ კონცერტებს დიდი წარმატება ხვდა.

თოთხმეტი წელი გვიდა მას შემდეგ, რაც რსულს სახალხო-არტისტი აკაკი რაიკინი უკანასკნელად იყო თბილისში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ ეკრანზე თუ გვეჩინდა შესაძლებლობა გვეხილა სასულიერო ისტორიის შესანიშნავი თეატრი. ამიტომაც, ბუნებრივად ის დიდი ინტერესი, რაიც გამო-

პრაკლი რაიკინი ციგინის

წვია არკადი რაიკინის ახლანდელმა ორდინანმა გასტროლმა ჩვენს დედაქალაქში.

სასურველი სტუმარი გვეწვია და დავატყობთ თავისი შესანიშნავი ხელოვნებით, ახალი და საინტერესო ნომერებით, მინიატურული სცენებით.

არკადი რაიკინის მდიდარი და მრავალფეროვანი

რეპერტუარი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების საკვიბოროტო საიმიტებისაშია. არის მძიმართული, იგი დღენდობლად ამითარბებს ბიფროკატბს, კარკიბისმ, პირფერობას და სხვა მანერებარბებს. სწორედ ამბიამისი ხელოვნების ცხოველმყოფელობის ძალა და ელვარება, მისი არჩვეულეებრივი წარმატება.





„წარსულის ფურცლები“

„სახაზველი მოთხრობები“

ამ რამოდენიმე წლის წინათ ქართველმა მკურნებელმა თბილისის ეკრანებზე წახა მოკლემეტრეაიანი ფილმების აღმანახი, რომელსაც ეწოდება „სახაზველი მოთხრობები“.

ფილმი შესდგება სამი ნაწილისაგან. „გაზი“ შექმნილია ა. სალუქაძის სცენარის მიხედვით. დამდგენელი რეჟისორია ნანა მეტელდი, ოპერატორი — შ. კილემე, მხატვარი — შ. სენსანიშვილი, კომპოზიტორი — ე. ჯეგუაშვილი.

ფილმში მონაწილეობენ სცენის ცნობილი ოსტატები: ე. აფხაძე, ი. ხვინია, ე. უიფშიძე, ზ. ზაქარაძე, კ. სალუქაძე და სხვ.

ა. სალუქაძის სცენარის მიხედვით არის შექმნილი მეორე ნოველა „სალამური“.

სცენარისტმა და მისმა თანაავტორმა, დამდგენელმა რეჟისორმა იოანე აბსაძემ სურათს საფუძვლად დაუდგინა ბარბადელის ცნობილი მოთხრობა „კაკაბედილი ბიჭები“. შესანიშნავად გადართანა ეკრანზე ეს ნოველა ოპერატორმა ა. აღუბინსკიმ.

მესამე ნოველა „ბოჟი და ძალი“.

სცენარი საუთარი მოთხრობის მიხედვით დაწერა ა. სულაკაძემ. სურათი ახალგაზრდა რეჟისორის თინათი გომისის დებიუტს წარმოადგენს. ოპერატორია — ა. ფარდაშვილი, მხატვარი — რ. მახარაძე.

კომპოზიტორი — ა. კერესელიძე, რეჟისორი — შ. გვახაძე.

თბილისის ეკრანებზე აგრეთვე წარმატებით უჩვენეს მოკლემეტრე ა ი ა ნ ფილმების მეორე აღმანახი „წარსულის ფურცლები“.

პირველი ნოველის „მიკელას“ (დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით) სცენარის ავტორია და დამდგენელი რეჟისორია ელდარ შენგულაია, ოპერატორი ალექსანდრე რეზიაშვილი, მხატვარი — ქრისტინია ლებანიძე, კომპოზიტორი არაკლ ზეგუაძე.

როლებში: გრივალ ტუაბლაძე, ზინა კვიციანიშვილი, მიშა ხვიციანი, მანანა მანავაძე, დათო მლიძე, ვლადიმერ წულაძე, დილია თურანიძე, კაპიტონ აბესაძე.

„ალავერდობის“ დამდგენელი რეჟისორი გიორგი შენგულაია აქამად გვევლინება, როგორც მეორე ნოველის „გოლიდის“ (შ. ჯგაფანიშვილის მიხედვით) სცენარის ავტორი და რეჟისორი. ოპერატორია — ივარ ამასიაძე, მხატვარი — ალექსანდრე შავარცი, რეჟისორი — ზაადურ წულაძე, კომპოზიტორი ფ. ლონცი, როლებში: ხესლია თაყაიშვილი, ბონდო გოგონავი, ლევან ფილფანი და სხვ.

მესამე ნოველის „იხას“ ავტორი გახლავთ მერაბ

კოკიაშვილი. ფილმი ი. მ. ჯგაფანიშვილის მოთხრობას „მუსუსის“ მეტად საინტერესო ეკრანიზაციაა. ა. ფილმის ოპერატორია გიორგი გერსანიძე, მხატვარი — ვასილ არაბიძე, კომპოზიტორი — ნოდარ მამისაშვილი. ხმის ოპერატორი — ელდარ გასი, როლებში: ზურაბ ქვაფინაძე, მიხეილ ჩუბინიძე, მანანა ბახტაძე, ავთანდილ მახარაძე, ნინიკო ჩხეიძე, ეკატერინე ვერულიშვილი და სხვ.

ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში, კონს ცენტრალური სახელმწიფო მოწყობის ქართული მოკლემეტრეაიანი ფილმების საბაზო, რომელზეც დედაქალაქის კინომატოგრაფისტებმა გაეცნენ „წარსულის ფურცლებს“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ნოველა „მიხას“.

კინორეჟისორია ნ. კლავდიმ „მიხას“ აღიარა საღამოს საუბრეთესო ნოველად.



„სასტუმროს დიასახლისი“

მოზარდ მკურნებელთა რუსულმა თეატრმა თავის რეპერტუარს კიდევ ერთი ახალი დადგმა შემატა. წარმოდგენილი იქნა იტალიელი დრამატურგის ე. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“. ამ შესანიშნავი კომედიის მოქმედება ფლორენციაში მიმდინარეობს. სექეტაკლი დადგა რეჟისორმა ვ. ვოლოჯკინმა, მხატვრულად გააფორმა საქ. ხელ. დამს. მოღვაწე ი. შენბერგმა, კომპოზიტორია ა. გულტუნინი, ბალეტმანისტური საქ. დამს. არტ. გ. გორბაჩივი. სექეტაკლი მონაწილეობენ საქ. დამსახურებული არტისტები — ა. იუდინი, ე. აკალანოვა, გ. ბალოშვა. არტისტები: ფ. აივაზოვი, მაკიროვი და სხვ.

ფრანგი მომღერლის ბასტროლავი

ჩვენი დედაქალაქის საესტრადო ხელოვნების მოყვარულებს კიდევ საამინებმა მოუტანა ცნობილი ფრანგი მომღერალი ფილპე ბუკის კონცერტებმა, რომლებიც სასტრადო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში და სპორტის სასალოში გაიმართა.

მოსკოვის, ლენინგრადისა და ბაქოს შემდეგ ექვია მომღერალი ჩვენს დედაქალაქს და აღაფრთოვანა მსმენელებს თავისი ხელოვნებით.

ქლებზე ბუკი თავის კონცერტებზე გაიყვინდა არა მარტო როგორც მწვერილი საესტრადო მომღერალი, არამედ როგორც კომპოზიტორი: ყველა სიმღერის ავტორი თვითონ მომღერალია. კონცერტის პროგრამაში უაღრესად მშდობრივ და მრავალფეროვანია. ყილბეტი ბიკო სიმღერას არა მარტო მღერის, არამედ ინსცენირებაც ახდენს. მთებზედაც პატარა ხმის იგი იმდენად დაუფლებული სიმღერის ხელოვნებას, რომ ცალკეულ სიმღერებში დრამატულ ეფექტსაც აღწევს. მაგალი დანტია, დახვეწილი მუსიკალური გემოვნება, შესანიშნავი არტისტული, გარდასახვის დიდი უნარი ახასიათებს მას. ბუკის სიმღერები ენათობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა კონცერტში მომღერალი გამოდის საესტრადო ანსამბლთან ერთად.

ამერიკელი სიმფონიური ორკესტრი თბილისში

ქ. კლიფონდის (აშშ) სახელგანთქმული სიმფონიური ორკესტრის გასტროლები ჩვენს დედაქალაქში საყურადღებო მოვლენა იყო.

ორკესტრი, რომლის ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია ჯორჯ სელი, შედარებით ახალგაზრდა მუსიკალური კოლექტივია ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი დაარსდა 1918 წ. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო დირიჟორი ნიკოლოზ სოკოლოვი. ორკესტრში ამჟამად ამერიკის 100-ზე მეტი საუ-

კეთესო მუსიკოსი და ამიტომაც არის, რომ მათ გამოსვლებს აღფრთოვანებით გვხვდა მსოფლიოს მუსიკალური პრესა კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ მტკიცედ მეგრულ ანსამბლურობას, ცალკეული ჯგუფების დიდ წონასწორობას, დახვეწილობას, ზომიერებას და საერთოდ დირიჟორისა და მთელი ანსამბლის მათალ მწარგებრელ გემოვნებას.

ორკესტრის წარმატებას დიდად უწყობს ხელს ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტის ჯონ ბრაუნინგის შესანიშნავი შესრულება.





სეზონის გოლო პრემიერა

მარჯანიშვილის თეატრმა სეზონის მორიგ, მეცხრე პრემიერად წარმოადგინა ნიჟერის თანამედროვე ქართველი მწერლის თიარ ჩხეიძის პიესა „ვისია ვისი?“, რომელიც ჩვენი სოფლის ყოფაცხოვრების თემაზეა დაწერილი.

„ქვესკნელშიც რომ ჩაამწყვდით სი-მართლეს, იგი მანაც იპოვის გზას და გამოვა“ — ერთ-ერთი მოქმედი პირის ამ სიტყვებში გამოსატყლია სექტაკლის იდეური მრწამსი, რომელიც რეჟისორმა ი. კაკულიამ ნამდვილი ხალხური იუმორით დაიყვანა მაყურებლამდე. რეჟისორის სასამელოდ უნდა ითქვას, რომ მან მტკიცედ შეჰკრა და შეადუღა აქტიურული ოსტატობის თვალსაზრისით ეს უღრესად პარმონიული სექტაკლი.

როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. ვიციძე, (მაგლო), თ. თეთრაძე (სოფიო), ი. ტრი პოლსკი (დათა), ა. სისარულიძე, დ. ქუთათელაძე, ი. ოსაძე, ბ. მიმინოშვილი, გ. ვოცირელი, მსახიობები ე. ვერულაშვილი (ანიკო), ი. ბოკუჩავა (ვისი), თ. სხირტლაძე, სართანია, შ. სხირტლაძე, ჯ. მაზიაშვილი, გ. ციციშვილი, გ. ბერიკაშვილი, ბ. გოგინავა, ა. ვერულეიშვილი, მთავარ როლებს ჰყავს აგრეთვე სხვა შემსრულებლები: ლ. შოთაძე (მაგლო), მ. ბიბილეიშვილი (ვისი), ზ. ზაულ-დასტანიშვილი, გ. გოგუა, თ. მისიურაძე.

სექტაკლის მხატვარია შ. ხუციშვილი, კომპოზიტორი ა. ჩორგოლაშვილი (ხელ. დამს. მოღვაწე), ქორეოგრაფი ჯ. ბაგრატიონი (ხელ. დამს. მოღვაწე).

თეატრმა 12 ივნისს მეორეჯერ წარმოადგინა ეს სექტაკლი, ამით დახურა 1964—65 წ. წ. სეზონი და სავასტროლოდ გაემგზავრა ქუთაისსა და ბათუმში. მომავალი სეზონის გახსნა ნაწარადღე-ვია ამავე სექტაკლით ა. წ. 4 სექტემბრისათვის.

საქართველოს მუსიკალურ სკოლებს მტკიცე შემოქმედებითი კავშირი აქვთ დამყარებული მოძმე რესპუბლიკების „კოლეგებთან“. შემოქმედებითი კონტაქტები ხშირად შერეული კონცერტის ხასიათს იღებს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ნორჩი მეგობრები, ახალგაზრდა მუსიკოსები. ასეთი შეხვედრები მუსიკალური სკოლების ცხოვრებაში მოვლენად იქცევა ხოლმე. იგი თავისებური „შეჯიბრია“. რომელიც ავლენს რესპუბლიკის მუსიკალური სკოლების საუკეთესო აღზრდილებს, კარგ პედაგოგურ შედეგებს და მუშაობის სწორ გეზს.

ასეთი მეგობრული შეხვედრა სასწავლო წლის დასასრულს მოაწყო თბილისის მესამე მუსიკალურმა სკოლამ ერევნის კ. სარაჯევის სახელობის მუსიკალურ სკოლასთან. კონცერტში მონაწილეობა წილად ხვდა მე-3 მუსიკალური სკოლის საუკეთესო მოსწავლეებს. მათ შორის იყვნენ მანანა კანდელაკი, ეთერ ანუაფარიძე (მ. ჭავჭავაძის კლასი), ნინო მერაბიშვილი და ნანა ალადაშვილი (მ. ადამიას კლასი), ირინე პლატონოვა, ნატაშა ჯღნცა (დ. ხირსიანის კლასი), თამარ კიკაბიძე (ნ. დღევას კლასი), მარინე კარანაძე (მ. ციციშვილის კლასი), ამირან გურგენიძე (მ. სირ-ლილიძის კლასი).

სტუმრების საკონცერტო ნომრებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანსამბლები. აღსანიშნავი იყო ტრიო (ა. აიღინიანის კლასი), რომელმაც სხვა ნაწარმოებებს გარდა წარმატებით შესრულა სულხან ცინცაძის „მწყემსური“.

მამოვარული შახაძეა



საბავშვოლო მამოვარული

თბილისის სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა საქართველოს მხატვართა სახელმწიფო ნაწარმოებების გამოფენა. როგორც ყოველთვის, ექსპოზიცია მრავალდატვირთულია და მრავალფეროვანია. წარმოდგენილია სახიფათო ხელოვნების უკვლე სურათი. იგი ინტერესს იწვევს ენარობრთვადაც: გამოფენილია ფერწერული პორტრეტები, პეიზაჟები და ნატურმორტიტი, სულბატურული ფიგურები, ბიუსტები, ქედლორები, გრაფიკული ფურცლები, ესტამპები, პლაკატიტი. სპეციალურ ვიტრინებში ექსპონირებულია მცირე ნაყოობანი-მინიატურები მესამე რეულობისაგან და სხვადასხვა სახისაგან. მათში ჩანს მხატვართა დეკორ. გემოვნება, გამოპოვნობა, იუმორი.

„სახელმწიფოლო გამოფენა“ ცხადყოფს ახალგაზრდა შემოქმედელთა წინსვლას, განვითარებას და მათი ხელოვნების ოსტატების ერთ-ერთი მორიგე სახატერეს შემოქმედლობით აწარმოა.

„სხადმდნარი ბახახაშული“

„სტუდენტური ვახახულო“ ასე უწოდეს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა თავიანთი ნამუშევრები გამოფენის, რომელიც მხატვართა კლუბში მოეწყო. წარმოდგენილი იყო ფერწერული ტილოები, პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტიტი, კრამიკული და მუხრის ხელოვნების ნიმუშები, რომელთაშიც ახალგაზრდა ავტორები ცდილობენ გადმოსცენ დღევანდელი დღის, დღევანდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მხარეები. სტუდენტთა ნამუშევრებში შეინიშნებოდა ფორმის მრავალფეროვნება, მხატვრული გერეხების ვაბეულო გამოყენება.

ძირითადი და წამყვანი იდგენილი ეკავა თანამედროვეობის ამსახველი თემატკას. მოიწონება ხვდათ რ. თობილაშვილისა და ბ. ახმედოვის ტილოებს „რინი-გულიები“ და „ვახახულო“. სანტერესო იყო სანუკა ფხვლს ნამუშევრები, რომლებიც ავტორის თვისებური მხატვრობის გამოვლენის თაობაზე საშობლო-ვახანობარის მეტოდობა სახეებს. გემოვნებით შესრულებული პეიზაჟები წარმოადგინეს ი. ენუგეშიძემ, ჯ. იმინაძემ, ა. გოგოლაშვილმა, ე. კინდელაშვილმა. ქანდაკებიდან და კრამიკული ნამუშევრებიდან გამოირჩეოდა ნ. ლაშაძის, თ. ცხომელის, ი. თვარაძის და სხვათა ნაწარმოებები.

გამოფენამ გამოიჩინა საზოგადოებრიობის ინტერესი გამოფენა.



ფოტოები შ. ბაბოვისა

ქართული
ინჟინერია



ამერიკის
ეკონომიკური
გაყვანის
სტუდია





საქართველო საბჭოთა ენციკლოპედია

შ ი ნ ა რ ს ი

ბილკონგინის მავალი დანიშნულება	4	შოთა ნოზაძე —	
ოთარ ევაძე —		გიჟანდაკა და კინოკამერისტრი	49
მხატვრული მუზეუმები და მხატვრული გოლიზრავნი	6	ივანე კავალერიძე —	
„სიმღერა შვედრანოზი“	8	ფიკრი კინოხელოვნებაში	50
მამია დუღურაძე —		დავით ქუთათელაძე —	
ხელკონანი და ხელოვნება	11	კულტურის სახეობები	55
ლონჯინო სუმბაძე —		ლილია დოლოხოვა	
პატარული დარბაზის ინტერიერი	17	მასტან ნადირაძე-პრონსკი	56
მიხეილ დოლიძის, სიმონ ჩერტოკი —		როსტისლავ იურენკო —	
შალკაინი საპრემიუმოზი	26	საბჭოთა კინოკომედი	60
ჯიხონ ხუნდაძე —		ნინო შვანგირაძე —	
მხატვრული პირობითობისა და აბსტრაქტიზმის შესახებ	35	ჩხვინი თეატრის დიდ მემოზარი	65
სოხუმის თეატრი	38	„სამკრთხში“	70
ეთერ გუგუშვილი —		ნიკოლოზ აზნაიანი —	
მირიკო ანჯაფარიძე	42	ინტელიტები	72
ანტონ კელენჯერიძე —		შაღვა ჩიტეშვილი —	
როზგორი დავახანოვიძე	47	სკანდინავიური — დამახტვრებული არტისტი	76
		ბილკონგინის კრიონიკა	77

მე-2-ე გვ. მ. გვაჯია „საშობლოს ცის მცველები“; მე-3-ე გვ. ტ. ბარაძე „უღინი და კიციკი“; მე-8-9-ე გვ. გვ. სცენები რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „სიმღერა შვედრანოზი“; მე-17-25-ე გვ. გვ. ქართული დარბაზების ინტერიერი, ტიპოლოგია, გეგმა, შრიტი; 26-34-ე გვ. გვ. თედორე შალაიანის მიღწეულის თბილისის პირობის ფოტოები, შალაიანი სხვადასხვა როლში, ფოტოები შალაიანის ავტოგრაფებით; 29-ე გვ. თბილისელი მუსიკის მასწავლებელი დ. უსატვი; 38-41 გვ. გვ. სცენები სოხუმის თეატრის სპექტაკლებიდან, რეჟისორის მომენტები; 38-ე გვ. რეისორები ა. ქუთათელაძე, გ. სულაშვილი, ს. შიგელშვილი; 39-ე გვ. კომპოზიტორი მ. ბერეკაშვილი, მხატვარი თ. ქვინია; 48-ე გვ. კომპოზიტორი დ. აბაყიშვილი (პირველი რეჟისორი მარცხენა მხარე) კომპოზიტორთა და მუსიკოსთა კონკურსის შორის; 49-ე გვ. მომხატველ და ინტერიერი ივანე კავალერიძე; 52-ე გვ. კადრი კინოფილმიდან „ზაფხული დოხის ველში“, 53-ე გვ. კადრი კინოფილმიდან „პროფეთოსი“; 56-ე გვ. სცენა ბალეტიდან „ოლეოსი“; 58-ე გვ. უკრაინელი ბალეტისტი გ. ნაიროშვილი რეჟისორის დროს; 59-ე გვ. სცენა ბალეტიდან „ტყის სიმღერა“; 65-ე გვ. უკრაინელი მწერლები კორნეიჩუკი და სეჩენკო თეატრის ქართულ მიღწეუთა შორის, თბილისი. 1935 წ.; 67-ე გვ. ა. ზორაძე პლატონ კრეჩეტის როლში; 68-ე გვ. ა. ვისაძე ბერესტის როლში; 70-71-ე გვ. გვ. სცენები რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „აქვარეში“; 72-74-ე გვ. გვ. სინგილის პიზაჟები, ისტორიული მუგები, სოფ. ალიბაღის ქართული საშუალო სკოლა; 75-ე გვ. დამსახურებული მასწავლებელი ნინო რამიშვილი; 77-80-ე გვ. გვ. ხელოვნების ქრონიკა.

უ და ტიტული მხატვარ თანის სასწრაფი

მხატვარი პ. ბალაშვილი, ტექნიკური რედაქტორი ი. შარალაშვილი, კონტროლიორ-კორექტორი ლ. ლინიანიძე

ხელოვნების დანახტვად 23/VII 65 წ. მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. 5-10-24 უკ 03365 შიგვ. № 685
 ქალღმერთი ფურცელი 5, საგტრო თბახის რაოდენობა 12,55, ხალკიტვი -საგამომცემლო თბახის რაოდენობა — 12,95 ტ. 4500.
 ფახი 1 მფ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

ბეჟღვითი სიტყვის კომპიანიტი. თბილისი. მარჯანიშვილის ქ. № 5.

საბჭოთა ხელოვნება

СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО О

СОДЕРЖАНИЕ

ВЫСОКОЕ НАЗНАЧЕНИЕ ИСКУССТВА	4	Шота Нозაძე —	
Отар Эгაძე —		СКУЛЬПТОР И КИНОРЕЖИССЕР	49
ХУДОЖЕСТВЕННЫЕ МУЗЕИ И ХУДОЖЕСТВЕННАЯ		Иван Кавалериძე —	
ПОЛИГРАФИЯ	6	РАЗДУМЬЕ О КИНОИСКУССТВЕ	50
„ПЕСНЯ О СОКОЛЕ“	8	Давид Кутათელაძე —	
Мамия Дудუაშვილი —		ДОМА КУЛЬТУРЫ	55
ХУДОЖНИК И ИСКУССТВО	11	Лидия Долохова —	
„Лонгинос Сумბაძე —“		ВАХТАНГ НАДИრაძე-ВРОНСКИЙ	56
ИНТЕРЬЕР ГРУЗИНСКОГО ДАРБАЗИ	17	Ростислав Юренич —	
Михаил Долинский, Семен Черток —		СОВЕТСКАЯ КИНОКОМЕДИЯ	60
ШАЛЯПИН В ГРУЗИИ	26	Нино Швангираძე —	
Джибсон Хунდაძე —		БОЛЬШОЙ ДРУГ НАШЕГО ТЕАТРА	65
О ХУДОЖЕСТВЕННОЙ УСЛОВНОСТИ И АБСТРАК-		„АКВАРИУМ“	70
НОСТИ В ИЗОБРАЗИТЕЛЬНОМ ИСКУССТВЕ	35	Николай Абзиანიძე —	
В СУХУМСКОМ ТЕАТРЕ	38	У ИНГИЛОИЦЕВ	72
Этери Гугушვილი —		Шალვა Читишვილი —	
БЕРИКО АНДЖАПАРИДЗЕ	42	ЛЮБИТЕЛЬ СЦЕНЫ — ЗАСЛУЖЕННЫЙ АРТИСТ	76
Антон Келенджеридзе —		ХРОНИКА ИСКУССТВА	77
ТАКИМ ОН ЗАПОМНИЛСЯ МНЕ	47		

На 2 стр. М. Гваджия „Стражи родины“; на 3 стр. Т. Бардадзе „Лени и Киквидзе“; на 8—9 стр. стр. Сцены из спектакля театра им. Руставели „Песня о Соколе“; на 17—25 стр. Интерьеры, типология, план, разрез грузинского дарбази; на 26—34 стр. фотоснимки тбилисского периода деятельности Ф. И. Шалапина; Шалапин в разных ролях, фотоснимки с автографами Шалапина; на 29 стр. педагог музыки Д. Усатов; на 33—41 стр. стр. сцены из спектаклей Сухумского театра, моменты рететици; на 38 стр. режиссеры Сухумского театра А. Кутათеладзе, Г. Сулишвили, С. Мрвалишвили; на 39 стр. композитор М. Берикашвили, художник Т. Жвания; на 48 стр. композитор Д. Аракишвили (в первом ряду слева второй) среди композиторов и музыковедов; на 49 стр. скульптор и кинорежиссер Иван Кавалериძე; на 52 стр. кадр из фильма „Запорожец за Дунаем“; на 53 стр. кадр из фильма „Прометей“; на 56 стр. сцена из балета „Олеся“; на 58 стр. В. Надирадзе — Вронский на рететици; на 59 стр. сцена из балета „Лесная песня“; на 65 стр. украинские писатели Корнейчук и Сеченко среди грузинских деятелей театра. Тбилиси. 1935 г. на 67 стр. Ак. Хоравა в роли Платона Кречета; на 68 стр. Ак. Васалдзе в роли Береста; на 70—71 стр. стр. сцены из спектакля театра им. Руставели „Аквариум“; на 72—74 стр. стр. пейзажи Саянтло, исторические памятники, грузинская средняя школа в селе Алиабди; на 75 стр. заслуженный педагог Нино Рамишвили; на 77—80 стр. стр. хроника искусства.

Гл. Редактор Отар Эгაძე

Редакционная коллегия: Шалва Амираншвили, Гела Бандзеладзе, Карло Гогодзе, Дмитрий Джанаелидзе, Алексей Мачавариани, Григорий Попхалдзе, Натела Урушадзе, Вано Цулукидзе.

Тбилиси, ул. Марджанишвили № 5, тел. 5-10-24

Издательство «Сабчота Сакартвелო»

Тбилиси

1965



საბტსხოთია CHELOWNEBA

SOWJETKUNST

I N H A L T

<p>„DIE HOHE MISSION DER KUNST“ 4</p> <p>Othar Egadse KUNSTMUSEEN UND KUNSTPOLIGRAPHIE 6</p> <p>„LIED VOM FALKEN“ 8</p> <p>Mamia Dudutschawa DER KÜNSTLER KND DIE KUNST 11</p> <p>Longinos Sumbadse INTERIEUR DES GEORGISCHEN WOHNRAUMS— DARBASI 17</p> <p>Michael Dolinski, Simeon Tschertok SCHALJAPIN IM GEORGIEN 26</p> <p>Dshibson Chundadse ÜBER DIE BEDINGTHEIT UND DAS ABSTRAHIEREN IN DER BILDENDE KUNST 35</p> <p>IM SÜCHUMER THEATER 38</p> <p>Etheri Guguschwilli WERIKO ANDSHAPHARIDSE 42</p> <p>Anton Kelendsheridse WIE ICH IHN IN GEDÄHNHTNIS BEHALTEN HABE 47</p>	<p>4</p> <p>6</p> <p>8</p> <p>11</p> <p>17</p> <p>26</p> <p>35</p> <p>38</p> <p>42</p> <p>47</p>	<p>Schota Nosadse BILDHAUER UND FILMREGISSEUR 49</p> <p>Iwane Kawaleridse GEDANKEN ÜBER DIE FILMKUNST 50</p> <p>David Kuthatheladse DIE KULTURHÄUSER 55</p> <p>Lidia Dolochowa WACHTANG NADIRADSE—WRONSKI 56</p> <p>Rostislav Jurenew SOWJETISCHE FILMKOMÖDIE 60</p> <p>Nino Schwangiradse DER GROSSE FREUND UNSERES THEATRES 65</p> <p>„AQUARIUM“ 70</p> <p>Nikolos Absianidse BEI INGILOERN 71</p> <p>Schalwa Tschitschwilli BÜHNENAMATEUR-DER VERDIENTE KÜNSTLER . 76</p> <p>CHRONIK DER KUNST 77</p>
---	--	--

Seite 2. M. Gwadschaia—„Die Beschützer des heimatlichen Himmels. S. 3. T. Bardadse—„Lenin und Kikwidse“. S. 8—9. Szenen aus dem Schauspiel des Rusthaveltheaters „Lied vom Falken“. S. 17—25. Interieuren, Tipologien, Pläne und Durchschnitte der georgischen Wohnräume—Darbasi. S. 26—34. Photographien aus der Tbilisser Tätigkeitsperiode Theodor Schaljapin, Schaljapin in verschiedenen Rollen, Photos mit Schaljapins Autographen. S. 29. Der Tbilisser Musiklehrer D. A. Usatow. S. 38—41. Szenen aus den Schauspielen des Suchumer Theaters, Momente der Probe. S. 33. Die Regisseuren A. Kuthatheladse, G. Suliaschwili, S. Mrewlischwilli. S. 39. Der Komponist M. Berikaschwili, der Maler T. Schwania. S. 43. Der Komponist D. Arakischwilli (in erster Reihe, zweiter von links) unter Komponisten und Musikwissenschaftlern. S. 49. Bildhauer und Filmregisseur Iwane Kawaleridse. S. 52. Szene aus dem Film „Saporoger jenseits der Donau“. S. 53. Szenen aus dem Film „Prometheus“. S. 56. Szene aus dem Ballett „Olesia“. S. 58. W. Nadiradse—Wronski während der Probe. S. 59. Szene aus dem Ballett „Waldlied“. S. 65. Die ukrainische Schriftsteller Kornetschuk und Setschenko unter den georgischen Theaterkünstlern. Tbilissi. 1935. S. 67. Ak. Chorawa in der Rolle von Platon Kretschet. S. 69. Ak. Wasadse in der Rolle von Berest. S. 70—71. Szenen aus dem Schauspiel des Rusthaveltheaters „Aquarium“. S. 72—74. Landschaften, historische Denkmäler im Ingiloten, die georgische Mittelschule im Dorfe Aliabad. S. 75. Die verdiente Lehrerin Nino Ramischwilli. S. 77—80. Chronik der Kunst.

Chefredakteur — Othar Egadse.
Redaktionskollegium: Sch. Miranashwili, G. Bandseladse, K. Gogodse, A. Matschawariani, N. Uruschadse
 G. Pepochadse, D. Dshanelidse, W. Zulukidse.

Georgische SSR, Tbilissi, Mardshanischwillistr, 5.
 Telephon: 5 - 10 - 24.



SABCHOTA KHELOVNEBA

SOVIET ART

CONTENTS

HIGH PURPOSE OF ART	4	Shota Nozadze	
Otar Egadze		SCULPTOR AND FILMDIRECTOR	49
ART MUSEUM AND ARTISTIC POLYGRAPHY	6	Ivane Kavaleridze	
"THE SONG OF A HAWK"	78	THOUGHTS ON FILMART	50
Mamia Duduchava		David Kutateladze	
ARTIST AND ART	11	CULTURAL HOUSES	55
Longinoz Sumbadze		Lidia Dolokhova	
INTERIEUR OF GEORGIAN DARBAZI	17	VAKHTANG NADIRADZE—VRONSKI	56
Mikhail Dolinski, Simon Chertok		Rostislav Yurenev	
SHALYAPIN IN GEORGIA	16	SOVIET COMEDY FILMS	60
Jibson Khundadze		Nino Shvangirladze	
ON ARTISTIC CONDITIONALITY AND ABSTRACTION IN ART	35	A GREAT FRIEND OF OUR THEATRE	65
AT THE SUKHUMI THEATRE	39	"THE AQUARIUM"	70
Eteri Gugushvili		Nikoloz Abzianidze	
VERIKO ANJAPARIDZE	42	WITH THE INGLOES	72
Anton Kelenjeridze		Shalva Chitishvili	
HOW I REMEMBER HIM	47	STAGEAMATEUR—HONOURED ARTIST	76
		CHRONICLE OF ART	77

On p. 2, "Defenders of the Native Sky" by M. Gvajaya; on p. 3, "Lenin and Kikvidze" by T. Bardadze; on p. 8—9, scenes from "The Song of a Hawk" at the Rustaveli Theatre; on p. 17—25, interiors of Georgian darbazi, typology, plan, cut, on p. 26—34, photos reflecting the Tbilisi period of Fyodor Shalyapin's work, Shalyapin in different roles; photos with Shalyapin's autographs; on p. 29, the Tbilisian music—teacher D. Usatov; on p. 38—41, scenes from the Sukhumi theatre performances, glimpses of rehearsals; on p. 38, stage—directors A. Kutateladze, G. Sullashvili, S. Mrevlishvili, on p. 39, composer M. Berikashvili, stage—designer S. Zhvania on p. 43, composer D. Arakishvili (second from left in front row) among composers and musicians; on p. 49, sculptor and filmdirector Ivane Kavaleridze; on p. 52, a still from the film "A Zaporozhian over the Danube"; on p. 53, a still from the film "Prometheus"; on p. 56, a scene from "Olesya"; on p. 58, V. Nadiradze—Vronski at the rehearsal; on p. 59, a scene from "The Song of the Forest"; on p. 65, Ukrainian writers Korneichuk and Sechenko among the Georgian theatrical workers. Tbilisi, 1935, on p. 67, A. Khorava as Platon Krechet; on p. 68, A. Vasadze as Beresti; on p. 70—71, scenes from "The Aquarium" at the Rustaveli Theatre; on p. 72—74, Saingilo landscapes, historical monuments, the Georgian secondary school in the village of Altabadi; on p. 75, Honoured Teacher Nino Ramishvili.

Editor-in-Chief: Otar Egadze.

Editorial staff: Shalva Amiranashvili, Gela Bandzeladze, Karlo Gogodze, Aleksi Machavariani, Natela Urushadze, Grigol Popkhadze, Dimitri Janelidze, Vano Tsulukidze.

Marjanishvili Street 5, Tbilisi, Georgian SSR.
Tel. 5-10-24.

6/16/1958



ИНДЕКС
76178